PRIME Time

N33 (334) ორშაბათი, 24 აგვისტო, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

ვინ ლობირებს სააკაშვილის გარემოცვიდან ნარკობიზნესს?

exclusive

„როგორც ჩანს, ირანს აღარ აწყობს აზერბაიჯანი-საქართველოს ტრასა და თურქეთის ტრასა არჩია, თუმცა ორივე შემთხვევაში ოდესაში იყრის თავს“

exclusive

თბილისში სტიქიური უბედურების ახალი ზონა დაფიქსირდა

„პრაიმტაიმის“ სკანდალური ექსპერიმენტი

შშმ პირებისთვის დადგმული პანდუსების შემონმება

exclusive

„როგორ გადმოვწიო პანდუსი, როდესაც საკეტი შორსაა და მე ვარ მარტო? ე.ი ყველა ვარიანტში ჰგონიათ, რომ შშმ პირებს არაფერი შეგვიძლია და მაინცდამაინც დამხმარე გვჭირდება“

ექსკლუზიური ინტერვიუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან

რას ამბობს ნინო გვენეტაძე მოსამართლეების კორუმპირებულობაზე, საქმეების „ჩაწყობაზე“, პოლიტიკასა და „რუსთავი 2“-ზე

exclusive

რატომ ჩამოაცილეს ქვანიას საქმეს პროკურორი რევაზ ნადი?

exclusive

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

ყურადღება! ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა დასასრულს უახლოვდება.

25 აგვისტოს, დილის 10 საათიდან, დმანისში, ბოლნისში, წალკაში, ყაზბეგში, თიანეთში, ონში, ამბროლაურში, ლენტეხში, მესტიაში, ჭიათურაში, საჩხერეში, ცივისმთაზე, სიღნაღში, ყვარელში, ლაგოდეხში, დედოფლისწყაროში, გურჯაანსა და თელავში ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. ასევე გაითიშება ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის, ამბროლაურის, თიანეთის, ლენტეხის, მესტიის, ონის, საჩხერის, ყაზბეგის, ჭიათურის, ხარაგაულის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, თიანეთის, ლაგოდეხის, საგარეჯოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებგვერდის www.digitaltv.ge-ს საშუალებით.

Ⓐ

ახალი სკანდალი „ჩვილებით ვაჭრობის“ საქმეში

exclusive

SCANDAL

„ქალბატონმა იმშობიარა, რომელსაც უთხრეს, რომ ჩვილი გარდაიცვალა, თუმცა ბავშვი 5000 ლარად ჩემს დეიდაშვილს მიჰყიდეს“



ყველაზე ინკოგნიტო პროექტის დეტალები ექსკლუზიურად „პრაიმტაიმში“

შენ ხარ! გამოცდილი ვიტორეგელი

ზაზა შათირიშვილი: „აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ვერ გაერკვა არსებულ სიტუაციაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

შესავალი მოკლედ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ წონაში თვალშისაცემად დაიკლო. მის კაბინეტში კოტე კუბლაშვილის შემდეგ არაფერი შეცვლილა. ჩამოიხსნა მხოლოდ მუქი ფარდები. ინტერვიუს შინაარსი მკითხველს თავად მიახვედრებს ამ მოკლე შესავლის შემოთავაზების აუცილებლობას. ახლა კი, რაღა თქმა უნდა, ინტერვიუ ნინო გვენეტაძესთან, რომელიც, როგორც წარმოგვედგინა, აუცილებლად რეფორმებზე საუბრით დაიწყებოდა:

– ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმ პაკეტზე მუშაობა, რაც იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ეტაპთან დაკავშირებით, რომელიც საკმაოდ მოცულობითია. ცვლილებები არის ყველა საკანონმდებლო აქტში, განსაკუთრებით საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ასახული – როგორც დისციპლინურ სამართალწარმოებაში, ასევე, საერთო სასამართლოების სისტემაში.

– სასამართლო რეფორმის პირველი ორი ეტაპი, ალბათ, რთულ პირობებში წარიმართებოდა...

– წინა ორი რეფორმა, გარკვეულწილად, კონფრონტაციულ რეჟიმში განხორციელდა. იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოს მაშინდელ თავმჯდომარეს აბსოლუტურად განსხვავებული ხედვები ჰქონდათ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით, ამიტომ კონსტრუქციული თანამშრომლობა ვერ ხერხდებოდა. ეს ღიადაც ჩანდა. რაც შეეხება მესამე ეტაპს, მე აქ მოვედი მარტის ბოლო რიცხვებში. ქალბატონმა თეა წულუკიანმა პირველ აპრილს შემატყობინა, რომ მან მთავრობაში უკვე ნარადგინა პაკეტი რეფორმის მესამე ტალღასთან დაკავშირებით, სამ აპრილს ქალბატონ თეას ჩვენ ვუმასპინძლეთ უზენაეს სასამართლოში. ეს იყო კონსტრუქციული თანამშრომლობის დასაწყისი და დავიწყეთ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტების საჯარო განხილვა, რამაც საერთო სასამართლოების მთლიანი სპექტრი მოიცვა. ეს ჩემი არჩევანიც იყო, ვინაიდან ვიცოდი მოსამართლეთა კორპუსის დამოკიდებულებებიც და ჩემი ვალდებულებაც, რადგანაც ის კანონები, რომლის რეფორმირებაზეც იყო საუბარი და რის საფუძველზეც მართლმსაჯულება უნდა განგვეხორციელებინა, უნდა შეთანხმებულიყო სასამართლო კორპუსთან. ამით ვაჩვენეთ მოსამართლეებს, რომ ყველა საკანონმდებლო სამუშაო განხორციელდება მათი უშუალო მონაწილეობით. თუმცა ამით ხავერდოვანი და რბილი ურთიერთობა ვერ შედგა.

– მტკივნეულად აღიქვა ეს ცვლილებები მოსამართლეთა კორპუსმა?

– ცალსახად არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო. განსაკუთრებით ეს რამდენიმე მსხვილ საკითხს ეხებოდა – მოსამართლის დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების ურთიერთთანაარსებობას... მოსამართლის დამოუკიდებლობა არ ნიშნავს მის პრიორიტეტულ მდგომარეობაში ყოფნას. საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულება არის სავალდებულო და მისი ერთ-ერთი ფორმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების კუთხეა, ამან გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია.

– ეს რეგულაცია ყოველთვის არსებობდა...

– გეთანხმებით, თუმცა 2013-14 წლის სტატისტიკა ნულია.

– ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამ წლებში კოტე კუბლაშვილი სხვა ტიპის ურთიერთობის დალაგებას ცდილობდა მოსამართლეებთან და ამ პროცესებს აფერხებდა...

– შემაფერხებელი იყო ამ ინსტიტუტის არაეფექტური მუშაობა. მე ახლა ცალკეულ პირთა პოზიციებზე ნამდვილად ვერ ვისაუბრებ, თუმცა ფაქტია, რომ ამ ინსტიტუტს ჰქონდა პრობლემა. როდესაც ამ პოზიციაზე დამამტკიცეს, აღმოვაჩინე ტენდენცია, რომ ბალანსი დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის იყო პრობლემის ქვეშ. ამ ბალანსის აღდგენა, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვდა, მეორე მხრივ კი ანგარიშვალდებულებაზე პასუხისმგებლობის ამაღლებას მოსამართლეთა კორპუსს შიგნით. ჩემი ინიციატივით, შემოვიღეთ დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტს... შევისწავლეთ რამდენიმე სახელმწიფოს მოდელი. განვაზოგადეთ ჩვენი რეალობა და ისე იქნა შეთავაზებული. წინა ორი წლის პრაქტიკის გათვალისწინებით მოსამართლეები დისციპლინური უპასუხისმგებლობის რეჟიმს ითხოვდნენ. შესაბამისად, ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ წავიდნენ... საბოლოოდ ვერ გეტყვით, რომ კორპუსისგან სრული მხარდაჭერა მივიღე ამ საკითხში, თუმცა კონსენსუსი მაინც შედგა.

– მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ ინსპექტორის ინსტიტუტის შემოღება მათ დამოუკიდებლობაზე ზემოქმედებისთვის გადაწყვიტეთ...

– ეს ზეწოლის მექანიზმად აღიქმება მავანის ხელში, თუ ის არასწორად იქნება გამოყენებული – რევანშისთვის, სამაგიეროს გადახდისთვის და ა.შ...

– და არსებობს რამე გარანტია, რომ ეს ასე არ მოხდება?

– მე ვიძლევი სწორი საკანონმდებლო კონსტრუქციების შემოტანის გარანტიას და, ასევე, იმის გარანტიას, რომ ამ ინსტიტუტის საქმიანობა იქნება სრულიად გამჭვირვალე. თანაც, კანონპროექტი ისეა მომზადებული, რომ მისი არამიზანმიმართული გამოყენება მოსამართლეს თავის დაცვის საშუალებას აძლევს.

– იმ მოსამართლეებზე რას იტყვით, რომლებმაც წინა ხელისუფლების პირობებში ცნობილი გადაწყვეტილებები მიიღეს, რაც სტრასბურგის სასამართლომ, პრაქტიკულად, გააცამტვერა?..

– ეს მათი თვითშეფასებისა და თვითკრიტიკის საგანი უნდა გახდეს და მოსამართლემ თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება...

– ასეთი ბევრი მოსამართლე დარჩა სისტემაში?

– მე მათ ვერც დავითვლი და არც დავითვლი, ჩემი პოზიციიდან გამომდინარე, თუმცა ვერც ისეთ მოსამართლეებს დაგისახელებთ, ვინც თავად შეაფასეს და გადააფასეს საკუთარი მოღვაწეობა და მიიღეს გადაწყვეტილება...

– ცხარე დებატების თემა გახდა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადა მათ უვადო გამწესებამდე...

– ვენეციის კომისიას ჰქონდა გარკვეული შეშფოთება, რომ ამ გამოსაცდელი ვადის გამო შეიძლება მოსამართლის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა გარკვეული კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო. მაგრამ ჩვენი პოზიცია აქაც ანგარიშვალდებულების, თვითკრიტიკიდან და თვითშეფასებიდან გამომდინარეობს, რადგან მოსამართლეთა უვადოდ გამწესებამდე სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გარკვეული შეფასების სისტემა, რითაც უვადოდ მხოლოდ ღირსეულს გაამწესებს. წელიწადში ორჯერ ხდება შეფასება და, საერთო ჯამში, ექვსი შეფასების შედეგად იუსტიციის საბჭო იღებს პასუხისმგებლობას მოსამართლის უვადოდ გამწესებაზე.

– სასამართლო რეფორმის ფარგლებში იუსტიციის საბჭოს პასუხისმგებლობა ყველაზე მაღალია. პოზიციების ბალანსი როგორ არის იქ წარმოდგენილი?

– როგორც სასამართლო კორპუსთან იყო შეუთანხმებლობა, აზრთა სხვადასხვაობა და ეს ნორმალურ პროცესად მეჩვენება, ასეთივე პოზიცია მაქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოზეც. თქვენ იცით, რომ ეს არის კოლეგიალური ორგანო, რომელსაც ვხელმძღვანელობ მე, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. საბჭო წარმოდგენილია მოსამართლეებით და არამოსამართლე წევრებით. სიმართლე გითხრათ, ჰარმონიული ურთიერთობა იქაც ძნელია. განსაკუთრებით პრობლემაა, როცა მოსამართლეთა გამწესებისთვის არ გროვდება ხმების ორი მესამედი, ანუ ათი ხმა. წინ გვქონდა ერთი კონკურსი, სადაც უამრავი ვაკანტური ადგილი ისევ დაუკავებელი დარჩა. ოქტომბერშიც გვაქვს კონკურსი. ამ დროისთვის საქალაქო სასამართლოში დაახლოებით 20 მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა უმთავრდება. ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – დაპირისპირება მაინც არსებობს. მე ამას ვერ დავარქმევდი პიროვნულ დაპირისპირებას. ხედვები არის განსხვავებული. წარსულისგან განთავისუფლება არცთუ ისე იოლია. ამდენად, ეს პროცესი გარკვეული პერიოდი კიდევ შეიძლება გაგრძელდეს.

– თქვენი პოზიციების გასატარებლად, რამდენად ძლიერი ბერკეტები გაქვთ?

– ბერკეტები ძლიერი არ არის ნამდვილად, თუმცა მთავარია სწორი პოლიტიკის დასახვა. წინა კონკურსზე 7 ახალი მოსამართლე გავამწესეთ, რაც, ფაქტობრივად, ახალი პოლიტიკის ჩვენებაა, თუმცა ნაკლიც იყო, რადგან დანარჩენ ვაკანტურ ადგილებზე „კანდიდატები" ვერ მოინახა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვინმე არ იყო ღირსეული, უბრალოდ, ათი ხმა ვერ მოგროვდა ამ კანდიდატების სასარგებლოდ. ვცდილობ, ყველა მოსამართლემდე, კანდიდატამდე სწორად მივიტანო ჩემი სამოქმედო გეგმა, რაც ნიშნავს ისეთი მართლმსაჯულების შექმნას, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი ზეგავლენისგან, სადაც მოსამართლე იქნება ყველაზე ღირსეული ფიგურა და მას არ ეყოლება მიმართულების მიმცემი, პოლიტიკის განმსაზღვრელი... ვერ გეტყვით, რომ ამ ეტაპზე სრული ნდობა მაქვს მოსამართლეთა კორპუსისგან. ამ პერსპექტივას ყველა უყურებს კითხვის ნიშნით, ეჭვით, ალბათ, წარსულის გათვალისწინებით ყველა ფიქრობს, რომ ჯერ არ დამდგარა ის მომენტი, როდესაც თავმჯდომარე გამოაჩენს თავის „ნამდვილ ზრახვებს". ეს მე მესმის და ბუნებრივიცაა. როდესაც ამ პოზიციაზე მოვდიოდი, ნამდვილად არ ვფიქრობდი, რომ სრულიად სასამართლო კორპუსი მელოდებოდა და განწყობა ჩემ მიმართ იყო აბსოლუტურად პოზიტიური. ეს გავლენები დღესაც სახეზეა და იგრძნობა ურთიერთობებში. თუმცა, ვფიქრობ, რომ კოლეგების გარკვეულ ნაწილთან მაინც შევძელი ნდობის მოპოვება და იმის შეგრძნება, რომ დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ბრძოლა ნამდვილად ღირს. ამის მისაღწევად, პრაქტიკულად 24-საათიანი სამუშაო გრაფიკი მაქვს. არის კონფრონტაციებიც, არაეთიკური ურთიერთობებიც, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი პროცესის თანამდევია.

– თქვენი ოპონენტების მხრიდან განხორციელებული პირველი საჯარო შეტევა თქვენზე საკმაოდ მტკივნეულ საკითხს – კორუფციას შეეხებოდა. ვგულისხმობ თქვენი მოადგილის, მიხეილ ჩინჩალაძის განცხადებას სასამართლო სისტემაში კორუფციის არსებობასთან დაკავშირებით...

– სიტუაცია დაძაბა საკანონმდებლო ცვლილებებმა, როდესაც უარი ვთქვი ზედმეტი ადმინისტრაციული პოზიციების არსებობაზე, ისეთებზე, როგორიც არის თავმჯდომარის მოადგილის ინსტიტუტი. ამან გამოიწვია იმ ადამიანების გულისწყრომა, რომლებსაც ეს პოზიციები უკავიათ და რომლებიც ახლა ასეთ განცხადებებს აკეთებენ. მიმაჩნია, რომ ასეთი თანამდებობების არსებობა ფუნქციურად არ არის დასაბუთებული. მოგეხსენებათ, რომ უზენაეს სასამართლოს აქვს პლენუმი, რომელზეც ყველა ორგანიზაციული გადაწყვეტილება მიიღება. შესაბამისად, ნორმალურად ჩავთვალე, რომ ეს პოზიციები გაგვეუქმებინა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო გვენეტაძესთან

ვინ უწყობს საბოტაჟს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს?

„ძალიან ბევრი ადამიანი თავის დროზე უზენაესი სასამართლოდან უსამართლოდ იყო გაშვებული“

ეს ფინანსურადაც გამართლებული იყო და სასამართლოც განთავისუფლდებოდა ზედმეტი ტვირთისგან. თანაც მოგეხსენებათ, ყველა პალატის თავმჯდომარე, პირველ ყოვლისა, არის მოსამართლე, მათ შორის მეც. თავმჯდომარის მოადგილეების პოზიციაზე მყოფი მოსამართლეები კი საქმეებს არ იხილავდნენ. იხილავდნენ ან იშვიათ შემთხვევაში, ან კიდევ ძალიან მარტივ საქმეებს, რაც მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარს ნიშნავს. შესაბამისად, ეს არის თბილი, მყუდრო ადგილი, სადაც პასუხისმგებლობა არ გაგაჩნია, რაც არათანაბარ პირობებში გაყენებს კოლეგებთან, სხვა მოსამართლეებთან. რაც მთავარია, რისთვისაც სასამართლო არის შექმნილი – მართლმსაჯულების განხორციელებაზე – მას უარი აქვს ნათქვამი. ჩემი პოზიცია ამ თანამდებობების გაუქმებაზე გამომდინარეობდა აქედან. სწორედ ეს გახდა მიზეზი ჩემი კოლეგების მიერ კორუფციულ საფრთხეებზე საუბრის. ეს ჩემთვის გაუგებარი იყო. ვინაიდან იმ საკითხებს, რის შესახებაც გესაუბრეთ, არ შეეძლო, კორუფციასთან შეხება ჰქონოდა. პირიქით... სააპელაციო სასამართლოში პირველი შეხვედრის დროს რამდენიმე მოსამართლემ პირდაპირ თქვა, რომ საქმეების განაწილება თავმჯდომარეთა მიერ ეჭვქვეშ არის. მაგალითად, მაღალი თანხის ღირებულების სამოქალაქო დავები სულ ერთი და იგივე მოსამართლეებზე ნაწილდება. ეს იყო მათი ობიექტური შენიშვნა, რაც ნიშნავს იმას, რომ იმ თავმჯდომარეებს, ადმინისტრაციულის გარდა, სამოსამართლეო პრაქტიკაც რომ ჰქონოდათ, უფრო სხვა პოზიციები იქნებოდა გამოხატული. თუმცა ჩემი კოლეგების განცხადებაზე, კორუფციასთან დაკავშირებით, უკან არ დამიხევია. მაშინვე ჩავნიშნე სამუშაო შეხვედრა და ვითხოვე მეტი განმარტება, ვინაიდან კორუფციის საფრთე ბუნებაში ყოველთვის არსებობს და ამასთანავე, არსებობს პრევენციული ღონისძიებებიც. თუმცა ვერ მოვისმინეთ ვერც ერთი კონკრეტული ფაქტის შესახებ. მერე უკვე ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. თუმცა მევალება მაღალი ეთიკური სტანდარტი და იმ შეხვედრაზე პირობაც კი დავდე, რომ როდესაც მართლმსაჯულების სტრატეგიაზე დავიწყებთ მუშაობას 2016 წლისთვის, უფრო მეტი პრევენციული ღონისძიება იქნება ჩადებული და ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიება მოადგილეების პოზიციების გაუქმება იქნება.

– თუმცა მანამდე ბევრ ხელოვნურ წინააღმდეგობასაც შეიძლება წააწყდეთ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ცეცვაძის კულუარული მუქარების შესახებაც გვსმენია, რომ ის შეაფერხებს საქმეების განაწილებასა და განხილვას...

– ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ. გეტყვით მხოლოდ, რომ ჩვენ უკვე დავიწყეთ ელექტრონულად საქმეების განაწილების წესზე მუშაობას. ყველა სასამართლოს თავმჯდომარეს გავუგზავნე წერილი, სადაც მათ ვთხოვ, რომ, მათი ადმინისტრაციული ფუნქციებიდან გამომდინარე, განსაზღვრონ პროცენტულად საქმეთა რაოდენობიდან რამდენი პროცენტი შეიძლება მათ ელექტრონული განაწილების ფორმატში შეხვდეთ. მე არ ვიცი, რა ფორმით აპირებენ წინააღმდეგობის გაწევას თავმჯდომარეები, მაგრამ, როდესაც ეს წესი ამოქმედდება და მათზე განაწილდება საქმეები, არგანხილვის შემთხვევაში უკვე ანგარიშვალდებულების მექანიზმები იმუშავებს.

– ანუ ამას უკვე საბოტაჟის სახე მიეცემა?

– ბუნებრივია. ჩვენ მოსამართლეებად განვმწესდებით და ამიტომ ჩვენი პირველი ვალდებულება, კონსტიტუციიდან გამომდინარე, არის სამართალწარმოების განხორციელება. მე, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ვიქნები, ალბათ, ერთ-ერთი პირველი მოსამართლე, რომელიც არა მხოლოდ დიდი პალატის ფორმატში განიხილავს საქმეებს, არამედ ჩვეულებრივად სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ვიქნები საქმის განმხილველი მოსამართლე.

– რიგითი მოსამართლე?

– კი. ერთ-ერთ საქმეზე უკვე ვიყავი აბსოლუტურად რიგით მოსამართლედ.

– მოგნატრებიათ სასამართლო დარბაზი...

– რა თქმა უნდა, მქონდა ემოცია, როდესაც ისტორიულ მეექვსე დარბაზში შევედი, სადაც ნინა უფლებამოსილების პერიოდში უამრავი საქმე განმიხილავს და მე მიეხვდი, რომ ამაზე კარგი პოზიცია არ არსებობს. არსად სხვაგან არ არსებობს, შეძლო საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის გამომჟღავნება, არც ერთ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე. ყველაზე მეტად რაც შეიძლება მოსამართლეს უნდოდეს, ეს არის სამართალწარმოების განხორციელება.

– რაკი მაინც საკადრო თემებსაც ვერ ავუვლით გვერდს, ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციასაც შევეხოთ: აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მოთხოვნები ცოტა უცნაურად ყოფილა წარმოდგენილი – ზოგან 5-წლიან სტაჟს ითხოვდით, ზოგან – ერთწლიანს. ზოგან დოქტორის ხარისხსაც კი ითხოვდით (ასეთი რამ ჯერ არსად ყოფილა). გაჩნდა ეჭვი, რომ მოთხოვნის კრიტერიუმები უკვე წინასწარ განსაზღვრულ და გადაწყვეტილ კადრებს მოარგეთ, მით უმეტეს, რომ უკვე დანიშნულა უზენაეს სასამართლოში სადისციპლინო პალატის სამდივნოს მთავარ სპეციალისტად მანანა კობახიძის ძმის ცოლი. ასევე, სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების უფროსადაც თქვენიანი დაგინიშნავთ...

– ეს „ჩემიანი“ სანდრო ჯორბენაძეა, რომელიც აქ მუშაობდა და კოტე კუბლაშვილმა სრულიად უსამართლოდ გაუშვა სამსახურიდან. ის არის სამართლის დოქტორი. პროფესორი. ის სახელშეკრულებო პირობით მუშაობს და დაინიშნება, თუ კონკურსის პირობებს დააკმაყოფილებს. ძალიან საინტერესო შეკითხვაა და დიდი მადლობა. როდესაც აქ მოვედი, ძალიან მნიშვნელოვან პოზიციებზე ძალიან საინტერესო საზოგადოება ვნახე. ერთ-ერთი იყო ჩემი სტუდენტი, რომელიც ისეთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მუშაობდა, რომ მეც კი მეუხერხულა. ის კი ბაკალავრი იყო და აპირებდა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას. იმ წუთიდან მივიღე მყარი გადაწყვეტილება, რომ სტანდარტი უნდა ყოფილიყო ძალიან მაღალი. მე კონკრეტულად იმ ჩემს სტუდენტთან არ მაქვს პრობლემა. ის შეიძლება მართლაც ძალიან კარგი სპეციალისტი გახდეს, მაგრამ იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო იმ დონის ანალიტიკაში ემუშავა ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტს, ვინაიდან ანალიტიკა, პრაქტიკა, განზოგადება – ეს ისეთი სამსახურებია, სადაც ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის იურისტები უნდა მუშაობდნენ. მე მართლაც ავწიე სტანდარტი, რადგან მიმაჩნია, რომ ხუთწლიანი იურიდიული სტაჟი არ არის საკმარისი უზენაესში პოზიციების დასამკვიდრებლად. ამიტომაც დოქტორი, სამართლის პროფესორი და ამ სფეროში სამეცნიერო კვლევების ავტორი ნამდვილად წაადგება ჩვენს საქმიანობას. ბოლო ინსტანციის სამართალწარმოების დონეზე უნდა იყოს კადრი, რომელიც ნამდვილად ანევს სამართალწარმოების ხარისხს. და კიდევ: ძალიან ბევრი ადამიანი თავის დროზე უზენაესი სასამართლოდან უსამართლოდ იყო გაშვებული. შესაბამისად, სამართლიანობის აღდგენის ფარგლებში ვცდილობ, ეს ადამიანები დაბრუნდნენ. ეს არ არის დასამალი. პირიქით, კონკრეტული პოზიციაა.

– ბოლოდროინდელი გახმაურებული საქმეების შესახებაც უნდა გკითხოთ: ჟვანიას დაცვის წევრების საქმესთან დაკავშირებით ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტმა ოქროპირიძის საქმეზე შექმნილმა სიტუაციამ ხომ არ დააყენა დღის წესრიგში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის საერთოდ არსებობის ფაქტი?

– თავმჯდომარის რანგში, როდესაც ეს ინსტიტუტი მოქმედებს, მხოლოდ ფრთხილი განცხადებების უფლება მაქვს. ამ ინსტიტუტის გაუმჯობესებაზე ჩემი მოსვლის დღიდან ვიზრუნეთ. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში საკანონმდებლო ცვლილებები იქნა მომზადებული. ჩვენ დღესაც ვმუშაობთ რეფორმის ფორმატში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დახვეწაზე. ამ ინსტიტუტს ძალიან მოკლე ისტორია აქვს საქართველოში იმისთვის, რომ რამე შეფასება გაკეთდეს.

– ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა ერთგვარი გამოწვევა გამოგიგზავნათ. ისინი სამი მოსამართლის შემადგენლობით ითხოვენ საქმის განხილვას. საინტერესოა, როგორ აპირებთ ამ „ტესტის“ ჩაბარებას...

– ეს არ არის პრეცედენტი, როდესაც კოლეგიალური შემადგენლობით ხდება სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა. ჩვენ მშვიდად უნდა მივყვეთ ამ პროცესს. თქვენთან ერთად, მეც ველოდები სასამართლოს გადაწყვეტილებას დაყენებულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით. მესმის ემოციები, განწყობები, მაგრამ სასამართლო ვალდებულია, იყოს გაწონასწორებული, მშვიდი და სამართლიანობის დამცველი. ვისურვებდი, რომ ობიექტური და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელების მაგალითი იყოს ეს საქმე.

რატომ გადის რიგით მოსამართლედ სხდომებზე ნინო გვენეტაძე?

როგორ ტარდება კონკურსები და ვის აბრუნებს სასამართლოში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

დიღმულა – სტ

„მდინარიდან სულ რამდენიმე ნაბიჯში, პირდაპირ ხეობაში, გაშენებულია საცხოვრებელი სახლები“

„გამგებელთან ვიყავი შესული, ვუთხარი, ცოტა მომეხმარეთ, ბევრს არ ვითხოვ-მეთქი. ქალბატონო, მაგას ჩივით, მთავარია, გადარჩითო“

მირიან ბოქოლიშვილი

ვერეს ხეობაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ თბილისის მოსახლეობას მცირედი წვიმაც კი, შეიძლება ითქვას, უკვე შიშის ზარს სცემს, შედარებით ძლიერი წვიმის შემთხვევაში კი ქუჩაში ავტომობილებისა და ხალხის მოძრაობაც მომენტალურად იკლებს. 13 ივნისის ტრაგედიით გამოწვეული პანიკა ნალექის მატებასთან ერთად იზრდება ხოლმე.

პრინციპში, ეს არც არის გასაკვირი, რადგან დედაქალაქში კვლავაც არსებობს მაღალი რისკის ზონები, რომელიც შესაძლოა, მართლაც გახდეს მორიგი სტიქიური უბედურების ეპიცენტრი.

თბილისის მერია ამჟამად ვერეს ხეობაში სარეკონსტრუქციო სამუშაოებს აწარმოებს და იმედი აქვს, რომ ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ ახალ გზას, რომელიც სტიქიის შედეგად დაზიანდა, მალე აღადგენენ, თუმცა ხეობაში მოსახლეობის დაბრუნება, ცხადია, აღარ იგეგმება. ყველა თანხმდება იმაზე, რომ დედაქალაქის მთავრობას თავის დროზე უნდა ეზრუნა იქ საცხოვრებელი სახლებისა და ბარაკების აღებაზე, მოსახლეობისთვის კი საცხოვრებლად უსაფრთხო ადგილი შეეთავაზებინა. შედეგად მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

საცხოვრებელი სახლების სიმცირეს არ უჩივის მდინარე დიღმულას ხევიც, რომელიც ძლიერი სტიქიის შედეგად შესაძლოა, მართლაც კიდევ ერთი უბედურების ზონად იქცეს. სხვათა შორის, 13 ივნისს ეს პატარა მდინარეც ისე ადიდდა, რომ იქვე, ხევში მდებარე სახლებში შევარდა და მთლიანად დატბორა. საბედნიეროდ, სტიქიას მაშინ აქ მსხვერპლი არ მოჰყოლია, ვერეს ტრაგედიის მასშტაბების ფონზე კი დიღმულას ხეობის დატბორვა მედიისა და ხელისუფლების ყურადღების მიღმა დარჩა.

დედაქალაქის მერიამ მხოლოდ ახლა, რამდენიმე დღის წინ ოთხი თვით გადაკეტა მარშალ გელოვანის გამზირის ის ნაწილი, რომელსაც ეს მდინარე კვეთს.

თბილისის მერიის ცნობით, ქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი სატრანსპორტო კვანძი, მარშალ გელოვანის გამზირი 120 დღით ჩაიკეტება. დაკეტვის მიზეზი მდინარე დიღმულაზე მდებარე ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოებია. ხიდის ავარიულობის გამო მოხდება კონსტრუქციის სრული დემონტაჟი და მის ნაცვლად ახალი ხიდი აშენდება. მერიის ცნობით, ხიდის დემონტაჟი აუცილებელია, რადგანაც 1958 წელს აშენებულ ხიდს ბოლო რეაბილიტაცია 70-იან წლებში ჩაუტარდა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ 13 ივნისს ხეობის დატბორვა სწორედ ზემოხსენებულმა ხიდმა გამოიწვა, რადგან არსებული ოთხი კოლექტორიდან სამი მთლიანად გამოსული იყო მწყობრიდან და შესაბამისად, მოვარდნილი წყალი ვერ გაატარა, თუმცა ეს პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა.

არანაკლებ პრობლემურია შუა ხეობაში, მდინარიდან 3-4 მეტრში აშენებული სახლები. ამ ხეობაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ნებართვა ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს გაიცა, თუმცა, როგორც ჩანს, არსებული რისკები მაშინ არავის გაუთვალისწინებია. არც შემდგომ ხელისუფლებას უზრუნია იმაზე, რომ ეს მოსახლეობა ხეობიდან გაეყვანა და მათთვის სხვა ალტერნატივა შეეთავაზებინა.

არადა, როგორც უკვე გითხარით, 13 ივნისს მიმდებარე ტერიტორიაზე სტიქიამ არაერთი ოჯახი დააზარალა. ადიდებულმა მდინარემ დამცავი ჯებირები შეანგრია და მოსახლეობაში შევარდა. უფრო ზუსტად კი, დიღმულამ დამცავი ჯებირები სოფელ დიღომში, თამარ მეფისა და დემეტრე პირველის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე გაარღვია.

„პრაიმტაიმმა“ ეკოლოგ ლაშა ჩხარტიშვილთან ერთად დაათვალიერა მდინარე დიღმულას ხეობა და 13 ივნისს დაზარალებულ ოჯახსაც გაესაუბრა, სადაც სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანი ჯერაც არ აღმოუფხვრიათ.

ლაშა ჩხარტიშვილი, ეკოლოგი:

– ეს მდინარე დეტალურად არის შესასწავლი, რადგან არის ძალიან მაღალი ალბათობა, რომ ვერეს ტრაგედია განმეორდეს. ზოგადად, თბილისის მდინარეების ჭალებსა და ხეობებში მცხოვრები მოსახლეობა ყოველდღიურად რისკის ქვეშ ცხოვრობს. ეს მდინარეები ამ ადამიანებისთვის მართლაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. თქვენ ხედავთ, რომ აქაც, მდინარიდან სულ რამდენიმე ნაბიჯში, პირდაპირ ხეობაში, გაშენებულია საცხოვრებელი სახლები. ამ მშენებლობებზე ნებართვები, როგორც

ჩანს, წლების წინათ გაიცა, თუმცა არის უნებართვო მშენებლობებიც. ნებისმიერ შემთხვევაში პასუხისმგებლობა აკისრია მუნიციპალიტეტს. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ მდინარეების ჰიდროლოგიური და გეოლოგიური მდგომარეობის შესწავლა, რაც წლებია, არ მომხდარა, ეს კვლევა საშუალებას მოგვცემს, უფრო ნათლად დავინახოთ, სად შეიძლება იყოს ყველაზე მაღალი რისკის ზონა და სად უნდა ველოდოთ სტიქიის შემოტევას. მანამდე კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიღმულაზეც და ნებისმიერ სხვა მდინარეზეც შეიძლება მოხდეს იგივე, რაც ვერეს შემთხვევაში მოხდა.

– კლიმატის ცვლილება რამდენად განაპირობებს ასეთ სტიქიებს?

– თბილისში კლიმატის ცვლილებები და ნალექის მატება ოფიციალურად არის დადგენილი. 25 პროცენტით არის გაზრდილი ნალექების წლიური მოცულობა. ბუნებრივია, ეს ზრდის წყალდიდობებისა და ღვარცოფების საფრთხეს. გარდა ამისა, არანაირი დისტანცია ამ მდინარეებთან არ არის დაცული. თქვენ ხედავთ, რომ აქ დღესაც მიმდინარეობს გარკვეული მშენებლობები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ერთი მხრივ, კვლევის ჩატარება და მეორე მხრივ, მოსახლეობასთან კომუნიკაციის დაწყება, ამ სახლების გამოსყიდვა და მათთვის ალტერნატივის შეთავაზება. მომავლისთვის კი უნდა ამოქმედდეს მკაცრი რეგულაციები და აიკრძალოს მდინარეების ჭალებში ყოველგვარი მშენებლობა. უნდა დადგინდეს საშუალო დისტანცია, რომელიც იქნება გონივრული და განსაზღვრავს, რა მანძილის დაშორებით შეიძლება მშენებლობა.

– არადა, ერთი შეხედვით, ეს მდინარე თავისი მასშტაბით არცთუ ისე დიდია, ამ მასშტაბის ზიანი რომ მოიტანოს...

– საერთოდ, დამშრალ ხევებშიც კი არსებობს წყალდიდობისა და ღვარცოფის პოტენციალი. იმის თქმა, რომ დიღმულა პატარა მდინარეა და არ შეუძლია კატასტროფული ზიანის მოტანა, არაადეკვატურია. მთელი რიგი მიზეზების ერთობლიობა, იქნება ეს მეწყერი, მდინარის დაბინძურება, გეოლოგიური პირობები თუ სხვ., წარმოქმნის საფრთხეს. აუცილებელია განგაშის სისტემების დამონტაჟება, რაც, დაპირების მიუხედავად, ამ დრომდე არ არსებობს. მოქმედი ხელისუფლება გვპირდებოდა, რომ, წინამორბედისგან განსხვავებით, გარემოს დაცვა იქნებოდა ქვეყნის პრიორიტეტი, მაგრამ დღეს ამას არაფერი ადასტურებს. გარემოს დაცვა რჩება ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებ პრიორიტეტულ საკითხად. დღევანდელი ხელისუფლება არათუ სხვის, არამედ საკუთარ შეცდომებზეც კი არ სწავლობს. ჩვენ გვახსოვს კრწანისის ტრაგედია, სადაც 5 ადამიანი დაიღუპა, გვახსოვს რიკოთის ტრაგედია, ბოლოს იყო ვერე, მაგრამ მიდგომები არ იცვლება.

– აშკარაა, რომ მდინარეების ხეობებიდან, მათ შორის ამ ადგილიდან, მოსახლეობა იქამდე უნდა გაიყვანონ, სანამ მორიგი უბედურება დატრიალდება... თუმცა მეორე საკითხია, რამდენად აქვს სახელმწიფოს ამის ფინანსური რესურსი?

– რა თქმა უნდა, პრევენცია ყოველთვის იაფია, მით უმეტეს, როდესაც საუბარია ადამიანების სიცოცხლეზე, ეს გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იქნას მიღებული. ტრაგედიის შემდეგ რეაგირება გაცილებით ძვირი შეიძლება დაუჯდეს სახელმწიფოს, ვიდრე წინსწრებით ადეკვატური ზომების გატარება.

აქ საუბარში გვერთვება ადგილობრივი მცხოვრები, შუახნის ქალბატონი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იქიური უბედურების ახალი ზონა

ლაშა ჩხარტიშვილი: „მდინარე დეტალურად არის შესასწავლი... ძალიან მაღალია ალბათობა, რომ ვერეს ტრაგედია განმეორდეს“

დიღმულას ხეობაში, მდინარის მახლობლად საცხოვრებელი სახლი 2000 წელს ააშენა. ამბობს, რომ მშენებლობის ნებართვა 90-იანი წლების ბოლოს მიიღო და ყველაფერი კანონიერად გააკეთა, თუმცა დღეს არსებული საფრთხის გამო თანახმაა, ადეკვატური კომპენსაციის, ან ალტერნატივის შემოთავაზების შემთხვევაში საცხოვრებლად სხვაგან გადავიდეს.

ქალბატონი საკუთარ სახლში გვეპატიჟება და 13 ივნისს დიღმულას ადიდების შედეგად მიყენებულ ზიანს გვანახვებს. ეზოში რამდენიმე მამაკაცი სტიქიის შედეგად დაზიანებული ჯებირების გამაგრებას განაგრძობს. იქვე გდია მთლიანად განადგურებული მსუბუქი ავტომობილი.

თამილა მიქაბაძე, ადგილობრივი:

– ეს მანქანა მტკვრიდან ამოათრიეს, აღარაფრად ვარგა, ძალიან დავზარალდით. აი, პირველი სართულის კედლები ნახეთ, მთლიანად წყლით და შლამით იყო სავსე, ძლივს გავიტანეთ. მდინარემ ჯებირი გაარღვია და პირდაპირ სახლში შემოვარდა წყალი. ჩვენ მეორე სართულზე ვიყავით ასულები.

– კომპენსაცია არ მოგითხოვიათ?

– ვინ მოგცემს, შვილო, კომპენსაციას?! კი, დაპირებით გვპირდებიან, მაგრამ გჯერა?!

– რამდენი ოჯახი ცხოვრობს ხევში?

– ამ მხარეს 5 ოჯახი, მაგრამ ზევით კიდევ რამდენიმე ოჯახია. მას შემდეგ ვაკეთებთ ჩვენი ძალებით და ვერ დავამთავრეთ. მდინარეზე ეს ჯებირიც ჩვენი სახსრებით გავაკეთეთ. გამგებელთან ვიყავი შესული, ეუთხარი, ცოტა მომეხმარეთ, ბევრს არ ვითხოვ-მეთქი. ქალბატონო, მაგას ჩივით, მთავარია, გადარჩითო. მკვდარი რომ ვყოფილიყავი, იქ ხომ არ მივიდოდი, ეს რა პასუხია?!

– ალტერნატივა რომ შემოგთავაზონ, დასთანხმდებით?

– კი, გენაცვალე, თუ იქნება რეალური შემოთავაზება, რატომ არ წავალ?! შეაფასონ სახლი და კიდევ დავაკლებ თანხას, მაგრამ არავინ ამაზე არ ლაპარაკობს.

მდინარე დიღმულას პოტენციური საფრთხის მატარებლად მიიჩნევს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელი, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძეც. მისი თქმით, ტრაგედიის განმეორებისგან დღეს თბილისი დაცული არ არის. რისკის ზონებს შორის ის, დიღმულასთან ერთად, კიდევ რამდენიმე მცირე მდინარეს ასახელებს.

„თბილისში ბევრი მსგავსი საშიში ტერიტორიაა. ქალაქში 10 პატარა მდინარეა, რომელიც პოტენციურად შესაძლოა, ადიდეს. მსგავს უბნებში შედის დიღმულა, გლდანულა, სოლოლაკი, კრწანისი, ვერა. ადრე იყო სპეციალური სამსახური, რომელიც მეწყერსაშიშ ზონებს აფასებდა. ეს იყო ძალიან მკაცრი მონიტორინგის სამსახური. ჩვენ დღეს არ ვართ დაცულები, რომ მსგავსი ტრაგედია არ განმეორდება“, – ამბობს ნინო ჩხობაძე.

როგორც მწვანეთა მოძრაობაში განმარტავენ, ქალაქში სრულად ამორტიზებულია სანიაღვრე სისტემები, რაც დამატებით პრობლემას ქმნის უხვი ნალექის შემთხვევაში.

„სანიაღვრე სისტემა ქალაქში აბსოლუტურად ამორტიზებულია. ძალიან ბევრ ადგილას სანიაღვრე სისტემა არის დახურული ან დაბინძურებული. სანიაღვრე სისტემები მუდმივად უნდა იწმინდებოდეს, უნდა ხდებოდეს მათზე დაკვირვება. სტიქიის დროს ბევრი ტრასა იყო დატბორილი ნალექის შედეგად, რადგან სანიაღვრე სისტემა წყალს ვერ ატარებდა. ეს არის იმის შედეგი, რომ სანიაღვრე სისტემა გამართულად არ მუშაობს“, – აღნიშნავს **ნინო ჩხობაძე.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრეზიდენტის პოპულისტური ნაბიჯები

ის პოლიტიკაში კონკრეტული თემებით უფრო მანიპულირებს და ეს ყოველთვის ნეგატივი არ არის

ქეთი ხატიაშვილი

ასე ხდება ყოველთვის, როცა პოლიტიკაში პოლიტიკისგან შორს მდგარი ადამიანები მოდიან, თანაც ნებაყოფლობით კი არა, ვინმეს თხოვნით. როგორც წესი, თავდაპირველად მათ თავადაც არ ესმით, რა შუაში, ან თავში, არიან პოლიტიკასთან, თუმცა, მოგვიანებით, ამბიციები იღვიძებს და კონფლიქტიც იწყება.

ერთი კლასიკური მაგალითი ნინო ბურჯანაძეა. ერთხელ რეფორმატორებმა ის პარლამენტში ანტირეფორმატორების წინააღმდეგ გამოიყენეს. მაშინ ანტის ლიდერი ვაჟა ლორთქიფანიძე იყო, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებდა. ასე გახდა ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიას შემდეგ. რეფორმატორებმა მაშინ ეს ბრძოლა მოიგეს. რიგითი დეპუტატობიდან ზემოთ გადანაცვლების შემდეგ ბურჯანაძე ერთ მავნე, კაპარჩხანა ფიგურად იქცა პოლიტიკაში. მისი ვიზუალი კი იყო დასავლური და მას ამის გამო მომხრეებიც ჰყავდა, მაგრამ დასავლური ღირებულებების არაფერი გაეგებოდა. ამიტომაც ჩვენ მას პოლიტიკური ბარბი დავარქვით. ეს ტიტული რომ დაიმსახურა, მისმა შემდგომმა ნაბიჯებმაც დაადასტურა. ჯერ საკუთარ გუნდს – მათ, ვინც მისგან, საერთოდაც, პოლიტიკოსი შექმნა – ზურგი აქცია და მუდმივად „ფეხს უდებდა“. ამიტომაც საკუთარ პოზიციასა და მხარდაჭერას ყიდდა ხოლმე. ასე მაგალითად, 2007 წლის დარბევის შემდეგ მან მაშინდელ ხელისუფლებას მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ სააკაშვილმა ერთ ლარად წყნეთში სოლიდური მინის ნაკვეთი აჩუქა. ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ კი ბურჯანაძემ დასავლეთსაც აქცია ზურგი და პუტინის კარის მსახური გახდა. პოლიტიკაში ის უფრო მეტს „ვრედნობს“, ვიდრე იბრძვის ღირებულებისთვის, ან დემოკრატიისთვის. და ზუსტად თქვა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა, როცა ბურჯანაძის მოსკოვურ ვოიაჟებზე კომენტარი გააკეთა:

„რუსული ზეგავლენა იზრდება საქართველოში. არ ვსაუბრობ მხოლოდ „ბორდერიზაციაზე“, მავთულხლართებსა და მცოცავ ოკუპაციაზე, სოკოებივითაა გამრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ხალხი, რომელიც საერთოდ არ გინახავს და არ გსმენია მათ შესახებ, უცებ გამოდის, სატელევიზიო არხებზე ინტერვიუებს აძლევს; ხდებიან ექსპერტები და აქვთ მაღალი ანაზღაურება. საქართველოში არიან პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ოფიციალურად, საჯაროდ, არიან პრორუსული... ქვეყნის პარლამენტის ყოფილი სპიკერი, წინა ცხოვრებაში სააკაშვილის დიდი მეგობარი და მოკავშირე, მიდის მოსკოვში, ხვდება პუტინს, არავინ არ იცის, რაზე საუბრობენ, მაგრამ ყოველთვის, როცა ის მოსკოვში ჩადის და ბრუნდება, ყოველთვის რაღაც საშინელება ხდება საქართველოში. მაგალითად, ავტონომიურ რესპუბლიკა ე.წ. სამხრეთ ოსეთში საზღვრის გადმოწევის მსგავსი. აღნიშნული სწორედ მისი მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მოხდა“, – ეს განაცხადება თინა ხიდაშელმა ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას თქვა.

თითქმის ასეთივე ისტორია აქვს გიორგი მარგველაშვილსაც. ის მეორე კლასიკური მაგალითია. ბურჯანაძის მსგავსად, ისიც რიგითი იყო და ერთ მშვენიერ დღეს პოლიტიკაში ყველაზე გავლენიანი ფიგურის ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი გახდა. ბევრი შრომა და ფინანსები დახარჯეს მის გასაპრეზიდენტებლად.

და, ალბათ, როგორც კი ძალაუფლების ხიბლი იგრძნო, პრეზიდენტის პოსტზე ისე მოიქცა, როგორც ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს.

ის თუ პოლიტიკური ბარბი იყო, ეს პოლიტიკურ ღამურას ემსგავსება. რატომ ღამურას? იმიტომ რომ მარგველაშვილი უცხო სხეულია უკვე როგორც საკუთარი გუნდისთვის, ისე ოპოზიციისთვისაც.

საკუთარი გუნდისთვის იმიტომ, რომ მათთვის პრეზიდენტი საკუთარ ამბიციებსა და პოპულიზმზე ორიენტირებული ფიგურა გახდა.

მარგველაშვილს გუნდი არ ჰყავს. ასე რომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი გაეროში პრემიერი წავა

რეალურად ასეცაა. პრეზიდენტი მხოლოდ პოპულისტურ კანონებზე რეაგირებს, მხოლოდ იმ კანონებს ადებს ვეტოს, რომელზეც ხმაური იწყება, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების დაცვის ეგიდით. მაგალითად, როცა მარგველაშვილმა ვეტო დაადო მოსმენების შესახებ კანონს, პარლამენტში მას მხარდამჭერები უმრავლესობის შიგნითაც გამოუჩნდნენ, იგივე „ფორუმის“ სახით. თუმცა, საკუთარი ვარიანტით, რომელიც პრეზიდენტმა კანონმდებლებს შესთავაზა, ოპოზიციაც სახტად დატოვა – აღმოჩნდა, რომ ერთადერთი, რაც მარგველაშვილმა შეძლო, ეს ვეტოს დადება იყო, თორემ ამ საკითხზე მას არც საკუთარი ხედვა აქვს და, შესაბამისად, ვერც ალტერნატიული კანონპროექტი შექმნა.

ანუ პრეზიდენტმა არც საკუთარი გუნდის ხედვას დაუჭირა მხარი და არც არასამთავრობოებისა და ოპოზიციის პოზიციები გაიზიარა. საკუთარი კი ვერაფერი შესთავაზა პარლამენტს. ეს კი მას უკვე პოლიტიკური ღამურის როლში აყენებს.

მაგალითად, ერთიანი ბანკის შესახებ კანონს მან ვეტო დაადო, თუმცა, ისეთ სკანდალურ კანონს მოაწერა ხელი, რომელიც სახელმწიფოს უფლებას აძლევს, ნებისმიერი ჩვენგანის საბანკო ანგარიშებზე წვდომა ჰქონდეს, თანაც ისე, რომ მოქალაქეს მისი გასაჩივრების უფლებაც კი არ აქვს. ეს, საერთოდაც, ნონსენსია, – აცხადებს ექსპერტი ლევან ალაფიშვილი. თუ პრეზიდენტი მართლაც დემოკრატიას აძლიერებს და ადამიანის უფლებებს იცავს, მაშინ რა ლოგიკით შეიძლება მას გასაჩივრების უფლებაც კი ჩამოართვა? ჩვენს პირად ანგარიშებზე წვდომის უფლების დაკანონებაზე აღარაფერს ვამბობ.

მოკლედ, პრეზიდენტი ახლა პოლიტიკაში ყველაზე წინააღმდეგობრივი ფიგურაა. მას ხან ოპოზიცია აკრიტიკებს იმიტომ რომ რაღაც „თემებს ბოლომდე ვერ აწვება“, როგორც თავადვე ამბობენ; საკუთარი გუნდი აკრიტიკებს, იმიტომ რომ მათ პოლიტიკას ხშირად ეწინააღმდეგება. თითქოს შუაში დგას. ამას კი თავად პრეზიდენტი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობით ხსნის.

სინამდვილეში მარგველაშვილმა კარგად უნდა იცოდეს თამაშის გუნდური წესების ეფექტიც და ძალაც. როცა ივანიშვილმა ფსონი მასზე დადო, შიდა წინააღმდეგობების მიუხედავად, გუნდში გადაწყვეტილება მაინც გიორგის სასარგებლოდ მიიღეს – საპრეზიდენტო კანდიდატად ის დაასახელეს – და შემდეგ მთელი გუნდი ამ გადაწყვეტილებას იცავდა.

ბურჯანაძის მსგავსად, ისიც რიგითი იყო და ერთ მშვენიერ დღეს პოლიტიკაში ყველაზე გავლენიანი ფიგურის ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი გახდა

ანუ მან იცის, რას ნიშნავს გუნდურობა. როგორ შეიძლება ამან იმუშაოს, როგორი ეფექტური შეიძლება იყოს და რამდენი ხარვეზი და შეცდომაც კი შეუძლია გადაფაროს.

თუმცა, მას ერთგულებისთვის სიმამაცე არ ეყო. პოპულიზმს იოლად აჰყვა.

რა თქმა უნდა, თავისი არგუმენტები პრეზიდენტსაც აქვს. ამბობენ, რომ ის კანცელარიის ერთ ოთახში იყო გამოკეტილი და ეს შეურაცხყოფად მიიღო. არ არის გამორიცხული, ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს თავი დამცირებულად ეგრძნო. თუმცა, ესეც მისი არჩევანი იყო.

„როდესაც პრეზიდენტი გავხდები, იმ რეზიდენციაში არ შევალ, ერთი მარტივი მიზეზით – საქართველოსნაირ ქვეყანაში ასეთი დიდი ფუფუნების საგანი ერთი ინსტიტუტის საკუთრება არ უნდა იყოს. ის უნდა გახდეს უფრო ხალხის საკუთრება. როდესაც ჩვენი ეკონომიკა ძალიან გაძლიერდება, მერე შეგვიძლია ავამენოთ სერიოზული რეზიდენციები. ვფიქრობ, ეს რეზიდენცია უნდა იყოს ხალხის საკუთრებაში, დანარჩენს გუნდის შიგნით ვისაუბრებთ“, – ეს მარგველაშვილის სიტყვებია გაპრეზიდენტებამდე.

პრეზიდენტს არც ერთი განმარტება არ გაუკეთებია, რატომ შეცვალა გადაწყვეტილება მოგვიანებით, გუნდმა კი განმარტებები ოფიციალურად მოითხოვა. პრეზიდენტ მარგველაშვილთან შეთანხმებითა და სურვილით მისთვის რეზიდენცია ათონელზე სპეციალურად გარემონტდა.

რა როლს თამაშობს პრეზიდენტი მარგველაშვილი პოლიტიკაში? ექსპერტი ლევან ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ ის პოლიტიკაში კონკრეტული თემებით უფრო მანიპულირებს და ეს ყოველთვის ნეგატივი არ არის.

ტრადიციულად, დაპირისპირების საგანი არამხოლოდ პოპულისტური თემებია, პრეზიდენტი საზღვარგარეთულ ვიზიტებზეც მწვავედ რეაგირებს. გაეროში ვიზიტი ერთხელ უკვე იქცა სკანდალად, ახლა მეორე სკანდალია. საერთაშორისო ნორმების თანახმად, ლევან ალაფიშვილის განმარტებით, გაეროს ასამბლეაზე შეიძლება წავიდეს სახელმწიფოს მეთაური, პრემიერი ან საგარეო საქმეთა მინისტრი. და თუ ვინ წავა, ამის გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით გუნდი იღებს.

თუმცა, მარგველაშვილს გუნდი არ ჰყავს. ასე რომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი გაეროში პრემიერი წავა. ისე, არ მახსენდება პრეზიდენტი პოლიტიკური საყრდენის გარეშე.

მარგველაშვილი ირწმუნება, რომ ის პოლიტიკურ ბატალიებში ჩართული არ არის. გამოდის, მხოლოდ პოპულიზმშია ჩართული. ანუ პო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ენტო პოზიცია

პოპულისტური ნაბიჯები შესაძლოა, მომგებიანია ხალხის გულის მოსაგებად, მაგრამ პოლიტიკაში არასერიოზულად გამოიყურება

ლიტიკისგან შორს არის, პოპულიზმთან – ახლოს?

პოლიტიკის კეთებასა და პოპულიზმს შორის სერიოზული განსხვავებაა. საქართველოში პოლიტიკის მკეთებელი მართლაც ძალიან ცოტაა. პოპულისტობასაც დიდი ნიჭი უნდა. დანარჩენები ცდილობენ, ან ერთ მხარეს მიეწერონ, ან – მეორეს.

პოპულისტური ნაბიჯები შესაძლოა, მომგებიანია ხალხის გულის მოსაგებად, მაგრამ პოლიტიკაში არასერიოზულად გამოიყურება. მაგალითისთვის საბერძნეთის კრიზისი ავიღოთ.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ალექსის ციპრასმა ეკონომიკურ კრიზისს რეფორმებით კი არ უპასუხა, არამედ რეფერენდუმით. ერთი მხრივ, ეს პოპულისტური ნაბიჯი იყო, ხალხის განწყობებზე ითამაშა, მეორე მხრივ კი, ბრიუსელი დააშანტაჟა. გარკვეულ მომენტამდე პოპულიზმმა გაჭრა კიდეც, თუმცა, საბოლოოდ, იმიტომ რომ მას რეალური პოლიტიკის კეთება არ შეეძლო, იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

პოპულისტები ვერ პასუხობენ მნვავე გამოწვევებს, ვერ ხედავენ რეფორმების გაგრძელების შესაძლებლობებს. ისინი მხოლოდ ხალხის ოვაციებსა და ემოციებზე არიან ორიენტირებული, პოლიტიკაში კი უპასუხისმგებლობით გამოირჩევიან, ამიტომაც საბოლოოდ აგებენ.

სად დგას პრეზიდენტი? მარგველაშვილი პოპულისტია თუ პოლიტიკის კეთებაც შეუძლია? ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის ჯერ პოპულიზმზეა ორიენტირებული: არანაირი პასუხისმგებლობა არ აქვს, თამაშობს მგრძნობიარე თემებით და ცდილობს, თავი პრეზიდენტად იგრძნოს. ჯერჯერობით სულ ეს არის. როგორი გაგრძელება ექნება პრეზიდენტის პოპულიზმს მომავალში, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. უმეტესობა მაინც დარწმუნებულია, რომ ის სახლში წავა, თუმცა სხვები გაკვირვებულები კითხულობენ: თუ სახლში უნდა წავიდეს, მაშინ რა საჭიროა პოპულიზმი? რისთვის აგროვებს რეიტინგს? ხომ არ ცდილობს ოპოზიცია, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის შექმნას და შემდეგ მის გამოყენებას?

კითხვაც ბევრია და ვარაუდიც. და თუ ერთგულებისთვის არ ეყო სიმამაცე მარგველაშვილს, პოლიტიკური ბატალიებისთვის ეყოფა?

ეს ფოტო სოციალური ქსელებით გავრცელდა

ბოიკოტი არჩევნებს

„ხელისუფლება ეცდება, რომ ოპოზიციის გარკვეულმა ჯგუფებმა ამ არჩევნებში ფორმალურად მაინც მიიღონ მონაწილეობა“

ქეთი ხატიაშვილი

ჯერ ერთკაციანმა პარტიებმა გააპროტესტეს, შემდეგ მთავარმა ოპოზიციურმა ძალამაც – შუალედურ არჩევნებში ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ.

არგუმენტი ყველამ თავისი მოიყვანა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“: 2015 წლის შუალედური არჩევნები ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანა და საბიუჯეტო თანხების ფუჭი ხარჯვაა. ორი ახალი პარლამენტარი ქვეყანას არსებული კრიზისიდან ვერ გამოიყვანს. როგორც სერგო რატიანმა განმარტა, პარტია შეეცდება, ვადამდელი არჩევნების დანიშვნისთვის იბრძოლოს.

არასაპარლამენტო პარტიებმა ბოიკოტის მიზეზად საარჩევნო კოდექსი დაასახელეს:

„2015 წლის გაზაფხულზე ხელისუფლებამ უპასუხოდ დატოვა ქვეყნის ყველა ოპოზიციური (საპარლამენტო და არასაპარლამენტო) პარტიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პრეზიდენტის მიერ მხარდაჭერილი პროექტი საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ. რეალურად 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ მივიღეთ არა საარჩევნო რეფორმა, არამედ კიდევ უფრო ანტიდემოკრატიული საარჩევნო გარემო.

მიგვაჩნია, რომ ამ პირობებში არანაირი აზრი არ აქვს 2015 წლის ოქტომბერში დაგეგმილ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას (მარტვილისა და საგარეჯოს ოლქებში)...“ – ნათქვამია მათ განცხადებაში.

არასამთავრობოების შეფასებით კი, თუკი არჩევნებში მხოლოდ ერთი სახელისუფლებო პარტია მიიღებს მონაწილეობას, ეს ქვეყნის იმიჯზე ცუდად იმოქმედებს.

„ბოიკოტი კონკურენტულ, თავისუფალ, სამართლიან გარემოზე უარყოფითად აისახება. მაგრამ ასეთ დროს, როდესაც ხელისუფლება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების პოზიციას არ განიხილავს, ბოიკოტი გამართლებული შეიძლება იყოს, რადგან ეს კონკურენტული სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად“, – ეს განცხადება სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორს ნინო ლომჯარიას ეკუთვნის.

ბოიკოტის თემა ქართულ პოლიტიკაში უკვე ტრადიციაა. ბოიკოტი რომ გამოსავალი არ არის, ჯერ მაინც ვერ ისწავლეს. საარჩევნო რინგზე ხელისუფლება მარტო არასოდეს რჩება. ყოველთვის გამოჩნდებიან პარტიები, რომლებიც მზად იქნებიან, სხვების სივრცე აითვისონ. მით უფრო, თუ ეს პარტია „ნაციონალური მოძრაობაა“.

ნაციონალების არგუმენტი ლოგიკასთან უფრო ახლოსაა. შემოდგომაზე არჩეული დეპუტატი სანამ შესაბამის პროცედურებს გაივლის, საგაზაფხულო სესიის დროც მოვა. გაზაფხული კი უკვე ცხელი საარჩევნო პერიოდია.

რაც შეეხება არასაპარლამენტოების მოთხოვნებს, ისინი მიიჩნევენ, რომ საარჩევნო კოდექსი ხელისუფლებას უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, ამიტომაც არც ახლა და არც მომავალში, თუკი კოდექსი არ შეიცვლება, არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს.

ექსპერტების შეფასებით, ოპოზიცია ხელისუფლებას კონკურენციას ვერ გაუწევდა, ამიტომაც მან საარჩევნო რინგიდან ჩამოსვლა ამჯობინა. საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის თანათავმჯდომარე ხათუნა ლაგაზიძის განცხადებით:

„ამ კონკრეტულ შუალედურ არჩევნებში ოპოზიციის დიდ ნაწილს გამარჯვების შანსი არ აქვს, ამიტომ ისინი ცდილობენ, რესურსები არ დახარჯონ. აქედან გამომდინარე, იმაზე საუბარი, არის თუ არა ეს ხელისუფლების დემოკრატიულობის ტესტი, გართულდება. ხელისუფლება ეცდება, რომ ოპოზიციის გარკვეულმა ჯგუფებმა ამ არჩევნებში ფორმალურად მაინც მიიღონ მონაწილეობა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმის“ სკანდ

my View
სალომე ჩადუნელი

ზაზა გაბუნიას ექსპერიმენტი მარცხით დასრულდა. ნაძალადევის რაიონში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის 4 კორპუსში დამონტაჟებული 11 პანდუსი არა მხოლოდ მოუხერხებელი და უხარისხო, არამედ საფრთხის შემცველიც აღმოჩნდა. პროექტი ნამდვილად საინტერესო და მნიშვნელოვანია, ნაძალადევის რაიონის გამგეობა ინიციატივის გამო შექებას იმსახურებს, თუმცა გაკეთებული საქმე ვიქტორ ჩერნომირდინის სიტყვებს ემსგავსება: „გვინდოდა, ყოფილიყო უკეთესი, მაგრამ გამოვიდა, როგორც ყოველთვის“.

„პრაიმტაიმმა“ იმ კრიტიკის სამართლიანობის შემოწმება გადაწყვიტა, რომელიც პანდუსებმა დაიმსახურა და ექსპერიმენტი ჩაატარა.

ექსკლუზიური ექსპერიმენტი

გურამიშვილის ქუჩის 12ა-ში მდებარე N1 კორპუსი ერთ-ერთია იმ ოთხი მაღალსართულიანი შენობიდან, რომელშიც პანდუსები დაამონტაჟეს და ადაპტირებულად ითვლება. აქ, მეორე სართულზე, შშმ პირი ცხოვრობს. პირველად ექსპერიმენტში მონაწილეობა სწორედ მას შევთავაზეთ. გვინდოდა დავრწმუნებულიყავით, რომ ადაპტირებულ კორპუსებში მცხოვრები შშმ პირები პანდუსებით დამოუკიდებლად და კომფორტულად გადაადგილდებიან. უარის მიღების შემდეგ ექსპერიმენტში მონაწილეობა სპორტსმენსა და ტელეწამყვანს მერაბ დუკაშვილს ვთხოვეთ. მერაბის ფიზიკური მონაცემები და შედარებით პატარა ზომის სპორტული ეტლი დაგვეხმარა გაგვეზარდა ექსპერიმენტის საანდოობა. თუ მერაბი პანდუსზე ამ უპირატესობების მიუხედავად ვერ გადაადგილდება, პანდუსების უხარისხობაზე და გამოუყენებლობაზე აღარავინ იდავებს. მალე, ხელისუფლების ამ წამოწყებით სხვა უბნებიც ისარგებლებენ, ამიტომ მერაბისთვის, როგორც შშმ პირისთვის მნიშვნელოვანია, რომ შესრულებული სამუშაოები ხარისხიანად ჩატარდეს და მან გადაადგილება სხვების დახმარების გარეშე შეძლოს.

ბარიერი პირველი: მერაბ დუკაშვილმა ბინაში შესვლა და პირველ სართულზე დამონტაჟებული პანდუსის გამოყენება დამოუკიდებლად სცადა, თუმცა არათუ პანდუსებით გადაადგილება, პირველი სართულის კიბეებამდე მისვლაც ვერ შეძლო.

ბარიერები, როგორიცაა: ამაღლება კორპუსის წინ, სადარბაზოს კარის ზღურბლი და არასწორად დაყენებული მანქანა ეტლით მოძრაობას აბრკოლებს. ერთადერთი გამოსავალი სხვა ადამიანის დახმარებით გადაადგილებაა.

მეორე ბარიერი: ასაკეცი პანდუსის ჩამკეტია. მერაბ დუკაშვილი კედლის შუაში დამონტაჟებულ საკეტს ვერ მისწვდა და ამ შემთხვევაშიც სხვა ადამიანის დახმარება დასჭირდა.

ბარიერი მესამე: ძლიერი ფიზიკური მონაცემები და სპორტული ეტლი მერაბს კომფორტულად და ადაპტირებულად გადაადგილებაში ეხმარება - მიუხედავად ამისა, მან პირველ სართულის ბაქანზე ეტლის მოტრიალება და კომფორტული მანევრირება ვერ შეძლო, კიბესა და კედელს შორის გაიჭედა და დახმარება დასჭირდა.

ექსპერიმენტის მეოთხე ეტაპი არ შედგა. მერაბმა პანდუსი ბოლომდე ვერ გამოსცადა, რადგან „პრაიმტაიმის“ ექსპერტიმენტს შშმ პირის მეუღლემ შეუშალა ხელი. (შეგახსენებთ, რომ ამ პირმა თავდაპირველად უარი თქვა ექსპერიმენტში მონაწილეობაზე).

ბარიერი N1: ბარიერი სადარბაზოსთან ჩემი სპორტული ეტლისთვისაც კი, ეს არის ძალიან დიდი ბარიერი“

ბარიერი N2: „ მანქანა არ უნდა იდგეს. სიმბოლო უნდა იყოს გაკეთებული სადამდე არ შეიძლება მანქანის დაყენება“

ბარიერი N3: „კარის ზღურბლი ეს არის დიდი ბარიერი, რომელზეც ძალიან ბევრი ვერ გადავა“

ბარიერი N4: „როგორ გადმოვწიო პანდუსი, როდესაც საკეტი შორსაა და მე ვარ მარტო?“

ბარიერი N5: „სადარბაზოს ვიწრო ბაქანი. მერაბმა პირველი სართულის ბაქანზე მობრუნება შეძლო, თუმცა პირველ და მეორე სართულის დამაკავშირებელ ბაქანზე კედელსა და პანდუსს შორის გაიჭედა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალური ექსპერიმენტი

„ფორმალური პანდუსების ქალაქი“

მერაბ დუკაშვილი: „ყველა ვარიანტში ჰგონიათ, რომ შშმ პირებს არაფერი შეგვიძლია და მაინცდამაინც დამხმარე გვჭირდება“

მისაკუთრებული პანდუსები და დაპირისპირება

უწყინარ ექსპერიმენტს ექსცესებ-ის გარეშე არ ჩაუვლია. შშმ პირის მეულღე, რომელიც მეორე სართულზე ცხოვრობდა, ჩვენმა დანახვამ გააღ-იზიანა.

ქალი: ჩემი მოთხოვნით გაკეთდა, სახელმწიფოსი არ არის ჩემია.

მერაბი: ქალბატონო ამ საქმეს რომ გამგეობა ისაკუთრებს და შემდ-ეგ სხვაგანაც იგივეს აკეთებენ?

ქალი: გაიწიეთ, გადით, დროზე (სადარბაზოს დატოვებისკენ მიგვ-ითითებს, პარალელურად, გაშლილ პანდუსებს კეცავს და კედელზე საკე-ტით ამაგრებს).

მერაბი: უკაცრავად, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და ძალიან გთხოვთ ცო-ტა სხვანაირად მომექეცით. ამ პანდ-უსებს სხვაგანაც აკეთებენ, ჩვენ გვ-იკეთებენ და ასე არ შეიძლება.

ქალი: ჰოდა, გააკეთებინეთ ისეთი, როგორიც თქვენ მოგწონთ. გამანებე თავი ახლა.

მერაბი: მაშინ უნდა მიუთითოთ ჩემთვის პირადად ასეთი პანდუსი გა-აკეთეთო, ასე არ შეიძლება. სახელმ-წიფო მოდის და ამბობს, რომ ყველ-გან ეგრე უნდა გავაკეთოთო.

ქალი: ჰოდა, წადი და სახელმწი-ფოს ელაპარაკე, აღარ მაქვს თქვენი ნერვები, აღარ შემიძლია. ამ პანდუს-ებს თავი დაანებეთ და თქვენ როგო-რიც გინდათ ისეთი გააკეთეთ. მე ჩემი ფულით ვაკეთებდი ამას.

ჟურნალისტი: ეს პანდუსები თქ-ვენი ფულით დაამონტაჟეთ?

ქალი: არა, სახელმწიფომ გააკეთა. წავიდეს პირველ სართულზე და იქ იაროს რამდენიც უნდა, უნდათ რომ პანდუსები მოხსნან.

აკეცილი პანდუსები კვლავ ჩამო-ვშალეთ და სადარბაზოდან გასულ-ებს ქალის მეულღის გინებაც მოგვეწ-ია.

მერაბის შთაბეჭდილებები

„როგორ გადმოვწიო პანდუსი, როდესაც საკეტი შორსაა და მე ვარ მარტო?“ ე.ი. ყველა ვარიანტში ჰგონ-იათ, რომ შშმ პირებს არაფერი შეგვ-იძლია და მაინცდამაინც დამხმარე გვჭირდება. ეს არის პირველი ნათელი მაგალითი იმისა, რომ ჩვენი უფლებე-ბი ირღვევა. მე პანდუსი ვერ გადმოვ-წიე არ დავაკვირდი და ის პიროვნება გავუშვი, ვინც დამეხმარა, შემოვტ-რიალდი და ვრჩები იზოლირებულ-ად, პატარა ადგილას და იძულებული ვარ სანამ ვინმე არ გაივლის მანამდე ასე დაუცველად ვიდგე ამ ერთ ადგ-ილზე“.

,,ხვალ-ზეგ ჩემთანაც იგივეს გააკ-ეთებენ და ვერ ავალ. მე არ მჭირდება ვიღაცამ ხელით მატაროს. როცა მე ვიტყვი, რომ ამწე მირჩევნია, იტყვიან ეს ადამიანი კმაყოფილია და შენ რა უკმაყოფილო ხარ? შენ რა განსაკუთ-რებული გჭირდება? ჩემთან სახლში ყოველთვის ვინმე ვერ იქნება, თქვე-ნც ნახეთ მარტო ვერ ავედი. ყოველთ-ვის არ მეყოლება ადამიანი, რომელიც დამეხმარება და არც მინდა დამეხმ-აროს, ამაშია საქმე. საქართველოში მაგაზე ვიბრძვით, რომ დახმარება არ გვჭირდება. ვისაც გვირჩევნია რომ დამოუკიდებლად ვიაროთ, იმათ გვექ-მნება ძალიან დიდი პრობლემა“.

პასუხისმგებელი მხარე კომენტარს არ აკეთებს

ნაძალადევის გამგეობამ საკუთა-რი ინიციატივის ამსახველი ფოტო-მასალა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა. ხარვეზების დაფიქსირ-ების შემდეგ კი კომენტარის გაკეთე-ბა აღარ ისურვეს. გამგებელი მოკლე განცხადებით შემოიფარგლა, პასუხგ-აუცემელი კითხვები კი ბევრი დარჩა. „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ პანდ-უსების საქმეს ქალაქის მერი, დავით ნარმანია პირადად სწავლობს და ამ საკითხს მალე ოფიციალურადაც გა-მოეხმაურება.

მანამდე კი ზაზა გაბუნიას მცირე კომენტარი, რომელშიც ექსპერტების მიერ დაშვებულ შეცდომაზეა საუბ-არი.

- აღნიშნული სამუშაოების დაწყ-ებამდე, გამგეობამ კორპუსის ამხანა-გობის და შემსრულებელი კომპანიის შემოთავაზებული პროექტი საექსპ-ერტო ორგანიზაციას გაუგზავნა და მხოლოდ მათი თანხმობის შემდეგ დაიწყო სამუშაოები. სამწუხაროდ, პანდუსების სამონტაჟო სამუშაოების დაწყებისათვის საჭირო დასკვნის მო-მზადებისას საექსპერტო ორგანიზა-ციის მიერ დაშვებული იქნა შეცდომა, რომელიც მის მიერ გაცემულ დასკ-ვნაში მთავრობის მიერ დადგენილი სტანდარტების არგათვალისწინებაში გამოვლინდა. ახლა ჩვენი ამოცანა სწ-ორედ ამ სტანდარტების დაცვით მო-ქმედებაა.

ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ადაპტირებული ბინები უსაფუძვლოდ არავის გაუკრიტიკებია. 37-ათასიანი პროექტი მთავრობის იმ დადგენილ-ებას უგულებელყოფს, რომელშიც შშმ პირების გადაადგილებისთვის საჭ-ირო ინფრასტრუტურის აშენებისა და დამონტაჟების წესები, პანდუსის დახრის კუთხე, მოტრიალების სივრ-ცე, შესვენებისთვის განკუთვნილი ადგილი თუ უსაფრთხოების პარამე-ტრები, დეტალურადაა გაწერილი. ნა-ძალადევის რაიონში დამონტაჟებული პანდუსების გამოყენება კი, არათუ შე-უძლებელი, არამედ სიცოცხლისთვის საშიშიც კია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თათა ვარდანაშვილი დუ

რა კავშირი აქვს დიზაინერს ბიძინა ივანიშვილთან და რატომ შეიყვანა ხელისუფლებამ „შავ სიაში“?

EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

თათა ვარდანაშვილის სახელი ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან ახსოვს... მაშინ, როცა მოსახლეობის ნაწილი პურისა და ნავთის რიგებში იდგა, ნაწილი კი „კერასინკებთან“ თბებოდა, ცხადია, სამოდელო ბიზნესზე საუბარი ბევრისთვის ღიმილის მომგვრელიც კი იყო.

ამ სკეპტიციზმის მიუხედავად, ახალგაზრდა გოგონამ ჯერ კიდევ 1996 წელს ჩამოაყალიბა კომპანია, რომელსაც საკუთარი ვაჟის სახელი – „დემეტრე 96“ დაარქვა და მალე ეს კომპანია წარმატებულ ბიზნესადაც აქცია. ვარდების რევოლუციის შემდეგ „დემეტრე 96“ მსხვილ სახელმწიფო შეკვეთებს ასრულებდა. სწორედ ეს კომპანია აცმევდა ქართველ ჯარისკაცებსა და პოლიციელებს. ვარდანაშვილის კუთვნილ ბიზნესს პირველი პრობლემები 2010 წელს შეექმნა, როდესაც სამკერვალო ფაბრიკას თავდაცვის იმდროინდელი მინისტრი ბაჩო ახალაია ესტუმრა და „დემეტრე 96“-ის სახელმწიფოსთვის გადაცემა მოითხოვა. ვარდანაშვილს სხვა გზა არ ჰქონდა. კომპანია ღამის საათებში სახელმწიფოს აჩუქა, თუმცა იმ პირობით, რომ მის მიერ ანყობილ ბიზნესში მართვის უფლებას შეინარჩუნებდა, რასაც მაშინდელი ხელისუფლება დასთანხმდა. საწარმო თავდაცვის სამინისტროს გადაეცა, თათა ვარდანაშვილი კი დირექტორად დაინიშნა.

თავდაცვის უწყების ბალანსზე „დემეტრე 96“ კვლავაც აგრძელებდა მსხვილი სახელმწიფო დაკვეთების შესრულებას. კომპანიაში ფინანსებს ახალაიას მარჯვენა ხელი, რევაზ ჭარბაძე განაგებდა, ვარდანაშვილი კი დირექტორის მოვალეობას ასრულებდა, თუმცა არც ეს გაგრძელებულა დიდხანს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებით, „დემეტრე 96“ ეკონომიკის სამინისტროს გადასცეს. სულ რამდენიმე დღის წინ კი თათა ვარდანაშვილი იძულებული გახდა, დირექტორის თანამდებობაც დაეტოვებინა და მის მიერ 20 წლის წინათ შექმნილი კომპანიიდან საერთოდ წასულიყო.

რა პრობლემები შეუქმნა ვარდანაშვილის ბიზნესს ჯერ წინა და შემდეგ მოქმედმა ხელისუფლებამ? რა კავშირი აქვს დიზაინერს ბიძინა ივანიშვილთან? ლობირებდა თუ არა თავის დროზე „დემეტრე 96“-ს სააკაშვილის მთავრობა? რატომ მოხვდა კომპანია ახალი ხელისუფლების დროს „შავ სიაში“ და რატომ დატოვა დირექტორის თანამდებობა?

„პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში თათა ვარდანაშვილი დუმილს არღვევს და მისი კომპანიის ირგვლივ არსებულ კითხვებს ღიად პასუხობს.

„სრულიად საქართველოს ხელოვანებს ღირსების ორდენები და ჩინმედლები ჩამოურიგეს, მაგრამ ჩემთვის მადლობაც კი არავის უთქვამს“



თათა ვარდანაშვილი, დიზაინერი:

– ამ კომპანიის ჩამოყალიბებამ ჩემი ჯანმრთელობისა და შრომის ხარჯზე გადაიარა. საკუთარი ხელით შევქმენი ყველაფერი. დღეს და გუშინ არ დამიწყია ეს საქმე, ეს დაიწყო 1996 წელს, როდესაც ჩემი შვილი – დემეტრე დაიბადა. კომპანიას სწორედ მისი სახელი ჰქვია ახლაც. მე ვარ საფეიქრო მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტი და სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებისთანავე გადავწყვიტე, რომ რაღაც სერიოზული სიტყვა მეთქვა ამ დარგში. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, როგორც წარჩინებული სტუდენტი, თბილისში არსებულ ფეხსაცმელების ფაბრიკაში („ისანი“) მაძლევდნენ შესაძლებლობას, რომ ჩართული ვყოფილიყავი ტექნოლოგიურ პროცესში. იმ პერიოდში ეს ფაბრიკა ბიძინა ივანიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა. მოწვეულნი იყვნენ იტალიელი სპეციალისტები და მათი ზედამხედველობის ქვეშ ვსწავლობდი თანამედროვე ტექნოლოგიებს. მათ შემდეგ მიზნობრივი მივლინებით გამიშვეს გერმანიაში გამოფენაზე, სადაც კომუნიკაცია ჩამომიყალიბდა უცხოელებთან. პარტნიორული ურთიერთობები მქონდა იტალიელ და თურქ კოლეგებთან, სადაც ვმართავდი გამოფენებს. ჩართული ვიყავი თურქეთში ტყავისა და ტექსტილის ფაბრიკების გადაიარაღების პროცესში.

ამასობაში დადგა 2003 წელი. იმ წელს საქართველოში ჩამოვიდნენ ჩემი კოლეგები თურქეთიდან, ასევე, იტალიელები, რომლებმაც ჩამომიტანეს „ოლიო დინამიკას“ ლიცენზია. ამ გამოფენას ესწრებოდა მთელი საქართველო. ეს ხდებოდა 2003 წლის ნოემბერში, ზუსტად იმ დროს, როდესაც გარეთ ვარდების რევოლუცია იწყებოდა. ეს იყო ლიცენზია, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში იმ პერიოდში არ არსებობდა. ჩემი მიზანი იყო, რომ მიგველო საზღვარგარეთიდან ე.წ. გაფართოების ფაილები და ადგილზე შეგვძლებოდა წარმოების განვითარება.

დავიწყე მოლაპარაკება ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ჯგუფთან“, ხომ არ გაყიდნენ მეორად მანქანა-დანადგარებს, რადგან იმ პერიოდში ფაბრიკა „ისანი“ გაჩერებული იყო.

– ანუ თქვენი ბიზნესისთვის მანქანა-დანადგარები ბიძინა ივანიშვილმა მოგყიდათ?

– „საქართველოს ბანკში“ გავაკეთე კრედიტი, ამ ბანკში მქონდა 1999 წლიდან საკრედიტო ხაზი გახსნილი. ამ თანხით შევისყიდე „ქართუდან“ მანქანა-დანადგარები საკმაოდ სოლიდურ თანხად, ეს იყო ნახევარი მილიონი. მინდოდა შეგვექმნა სახელოვნებო სასწავლებელი, რომელიც ამ დარგის სპეციალისტებს მოამზადებდა. პარალელურად მოლაპარაკება მქონდა თურქებთან, რომ, თუ ფეხსაცმლის მასიურ წარმოებას შევქმნიდით, ისინი ჩამოვიდნენ, ამ საწარმოს მრავალწლიანი ოჯარით აიღებდნენ, სასწავლო ბაზა კი ჩვენს ხელში დარჩებოდა.

2008 წელს სახელმწიფომ გამოაცხადა პროექტი „სახელოვნებო განათლება დასაქმებისთვის“, მაშინ პრემიერმინისტრი იყო ლადო გურგენიძე. შევხვდი მას, წარვუდგინე ეს პროექტი. ასევე, საუბარი მქონდა მაშინდელ პრეზიდენტთან, რომელსაც გავაცანი ჩემი პროექტი და ვუთხარი, რომ სახელმწიფოსგან მხარდაჭერა თუ არა, ხელის შეშლა მაინც არ იყოს-მეთქი, რადგან 7 წლის შემდეგ თურქები მზად იყვნენ, ეს ბიზნესი აეღოთ და სერიოზული ინვესტიცია შემოეტანათ.

– რა იყო მისი პასუხი?

– ძალიან მოეწონა ეს იდეა. ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში გამომიყვეს წულაძის ქუჩაზე 54 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 2800 მიწის ნაკვეთი, სადაც პრაქტიკულად იყო ჭაობი. ეს მიწა გადმოგვეცა საინვესტიციო ვალდებულებებით და დეტალურად იყო განერილი, რამდენი უნდა დამეხარჯა ინვესტიციის სახით. სიმბოლური ფასი იყო 1000 ლარი, მაგრამ საინვესტიციო ვალდებულების თანახმად, ერთი ნლის თავზე ჩვენ უნდა დაგვეხარჯა მილიონ

კუთვნილი ბიზნესის დათმობის შემდეგ დიზაინერს სამკერვალო ფაბრიკის დირექტოროობიდან წასვლა აიძულეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მილს არღვევს

200 ათასი ლარი.

ამ პერიოდში გავაცოცხლეთ მკვდარი მანქანა-დანადგარები, რომელიც „ქართუდან" შევიძინეთ და ფეხსაცმლის წარმოებას ვეწეოდით ჯერ კიდევ საბურთალოს ქუჩაზე. ხელშეკრულება გვქონდა თავდაცვის სამინისტროსთან, რადგან ამ უწყების კონტრაქტორი ვიყავით 2007 წლიდან. მალევე დაიწყო აგვისტოს ომი, მოწინავე ხაზზე სწორედ ჩვენი შეკერილი ჩექმები ეცვათ ჯარისკაცებს. 5000 წყვილზე გვქონდა შეკვეთა, თუმცა მოხდა ისე, რომ ეს თანხა არ აგვინაზღაურეს. ამაზე დიდად არ ვნერვიულობდი, რადგან სესხი გვქონდა სახელმწიფოსგან და შეიძლებოდა იქიდან გამოქვითულიყო ეს თანხა.

პარალელურად ვცდილობდით წულაძის ქუჩაზე კომპანიის გადატანას. „ქართუდან" ჩემ მიერ გამოსყიდული მანქანა-დანადგარები ეტაპობრივად გადაგვქონდა და როდესაც ექსპლუატაციისთვის უკვე მზად იყო, მოვიდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო, ქონება შეფასა, 1 მილიონ 80 ათასი ლარის ინვესტიცია იყო განხორციელებული მხოლოდ შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციაზე. აღარაფერს ვამბობ მანქანა-დანადგარებზე და სხვა დეტალებზე, რომლის დოკუმენტაციაც არსებობს.

საზეიმო გახსნა მოვაწყვეთ ამ საგანმანათლებლო დაწესებულების, გვესტუმრა პრეზიდენტი სააკაშვილიც, ნახა იქ დასაქმებული კადრები.

2010 წლის 29 აგვისტოს კი სტუმრად გვეწვია მინისტრი ბაჩო ახალაია და მეორე დღეს გვითხრეს, რომ ეს სანარმო სახელმწიფოს სჭირდებოდა თავდაცვითი მიზნებისთვის.

– თქვენი რეაქცია, როგორი იყო?

– ჩემი რეაქცია იყო ძალიან მარტივი. კი ბატონო, საწარმო გჭირდებათ და წაიღეთ, თუმცა სასწავლებელს დავიტოვებ კერძო საკუთრებაში-მეთქი. მე უნდა მეხელმძღვანელა საწარმოს ტექნოლოგიისთვის, სხვა კუთხით ფინანსებში არ ჩავერეოდი, და ასევე სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო სასწავლებლის საქმიანობაში. ასეთი გარიგება შედგა.

– უარი რომ გეთქვათ ახალაიას მოთხოვნაზე?

– აზრი არ ჰქონდა. შენობა-ნაგებობა პირობითი საკუთრება იყო. დამპირდნენ, რომ სასწავლებლისთვის ცალკე შენობას ამიშენებდნენ, თუმცა არც ეს მივიდა ბოლომდე. სტუდენტებს ვიღებდით ჩვეულებრივ, ისინი მუშაობდნენ ფაბრიკაში, თუმცა საწარმოს ფინანსურ საქმიანობაში არ ვერეოდი, თავდაცვის სამინისტროს მიერ დანიშნული იყო კურატორი, ბატონი ჭარბაძე, მე ვიყავი დირექტორი, რომელიც ტექნოლოგიურ ხაზს ვხელმძღვანელობდი.

ჩემი მთავარი საზრუნავი იყო ფაბრიკის ბაზაზე არსებული სახელოვნებო სასწავლებელი, რომლის მოწმობა აპოსტილით აღიარებული იყო მსოფლიოს 102 ქვეყანაში და ჩვენს კურსდამთავრებულებს მუშაობა შეეძლოთ თითქმის ყველა ქვეყანაში. მოკლედ, ერთმანეთისგან გამიჯნული იყო საგანმანათლებლო პროცესი და საწარმოო პროცესი. კომპანიის მიერ ნებისმიერ ტენდერში მონაწილეობას კურირებდა ბატონი ჭარბაძე.

– რა ხდება ხელისუფლების შეცვლის შემდეგ?

– ტენდერში გვქონდა მონაწილეობა მიღებული. სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის უნდა მიგვეწოდებინა ლეიბები. იმდროინდელი ხელმძღვანელობა დეპარტამენტში ავტომატურად შეიცვალა, ჩემი კურატორი აღარ გახლდათ რევაზ ჭარბაძეც. აქედან გამომდინარე, შეიქმნა დათქმულ ვადებში პროდუქციის მიწოდების პრობლემა. ამის გამო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეგვექმნა უამრავი პრობლემა, რადგან შეგვიყვანეს შავ სიაში. ერთი წელი ტენდერებში ვერ ვმონაწილეობდით. უცებ ერთ მშვენიერ დღეს მოგვივიდა ახალი ამონაწერი და გვაცნობეს, რომ კომპანია თავდაცვის სამინისტროდან გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს.

„სტუმრად გვეწვია მინისტრი ბაჩო ახალაია და მეორე დღეს გვითხრეს, რომ ეს საწარმო სახელმწიფოს სჭირდებოდა თავდაცვითი მიზნებისთვის"

– მანამდე ახალ მინისტრთან, ირაკლი ალასანიასთან არ გქონიათ საუბარი?

– ის ორჯერ გახლდათ მოსული ჩვენს საწარმოში, დაათვალიერა, ხალხს უკეთეს პირობებსა და მომავალს დაპირდა, მაგრამ მოულოდნელად თავდაცვის სამინისტროდან კომპანია გადავიდა ეკონომიკის სამინისტროს ბაზაზე. როგორც თავად ალასანიამ განაცხადა, ეს იყო პირადად მისი გადაწყვეტილება. ამასთანავე, საწარმოო პროცესში ჩართეს დამატებითი რგოლი. ეს არის კომპანია, რომელმაც დაიწყო მატერიით მომარაგება და ჩვენ, უბრალოდ, სამუშაოს ვასრულებდით. რაში დასჭირდათ, ჩემთვის გაუგებარია.

ხელისუფლებაში თითქმის ყველასთან მქონდა საუბარი, მათ შორის პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და ა.შ. ყველა მეუბნება, მიმართე პროკურატურასო. რატომ უნდა მჭირდებოდეს, ამ გზით წავიდე და დამპირისპირონ სახელმწიფოსთან, მაშინ როცა ძალიან მარტივ რაღაცას ვითხოვ – თუკი გაყიდვაზეა საუბარი, მომცენ კომპანიის უკან გამოსყიდვის საშუალება. სამწუხაროდ, ეკონომიკის სამინისტროდან საუბარიც კი არავის სურს.

– პოლიტიკამ რა გავლენა იქონია მთელ ამ პროცესზე?

– მე არ ვარ პოლიტიკოსი და არც პოლიტიკოსების მადლობებით ვარ განებივრებული. სრულიად საქართველოს ხელოვანებს ღირსების ორდენები და ჩინ-მედლები ჩამოურიგეს, მაგრამ ჩემთვის მადლობაც კი არავის უთქვამს, იმისთვის რომ არაფრისგან ავაღორძინე დარგი და პირნათლად ვემსახურებოდი ქართულ სახელმწიფოს. წინა ხელისუფლება იყო და „ქართუში" რეგისტრაციის გამო პრობლემებს გვიქმნიდა, ესენი არიან და ამბობენ, მიხეილ სააკაშვილი გლობირებდაო. რას ჰქვია ლობირება? მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი და ჩემს ქვეყანას ვემსახურებოდი. რომელ ლობიზმზეა საუბარი, ჯარისკაცები აღლუმზე ჩემი შეკერილი სამოსით გამოდიოდნენ და არასდროს, არც ერთ ეტაპზე ერთი მოსაწვევი ჩემთვის არ გამოუგზავნიათ ამ ღონისძიებაზე.

ახალ ხელისუფლებას კი მეტი რა უნდა ექნა, საკუთარი მამიდაშვილი ნიკოლოზ ვარდიაშვილი თანადირექტორად დამინიშნეს. შემდეგ წესდება შეცვალეს და აღმასრულებელ დირექტორად დანიშნეს. გამოვიდა ისე, რომ ხელისუფლებამ კომპანიიდან ჩემს მოსაშორებლად ჩემივე ოჯახი წევრი გამოიყენა. ისეთი პირობები შემიქმნეს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, განცხადება დავწერე და წამოვედი, სახელოვნებო ლიცენზია გამიუქმეს და ახლა დღის წესრიგშია კომპანიის გაყიდვა. კომპანიის გაკოტრება პრაქტიკულად გარდაუვალია. 6-ჯერ მივწერე ეკონომიკის სამინისტროს, რომ მომცენ კომპანიის უკან გამოსყიდვის უფლება. ყველა იძახის მიმართე პროკურატურასო...

რატომ ჩამოაცილეს ჟვანიას საქმეს პროკურორი რევაზ ნადოი?

გიორგი გელხაური: „რევზო ნადოიმ თქვა, რომ ზურაბ ჟვანია CO-თი არის გარდაცვლილი. მას შემდეგ ის საქმეს ჩამოსცილდა"

მირიან ბოქოლიშვილი

პროკურატურა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზების დადგენას განაგრძობს, თუმცა საგამოძიებო უწყებამ მოულოდნელად საქმის მწარმოებელი პროკურორი შეცვალა. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც პროკურორი რევაზ ნადოი ჟვანიას საქმეს ჩამოაშორეს. ის თორნიკე ნადირაძემ ჩაანაცვლა. ბუნებრივად გაჩნდა კითხვა – რატომ შეიცვალა პროკურორი, რომელიც იმთავითვე ხელმძღვანელობდა ამ საქმის გამოძიებას? ამის გასარკვევად თავად რევაზ ნადოის დავუკავშირდით, თუმცა მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა და პროკურატურის პრესცენტრთან გადაგვამისამართა, სადაც ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს.

ერთ-ერთი ვერსიით, ნადოის საქმიდან ჩამოშორება ჟვანიას დაცვის წევრების სასამართლო პროცესზე გაკეთებულ განცხადებას უკავშირდება, სადაც ყოფილი პრემიერის CO-თი გარდაცვალებაზე იყო საუბარი. ამ განცხადების გაჟღერების შემდეგ ნადოი საქმეს ჩამოაშორეს, თუმცა მას პროკურატურის სისტემაშივე მაღალი თანამდებობა შესთავაზეს.

რეალურად რა გახდა პროკურორის შეცვლის მიზეზი, ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს გარდაცვლილი პრემიერის ძმა გოგლა ჟვანია, თუმცა ადასტურებს, რომ ნადოი დააწინაურეს.

„მე თვითონ საქმის დეტალებში ვარ გარკვეული, თორემ პროკურორების ცვლილებებზე არ მაქვს ინფორმაცია. ერთი ვიცი, რომ ბატონი რეზო დააწინაურეს. სხვა ინფორმაცია მის შესახებ არ მაქვს", – აცხადებს „პრაიმტაიმთან" საუბრისას გოგლა ჟვანია.

ჟვანიას დაცვის წევრების – ძაძამიასა და ხარშილაძის ადვოკატები კი ადასტურებენ, რომ პროკურორის შეცვლა სწორედ ნადოის ზემოხსენებულ განცხადებას უკავშირდება, ვინაიდან ის იყო ერთადერთი პროკურორი, რომელმაც გაზის გაჟონვა დაადასტურა.

„რეზო ნადოიმ თქვა, რომ ზურაბ ჟვანია CO-თი არის გარდაცვლილი. მას შემდეგ ის საქმეს ჩამოსცილდა. მე მგონი, სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც ის აღარ წარმოადგენს სახელმწიფო ბრალდებას ჟვანიას საქმეზე. მანამდე არც ერთი პროკურორი არ ადასტურებდა და არ ადასტურებს ახლაც, რომ ჟვანია CO-თი არის გარდაცვლილი. ერთადერთი იყო რეზო ნადოი, რომელმაც პროცესზე პირდაპირ განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანია გარდაცვლილი არის CO-თი. ჩემი აზრით, პროკურატურამ სწორედ ამ განცხადების გამო ჩამოაშორა საქმეს", – ამბობს ადვოკატი **გიორგი გელხაური.**

თავად რევაზ ნადოი, „პრაიმტაიმისთვის" მიცემულ ბოლო ინტერვიუში აცხადებდა, რომ დღეს თუ ხვალ ჟვანიას საქმე რაღაც ლოგიკურ დასასრულამდე მივა. ჩვენთან ინტერვიუში ნადოი ირწმუნებოდა, რომ პასუხი აუცილებლად გაეცემოდა მთავარ კითხვას – მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა? მისივე თქმით, თუკი გამოძიება მივიდა დასკვნამდე, რომ ეს მართლაც უბედური შემთხვევა იყო, პროკურატურას ამის აღიარება არ გაუჭირდება.

„თუ ეს მოცემულობა უტყუარად იქნება დადასტურებული, რატომ უნდა გაგვიჭირდეს ამის აღიარება?! ჩვენ ვმუშაობთ გამჭვირვალედ. თუ გამოძიება მივა დასკვნამდე, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა, ამის თაობაზეც ღიად ვეტყვით საზოგადოებას. ის, რაც დადგინდება, ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის", – **განაცხადა რევაზ ნადოიმ „პრაიმტაიმისთვის" მიცემულ ინტერვიუში, მანამ სანამ მას ჟვანიას საქმეს ჩამოაშორებდნენ.**

მისი შემცვლელი თორნიკე ნადირაძე კი CO-თი გარდაცვალების ფაქტს აქედანვე ეჭვის თვალით უყურებს და „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას ასეთ განმარტებას აკეთებს:

„დაცვის მხარე აპელირებდა და მთელი ამ პროცესების განმავლობაში მიუთითებდა, რომ ეს ადამიანი გარდაცვლილია CO-თი, მაგრამ ბრალდების მხარეს ჰქონდა საფუძვლიანი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ ეს პოზიცია გარკვეულწილად ეჭვქვეშ დამდგარიყო. შემიძლია, მოგიყვანოთ რამდენიმე მაგალითი – მოწმე ნუგზარ ბელქანიას ჩვენება არის მნიშვნელოვანი, რომელიც მიუთითებს, რომ ნებისმიერ დროს, როდესაც გამათბობელი არასრულად მუშაობს და არასრული წვა მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში მილებზე ჩნდება მურის კვალი, იმ შემთხვევაში, თუ მურის კვალი ჩნდება, ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ გამათბობელი არის გაუმართავი. შესაბამისად, არსებობს რისკი, გამოიყოს CO. ამ გამათბობელზე კი, რომელიც იმ ბინაში იყო, სადაც ჟვანია და უსუპოვი გარდაცვლილები იპოვეს, ნუგზარ ბელქანიას ჩვენებით, მურის კვალი არ იყო და სრულფასოვნად მუშაობდა. ამასთანავე, არსებობს არაერთი მტკიცებულება, რომელიც ამ თვალსაზრისით გარკვეულნილად გაიზიარა ბრალდების მხარემ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამათბობლით მოწამვლა კიდევ ერთხელ დადგა ეჭვქვეშ".

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ ლობირებს სააკაშვილის გარემოცვიდან ნარკობიზნესს?

„ოდესა რომ ნარკოტიკების ტრანზიტია, ეს ახალი ამბავი არ არის“

სალომე ჩადუნელი

29 ივლისს რუმინეთში სამართალდამცველებმა 333 კილოგრამი ჰეროინი ამოიღეს. რუმინეთის პოლიციის ოფიციალურ საიტზე ტვირთის სატრანზიტო ქვეყნებად დასახელებულია თურქეთი და უკრაინა.

მიხეილ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად უკვე მეორე თვეა დანიშნულია. თბილისში ექსპერტების ნაწილმა ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს დაუკავშირა. ფიქრობენ, რომ სააკაშვილი გარკვეული წარმოშობის ნარკოტიკებს საქართველოშიც ლობირებდა და ახლა ეს სატრანზიტო ხაზი ოდესაში გადაიტანა.

სანამ მათ მოსაზრებას მოისმენთ, მანამდე რუმინული მედია და დაკავებული ტვირთის დეტალები:

მოლდოვას საზღვარზე მებაჟეებმა საბაჟო კონტროლისას, თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით, 136.50 კილოგრამი ჰეროინი ამოიღეს.

საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებს ორი გამოწვევა აქვთ, ერთი მხრივ, უნდა აღმოფხვრან რიგები საზღვართან და მეორე მხრივ, უნდა გააკონტროლონ პრაქტიკულად ყველა მანქანა საეჭვო გარიგებების გაყალბებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთისთვის .

ამ კონტექსტში 09/08/2015 დაახლოებით 3:40 სთ-ზე, მოლდოვის საბაჟო პოსტ „Giurgiulesti“-ზე მაცივრიანი სატვირთო მანქანა წარმოადგინეს. დოკუმენტების თანახმად, უკრაინიდან ბულგარეთში და შემდეგ მოლდოვაში გადასვლას აპირებდა და 21 ტონა კრამიტი გადაჰქონდა. ეს მარშრუტი სასაცილოა და ალოგიკური – ასეთი გარიგება ტრანსპორტის სფეროში წამგებიანია.

მებაჟეებმა ინტენსიური დაკვირვების, მათ შორის X-ray სკანირების, ანტინარკოტიკული საბაჟო სამსახურის ძაღლებით შემოწმების შედეგად საეჭვო ადგილებში ნარკოტიკი შენიშნეს. აღსანიშნავია, რომ კონტრაბანდისტებს წითელი წიწაკის სუნით ჰქონდათ დაფარული ნარკოტიკი, იმისთვის, რომ შეცდომაში შეეყვანათ... ასევე, დაფარული იყო ტყვიის ფურცლით, რათა სკანირების მანქანას ვერ შეენიშნა.

შედეგად, საბაჟო სამსახურის თანამშრომლებმა 253 პაკეტი ჰეროინი ამოიღეს, საერთო წონით 136.50.

ნარკოტიკის შავ ბაზარზე მისი საცალო ღირებულება 10-დან 20 მილიონ ევრომდეა.

ევროკავშირის ბაზარზე მოცემული ჰეროინი 1 გრამი 150 ევრო ღირს.

ამ ფაქტზე გენერალურმა პროკურატურამ საქმე აღძრა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის კონტრაბანდის ფაქტზე და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მამუკა არეშიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ადრეც ხშირად საუბრობდა ნარკოტრასებსა და მათ შესაძლო მფარველებზე. მან ამ ფაქტზეც დააფიქსირა საკუთარი პოზიცია:

– პირველ ჯერზე იყო 330 კგ-ზე მეტი, მეორე ჯერზე – 200 კგ-მდე. რუმინეთში ამოიღეს 330 კგ, მოლდავეთში – 200 კგ-მდე. ორივე უკრაინის გავლით იყო და ორივე თურქეთიდან მიდიოდა ამ ორ ქვეყანაში. ეს შეიძლება მხოლოდ ერთი გზით მოხვედრილიყო, ეს არის ოდესის საპორტო კომპლექსი, მათ შორის სატვირთო პორტი: ილიჩოვსკი. ოდესის პორტი თავისთავად დიდია და ოთხი ქვეპორტისგან შედგება, მათ შორის ერთ-ერთია ილიჩოვსკი. ეს არის სატვირთო პორტი. ეს არ არის ჩემი ვარაუდი, ეს არის მოლდაველი პოლიციელების მიერ დადგენილი ფაქტი. ბოლო ტვირთი, რომელიც 9 აგვისტოს დააკავეს, 200კგ-მდე, ილიჩოვსკის, ანუ ოდესის პორტის მეშვეობით გავიდა. მოხვდა უკრაინის ტერიტორიაზე და მერე მოლდოვაში. პირველი ტვირთიც ამ გზით გავიდა რუმინეთში. ოდესა რომ ნარკოტიკების ტრანზიტია, ეს ახალი ამბავი არ არის. აქ არის ერთი საინტერესო დეტალი, ის რომ ადრე ჩვენ გვქონდა არაერთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე დაკავეს ნარკოტიკების საკმაოდ სერიოზული პარტია, ან აკავებდნენ ისე, რომ საქართველო ჰქონდათ გავლილი. ერთ-ერთი ყველაზე შორეული ტვირთი ესტონეთშიც კი დააკავეს, საქართველოს ტერიტორიაზე გავლით. ამ ბოლო დროს ასეთი რაოდენობის ტვირთი საქართველოს ტერიტორიაზე აღარ დაუკავებიათ, ანუ საქართველოდან რომ გადიოდა, თუ ჩრდილოეთისკენ მიდიოდა, ოდესის პორტიდან გადიოდა. როგორც ჩანს, ამოვარდა საქართველო-აზერბაიჯანის რგოლი და სხვა ტრასა შედგა, ოღონდ ისევ ოდესის გავლით. ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლებელია სააკაშვილის გარემოცვიდან მავანი იყოს ამ საქმეში ჩართული. მაშინ მას აწყობდა, რომ საქართველოდან გასულიყო ტვირთი, ახლა უკვე საქართველო აღარ აწყობს და ამიტომ გადის პირდაპირ თურქეთი-ოდესის ტრასით.

– საქართველოში რა გზებით შემოდიოდა და გადიოდა ნარკოტიკი?

– ყველა შემთხვევაში ეს არის ავღანური ნედლეულით დამზადებული ჰეროინი. ავღანური ნედლეულით დამზადებული ჰეროინი შეიძლება მოხვდეს ევროპაში, ესე იგი შუა აზიის, თურქმენეთიდან, მერე აზერბაიჯანში, მერე საქართველოში, მერე შავი ზღვით ან ოდესაში ან თურქეთის რომელიმე პორტში. მეორე მარშრუტია, ავღანური ნედლეულით დამზადებული ჰეროინი შეიძლება ირანის გავლით მოხვდეს თურქეთში და ისევ ევროპაში. როგორც ჩანს, ირანს აღარ აწყობს აზერბაიჯანი-საქართველოს ტრასა და თურქეთის ტრასა არჩია, თუმცა ორივე შემთხვევაში ოდესაში იყრის თავს.

– მიშა სააკაშვილი ლობირებს ამ თემას?

– ვარაუდია, რომ ვიღაც არის მიშა სააკაშვილის გარემოცვიდან, ქართველი უნდა იყოს აუცილებლად ეს ფიგურა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი სკანდალი „ჩვილ

მირიან ბოქოლიშვილი

ჩვენს მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს ახალშობილი ბავშვებით ვაჭრობის სკანდალური საქმე. სამართალდამცავებმა დაახლოებით ორი თვის წინ გვამცნეს, რომ გახსნილია ჩვილებით ვაჭრობის შემზარავი დანაშაული. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს რუსთავის სამშობიარო სახლის გენერალური დირექტორი ალექსანდრე ბარავკოვი, მისი მოადგილე კონსტანტინე მანჯავიძე და კიდევ რამდენიმე პირი. სამართალდამცავები მაშინ თავს იწონებდნენ და ამბობდნენ, რომ საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი პოლიტიკა არ არსებობდა, დოკუმენტი მხოლოდ 2014 წელს შეიქმნა და პირველი შედეგიც სახეზეაო.

ჰოდა, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ „ზარ-ზეიმიდან“ დაახლოებით ერთ თვეში „ჩვილებით ვაჭრობის“ მთავარი ფიგურანტი, ალექსანდრე ბარავკოვი საპყრობილეს დატოვებდა და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებოდა.

როგორც პროკურატურიდან კონფიდენციალურმა წყარომ გვაცნობა, რუსთავის სამშობიარო სახლის გენერალური დირექტორი დაპატიმრებიდან ერთ თვეში გაათავისუფლეს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რის საფუძველზე მოხდა გახმაურებულ დანაშაულში ბრალდებულის განთავისუფლება. წყაროს ინფორმაციით, ბარავკოვი გამოძიებასთან თანამშრომლობას და საპროცესო შეთანხმების გაფორმებას გეგმავს.

„პროკურატურა საპროცესო გარიგების გაფორმებას გეგმავს, რადგან ბარავკოვმა გამოძიებას უფრო მნიშვნელოვანი გვარები დაუსახელა. მე ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, ვისზეა საუბარი, თუმცა არ გაგიკვირდეთ, რომ ამ საქმეს გაცილებით სერიოზული და სკანდალური გაგრძელება ჰქონდეს“, – გვიყვება ჩვენი წყარო, რომელიც სხვა დეტალების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

ალექსანდრე ბარავკოვის განთავისუფლების შესახებ ინფორმაცია მის ადვოკატთან, გიორგი კონდახაშვილთან გადავამოწმეთ. მან დაგვიდასტურა, რომ ბარავკოვი სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნამდვილად განთავისუფლდა, თუმცა იგეგმება თუ არა საპროცესო გარიგების გაფორმება, ამაზე ადვოკატს კონკრეტული პასუხი არ აქვს.

გიორგი კონდახაშვილი, ადვოკატი:

– საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით ჯერ ვერაფერს გეტყვით. ამ ეტაპზე მსგავსი არაფერია. გიდასტურებთ, რომ დაახლოებით ორი კვირის წინ ბატონი ალექსანდრე გაათავისუფლა სასამართლომ.

– რის საფუძველზე შეუცვალეს მას აღმკვეთი ღონისძიება?

– ეს მოხდა ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე. სასამართლომ გაიზიარა, რომ მისი პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა არ არსებობდა. ჩვენი პოზიცია იყო ის, რომ მტკიცებულებითი სტანდარტი არ იყო დაცული მასთან მიმართებაში, გარდა ამისა, მისი ასაკიდან და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე დაპატიმრება მიზანშეუწონელი გახლდათ. მას გული აწუხებს და მთელი ეს პერიოდი, ციხის საავადმყოფოში იყო მოთავსებული.

– პროკურატურასთან გაქვთ თუ არა მოლაპარაკება საპროცესო გარიგების შესახებ?

– ამ ეტაპზე მსგავსი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს. არ ვიცი, თუ რამე იქნება, ალბათ, შეიტყობთ ამის შესახებ. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია.

– ჩვენი ინფორმაციით, ალექსანდრე ბარავკოვი მზად არის აღიარებითი ჩვენებისთვის და ამბობენ, რომ მან პროკურატურას უკვე დაუსახელა საკმაოდ მნიშვნელოვანი გვარები...

– არასწორი ინფორმაციაა. ბატონი ალექსანდრე ბარავკოვი უდანაშაულოა და ცხადია, დანაშაულს არ აღიარებს.

„ქალბატონმა იმშობიარა, რომელსაც უთხრეს, რომ ჩვილი გარდაიცვალა, თუმცა ბავშვი 5000 ლარად ჩემს დეიდაშვილს მიჰყიდეს“

მოკლედ, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე არც ადვოკატი გეგმავს სხვა დეტალების გამჟღავნებას. ვნახოთ, მართლაც გააფორმებს თუ არა პროკურატურა ბარავკოვთან საპროცესო შეთანხმებას და გახდება თუ არა ეს საქმე მორიგი სკანდალის საფუძველი.

სკანდალები კი „რუსთავის სამშობიარო სახლის“ დირექტორს არც არასდროს აკლდა. ირკვევა, რომ ალექსანდრე ბარავკოვს სამართალდამცავებთან პრობლემები ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან ჰქონდა, მის გამოჭერას არაერთხელ ცდილობდა კუდიც, თუმცა ყველა ჯერზე მან მართლმსაჯულებისთვის თავის არიდება მოახერხა. როგორც რუსთავში ყვებიან, ეს ხდებოდა ზოგჯერ ზედა ეშელონებში გავლენიანი პირების ჩარევით, ზოგჯერ კი – ფულით.

ალექსანდრე ბარავკოვის ბურუსით მოცულ საქმიანობაზე საუბრობს ჩვენი რესპონდენტიც, რომლის ახლო ნათესავმა რუსთავის სამშობიარო სახლიდან ახალშობილი ჯერ კიდევ 20 წლის წინათ იყიდა. ბავშვი, რომელიც 20 წლის წინათ გაასხვისეს, დღემდე ეძებს ბიოლოგიურ დედას. სანამ ჩვენი რესპონდენტის ნამბობს გაგაცნობთ, მანამდე გაგახსენებთ იმ საქმეს, რომელზეც რუსთავის სამშობიარო სახლის ხელმძღვანელ პირებს ბრალი წარუდგინეს.

გახმაურებული დაპატიმრებისთანავე ჩვენთვის ცნობილი გახდა იმ ფარული ჩანაწერების შესახებ, სადაც, საუბარია, როგორც ჩვილებით ვაჭრობაზე, ასევე, სამშობიარო სახლში ახალშობილთა ფარულ გაცვლაზე. როგორც კონფიდენციალური წყარო გვიყვება, გამოძიებაში დევს ფარული ჩანაწერები, სადაც სწორედ ბავშვების გაცვლაზეა საუბარი. კერძოდ, ერთ-ერთი ახალშობილის ოჯახი სამედიცინო დაწესებულების დირექტორთან აწარმოებს ფარულ მოლაპარაკებას, რომ სმენადაქვეითებული ახალშობილი, იმავე დაწესებულებაში დაბადებულ ჯანმრთელ ბავშვში მალულად გარდაეცვალათ.

სავარაუდოდ, სწორედ ამ ოპერატიული ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ გავიდა გამოძიება ჩვილებით ვაჭრობის საქმეზე. ირკვევა, რომ სქემა, რომლითაც ეს ჯგუფი მოქმედებდა, საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული: სოციალურად დაუცველ ორსულს „რუსთავის სამშობიარო სახლში“ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჰპირდებოდნენ კონსულტაციას, მშობიარობის შემდეგ კი გარკვეული თანხის სანაცვლოდ ჩვილის სამშობიაროში დატოვებას სთავაზობდნენ. ალექსანდრე ბარავკოვი და კონსტანტინე მანჯავიძე შუამავლების მეშვეობით პარალელურად ეძებდნენ ბავშვის აყვანის მსურველებს, ძირითადად რუსეთის ფედერაციაში. მშობიარობის შემდეგ, როგორც წესი, ყველა სამშობიარო დაწესებულება ვალდებულია, შესაბამის უწყებას გადაუგზავნოს მონაცემები ჩვილის მშობლების შესახებ. რუსთავის სამშობიარო სახლი კი აყალბებდა ამ მონაცემებს და ბავშვის მშობლებად მითითებული გახლდათ არა ბიოლოგიური დედა და მამა, არამედ ის წყვილი, ვისთანაც უკვე შემდგარი იყო უკანონო მოლაპარაკება ჩვილის აყვანასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ საქმეში უკვე ერთვებოდა შპს „ახალი სამშობიარო ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მზია უგრეხელიძე, რომელსაც გამოძიების ინფორმაციით, ჩვილი „ახალ სამშობიარო ცენტრში“ გადაჰყავდა, იქ ხდებოდა არარსებული მშობიარობის დარეგისტრირება და გაყალბებული მონაცემები შესაბამის უწყებას ეგზავნებოდა.

იმ ფონზე, რომ საქმეში არ-

EXCLUSIVE

„ბავშვი, რომელიც 20 წლის წინათ გაყიდეს, დღესაც ეძებს ბიოლოგიურ დედას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბით ვაჭრობის“ საქმეში

„პროკურატურა საპროცესო გარიგების გაფორმებას გეგმავს, რადგან ალექსანდრე ბარავკოვმა გამოძიებას უფრო მნიშვნელოვანი გვარები დაუსახელა“

ალექსანდრე ბარავკოვი

დანამაულის მთავარი ფიგურანტი თავისუფალია

სებობს ფარული ჩანაწერები და სხვა არაერთი მტკიცებულება, მთავარი ფიგურანტის განთავისუფლება, ბუნებრივია, ბევრ კითხვას აჩენს და ამყარებს ინფორმაციას, რომ ალექსანდრე ბარავკოვმა გამოძიება უფრო მსხვილ დანაშაულზე და გაცილებით გავლენიან პირებზე გაიყვანა. ეს, ალბათ, მალე გაირკვევა, მანამდე კი ექსკლუზიურად გიამბობთ რუსთავის სამშობიარო სახლთან დაკავშირებულ 20 წლის წინანდელი სკანდალის შესახებ, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ რუსთავში ჩვილებით ვაჭრობა ახალი ამბავი სულაც არ გახლავთ.

მანანა მ.:

– ეს ამბავი ჯერ კიდევ 20 წლის წინათ მოხდა ჩემი ოჯახის ირგვლივ. რუსთავის სამშობიაროში ქალბატონმა იმშობიარა, რომელსაც უთხრეს, რომ ჩვილი გარდაიცვალა, თუმცა ბავშვი 5000 ლარად ჩემს დეიდაშვილს მიჰყიდეს. გაირკვა, რომ მამას არ უნდოდა ბავშვი და სწორედ ბარავკოვთან შეთანხმებით გადწყვიტეს მისი გაყიდვა. ჩვენ გვითხრეს, რომ დედა თანახმაა ბავშვის გასხვისებაზე. კარგად მახსოვს ის დღე, ბავშვი უკანა კარიდან გააყვანინეს – დედა ეზოში სეირნობს და მისთვის მაინც სტრესი იქნებაო. ისე გამოატანეს ბავშვი ჩემს დეიდაშვილს, რომ ბიოლოგიურ დედასთან დალაპარაკების საშუალებაც არ მისცეს, მხოლოდ მამა აქტიურობდა.

– მას შემდეგ 20 წელი გავიდა... ბავშვმა თუ შეიტყო ამ ამბის შესახებ?

– შეიტყო და თან ძალიან ცუდად. ეს გოგონა დაახლოებით 17 წლის ასაკში გაიპარა სახლიდან და გათხოვდა, რის გამოც დედამისთან, უფრო სწორედ დედობილთან კამათი მოუხდა. ჩემი დეიდაშვილი ცოტა თავისებური, ემოციური ქალია და ამ ჩხუბის დროს ბავშვს წამოაძახა, – რაც შენ ხარ, დედაშენიც ის იქნებოდაო. ანუ მთელი 17 წელი საიდუმლოდ ინახა ეს ამბავი და ერთი ჩხუბის გამო ბავშვს ყველაფერი პირში მიახალა. ამის შემდეგ ოჯახში სერიოზული პრობლემები დაიწყო. გოგონამ ვერც საკუთარი ოჯახი ააწყო, ბავშვი გააჩინა და მეუღლეს დაშორდა. ახლა 20 წლისაა და ახლობლებს გვეხვეწება, დავეხმაროთ ბიოლოგიური დედის მოძებნაში. სიმართლე გითხრათ, ინტერვიუზეც ამიტომ დაგთანხმდით. თუ ვინმეს ეცნობა ეს ისტორია და 20 წლის წინათ, რუსთავის სამშობიაროში მშობიარე ქალბატონის შესახებ რაიმე იცის, იქნებ თქვენს რედაქციას დაუკავშირდნენ და შემდეგ მოვახერხოთ ამ ქალბატონის მოძებნა. შესაძლოა, მან არც კი იცის, რომ მისი შვილი ცოცხალია და ბარავკოვმა, უბრალოდ, ფულზე გაყიდა.

– თავად ბარავკოვთან არ გქონიათ ამ თემაზე საუბარი?

– კი, ბავშვმა მთხოვა, დავხმარებოდი, ამიტომ პირადად შევხვდი ბარავკოვს. გავახსენე, წლების წინათ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი და იქნებ ბიოლოგიური დედის შესახებ რაიმე ინფორმაცია გქონდეთ შემონახული-მეთქი. რა თქმა უნდა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, ვერ ვიხსენებ მსგავს ფაქტსო. ძალიან კი ანერვიულდა, სულ კანკალებდა. მივხვდი, რომ აზრი არ ჰქონდა ლაპარაკს. ბავშვი კი, რომელიც 20 წლის წინათ გაყიდეს, დღესაც ეძებს ბიოლოგიურ დედას.

– ამბობენ, რომ ჩვილებით ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია პოლიციას წლების წინაც ჰქონდა... თქვენ თუ გსმენიათ ამის შესახებ?

– მსმენია კი არა, დანამდვილებით ვიცი, რომ რუსთავის პოლიცია, უფრო სწორედ მაშინ მილიცია იყო, ცდილობდა, ფაქტზე გამოეჭირა ბარავკოვი. მაშინ რუსთავის მილიციაში ერთ-ერთი განყოფილების უფროსი გახლდათ ზურაბ ასანიშვილი. ვიცი, რომ ზურას ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რამდენჯერმე თვალთვალიც კი მოუწყო, მაგრამ ფაქტზე ვერ იჭერდა. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, მაშინ ფულით ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა, მათ შორის გამომძიებლებისა და პროკურორების მოქრთამვაც არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა.

გიორგი კონდახაშვილი

რუსთავში იმასაც ამბობენ, რომ სააკაშვილის დროსაც დაიძვრინა თავიო და 50 ათასი წაართვეს, რომ საქმე ჩაეფარცხათო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE ზაზა ფაჩულია - ჩე

„მაშინვე წარმატებული არ გავმხდარვარ. ძალიან დიდი დრო დამჭირდა“

„დანარჩენი უკვე შენს ხელშია, როგორ გამოიყენებ ამ შანს“

„ყოველთვის შეიძლება უკეთესი იყოს, მაგრამ უარესიც, ვიდრე ახლაა“

„ წლები სჭირდება იმას, რომ მიზანს მიაღწიო“

„ძალიან ბევრ რაღაცაზე უარის თქმა უნდა შეგეძლოს, რადგანაც ის დრო უნდა დაუთმო ისევ სპორტს, ან დასვენებას“

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ერ-ოვნული საკალათბურთო ნაკრების კაპიტანს, ზაზა ფაჩულიას დიდუბის მანეჟში, კალათბურთის ბაზისთვის სპორტული ბაზა 50 წლით გადასცა. ბაზაზე, რომელიც ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში გარემონტდა, 4 დარბაზი, სასტუმროს ტიპის ნომრები, მანეჟი სარბენი ბილიკით და სხვა სპორტული ინვენტარი შედის. მალე თბილისში ზაზა ფაჩულიას აკადემია დაიწყებს ფუნქციონირებას, „პრაიმტაიმი“ კი ნაკრების კაპიტანს ამ ღონისძიებამდე დაუკავშირდა. 5 სექტემბერს ევრობასკეტი იწყება. როგორია ნაკრების შანსები და კაპიტნის წარმატების რეცეპტი. „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ზაზა ფაჩულიას შესაძლებლობა ექნება საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს მომავალ თაობებს.

ირაკლი ღარიბაშვილი:

„ჩვენი სურვილია, აქ მოეწყოს NBA-ს სტანდარტების კალათბურთის აკადემია. ჩვენს სახელოვან კალათბურთელს, ჩვენთვის საამაყო ზაზა ფაჩულიას წლების განმავლობაში ჰქონდა სურვილი, გაეკეთებინა კალათბურთის აკადემია, რაც აქამდე ვერ მოხერხდა. მიხარია, რომ ჩვენი გუნდის გადაწყვეტილებით ეს შევძელით. ეს სიმბოლური გადაწყვეტილებაა, რადგან ჩვენი ნაკრების სახელოვანი კალათბურთელების უმეტესობა და პირადად ზაზა ფაჩულია, წლების განმავლობაში აქ თამაშობდნენ. ამ დარბაზს ჩვენს კალათბურთელებს სრულიად უსასყიდლოდ გადავცემთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ზაზა ფაჩულიას შესაძლებლობა ექნება, საკუთარი ცოდნით, უნარით, გამოცდილებით, გაზარდოს არაერთი სახელოვანი კალათბურთელი, რომლებითაც ვიამაყებთ“.

პრემიერმა კალათბურთელებისგან საჩუქრად კალათბურთის ბურთი მიიღო, თანაც, გარდა ზაზა ფაჩულიასი, აკადემიის გახსნის სურვილი კიდევ ორმა კალათბურთელმა გამოთქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში, სპორტის ეს სახეობა კიდევ უფრო პოპულარული გახდება.

ევრობასკეტისთვის კი მზადება იგორ კოკოშკოვის გუნდმა ნაყოფიერად დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მერიის თასზე, ფინალში, საქართველოს ნაკრები იტალიასთან დამარცხდა, კაპიტანი ამბობს, რომ ასეთი თამაშები საჭიროა ფორმის პიკის მისაღწევად.

სწორედ ამ და სხვა შეკითხვებს უპასუხა ნაკრების კაპიტანმა.

- მერიის თასის ფინალში იტალიის ნაკრებთან დამარცხდით. ტურნირის განმავლობაში იყო შემადგენლობის ხშირი როტაცია და სხვადასხვა ტაქტიკა, მთლიანობაში, როგორ შეაფასებდი ნაკრების გამოსვლას?

- კარგი ტურნირი იყო. იტალიის ნაკრები ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა. ზოგადად, ასეთი ტურნირი, ასეთი დონის, მგონი საქართველოში არ ჩატარებულა, ყოველ შემთხვევაში, რაც მე მახსოვს. 15 წელია ვთამაშობ ეროვნულ ნაკრებში და ყოველთვის კარგია, როდესაც გულშემატკივარს აქვს საშუალება, უყუროს, ნახოს, ჩვენთვის, ამ თამაშების დატვირთვა ის არის, რომ ფორმაში შევიდეთ, სათამაშო ფორმაში. ეთამაშო კარგ გუნდებს, ნახო შენი პლუსები და მინუსები, მოემზადო ევროპის ჩემპიონატისთვის. ჩვენი მიზანია, სწორედ ევროპის ჩემპიონატისთვის ვიყოთ ფორმაში. მაქსიმალურად კარგ ფორმაში, ინდივიდუალურად თუ გუნდურად. ამ ტურნირის შემდეგ, კიდევ ორი ტურნირი გვაქვს, ერთი საფრანგეთში, მეორე იტალიაში, ამ თამაშებს მაქსიმალურად ვიყენებთ, რომ შევთამაშდეთ, ვიყოთ მომზადებული. სამწუხაროდ, ბოლო თამაში წავაგეთ იტალიის ნაკრებთან, მაგრამ ამხანაგური ტურნირი იყო, მანამდე ორი შეხვედრა ვითამაშეთ, ესტონეთს მოვუგეთ. ლატვიასთან საკმაოდ დაძაბული ბრძოლა გვქონდა, იქაც გავიმარჯვეთ და ა.შ. გრძელდება მოსამზადებელი პერიოდი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მი ცხოვრება დიდი ხანია კალათბურთია

„როცა ასეთი გუნდის ნაწილი ხარ, ყველაფერს იზამ იმისთვის, რომ მაქსიმუმი გააკეთო“

„მაქსიმუმი არის ჩემპიონობა, მინიმუმია, რომ ქვეჯგუფიდან ვერ გავიდეთ“

„შრომისმოყვარეობა დაუწერელი კანონია“

EXCLUSIVE

- შეიძლება ითქვას, რომ ევრობასკეტამდე ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი ექნება საქართველოს ნაკრებს?

- ყოველ შემთხვევაში დაგეგმილი ასეა. ჩვენც მონდომებულები ვართ, ყველაფერს ვეცდებით იმისთვის, რომ ისეთ ფორმას მივაღწიოთ, როგორიც საჭიროა, რომელიც მოგვაგებინებს თამაშებს და მოგვიტანს წარმატებას.

- ყველაზე მეტად რომელ რგოლში უჭირს ნაკრებს?

- ამას, ალბათ, ასე ვერ ვიტყვი. მინუსები არის, ვარჯიშობთ ბევრს, რომ ეს შეცდომები გამოვასწოროთ.

- ევრობასკეტის ჯგუფში ხორვატია, სლოვენია, მაკედონია, საბერძნეთი და ჰოლანდია გყავთ, ვინ იქნება ჩვენი ნაკრების უმთავრესი კონკურენტი?

- რომ გადავხედოთ ქვეჯგუფს, ასე ფურცელზე გვყავს საბერძნეთი და ხორვატია, შემდეგ მოდიან სლოვენია, მაკედონია და ჩვენ, დაახლოებით ერთი დონის გუნდებად ვითვლებით. აუტსაიდერად ჰოლანდიას მიიჩნევენ, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ყველას ერთნაირი შანსი აქვს. უპირატესობას გამოყენება უნდა, ყველა ისე ვარჯიშობს, როგორც ჩვენ. ჩვენნაირად ვარჯიშობს და ემზადება. ყველას აქვს მოსამზადებელი თამაშები. დანარჩენს დრო გვიჩვენებს, როცა უკვე მივუახლოვდებით 5 სექტემბერს და დაიწყება ოფიციალური თამაშები, მერე უკვე შეფასდება, ვინ რა ფორმაშია, ვინ გაამართლებს იმ მოლოდინებს, რაც ამ ფურცელზე დღესდღეობით ჩანს და რასაც გულშემატკივარი ელის.

- რა იქნება საქართველოს ნაკრების მაქსიმუმი ევრობასკეტზე?

- ჩვენ ვეცდებით რაც შეიძლება შორს წავიდეთ. მაქსიმუმი არის ჩემპიონობა, მინიმუმია, რომ ქვეჯგუფიდან ვერ გავიდეთ.

- სპორტის ბევრ სახეობაში გვესმის დღეს, რომ პროგრესი არ ჩანს. კალათბურთში როგორი მდგომარეობაა, არის წინსვლა?

- ეროვნულ პირველობაზე ვერაფერს გეტყვით, რადგანაც აქ მე არ ვიმყოფები ეროვნული ჩემპიონატის დროს. რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება, რომ იყოს უკეთესი. ეს ყველაფერი ფინანსებთანაც არის დაკავშირებული. მოთამაშეებზე არის დამოკიდებული, მწვრთნელებზე, სპონსორებზე და ძალიან ბევრ რაღაცაზე, ფედერაციაზე, ხალხზე, გულშემატკივარზე. არ ვარ ჩემპიონატის დროს საქართველოში, აქ არ ვიმყოფები, სამწუხაროდ. ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ყოველთვის შეიძლება უკეთესი იყოს, მაგრამ უარესიც, ვიდრე ახლაა. თუ საუკეთესო იქნება, მოხარული ვიქნები.

- თაობათა ცვლა ყოველთვის მტკივნეულია. ხშირად ამბობენ, რომ კალათბურთში თქვენი შემცვლელი ნაკადი არ მოდის, არ გვყავს ნიჭიერი თაობა?

- ასე თქმა არ შეიძლება. არიან ბავშვები, ვისაც ძალიან კარგი მონაცემები, დიდი მომავალი აქვს. ტალანტები იბადებიან, ვარჯიშობენ. ასე არ შეიძლება თქმა, რომ ჩვენი თაობა რომ წავა, მერე რა გვეშველება. ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, შევუქმნათ პირობები, რომ ახალგაზრდებმა, პირველ რიგში, სწორად ივარჯიშონ. ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად, კარგ სპორტსმენებად, მოედანზე და მის მიღმა. გააკეთონ კარგი საქმეები, დადებითი საქმეები და გამოადგნენ ოჯახებს და საკუთარ ქვეყანას. ჩვენი ვალია, ჩემი პირადად, ვიყო მათთვის მაგალითი, ჩემი გუნდელების, ვისთანაც ვთამაშობ ეროვნულ ნაკრებში, შედარებით დიდები ვართ წლოვანებით, ჩვენი ვალია, რომ ამ სიტუაციაში ახალგაზრდებს, არა მარტო კალათბურთში, ყველა სახეობაში შევუქმნათ სწორი პირობები, დანარჩენი უკვე შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული.

„ეს ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია“

- მაგალითი ახსენეთ, როგორია ზაზა ფაჩულიას წარმატების რეცეპტი და რჩევა ახალგაზრდა კალათბურთელებისთვის?

- რეცეპტი - ასე რომ გითხრათ, რომ ის ამას გააკეთებს და ყველაფერი კარგად იქნება, ნამდვილად ასე არ არის, თუმცა არის რამდენიმე ფაქტორი. ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, ჰქონდეთ მიზანი. რა გინდა გააკეთო, რა გიყვარს, რა გიტაცებს. ჩემთვის, ბავშვობიდან, ყველაფერი კალათბურთთან ასოცირდებოდა. აბსოლუტურად ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობაზე დავდიოდი, სულ კალათბურთზე ვფიქრობდი მაინც. ფეხბურთსაც ხელით ვთამაშობდი. უკვე აშკარა იყო, რომ კალათბურთი იყო ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი. შემიყვანეს კალათბურთზე და მაშინვე წარმატებული არ გავმხდარვარ. ძალიან დიდი დრო დამჭირდა. ახლაც მიდის პროგრესი, ამ ასაკში, 31 წლის ასაკში, თუნდაც ამდენწლიანი კარიერის შემდეგ, ახლაც მიდის პროცესი. ყოველდღე სწავლის დღეა. ყოველ დღეს წინ უნდა გადადგა ერთი ნაბიჯი. ძალიან გამიმართლა იმაში, რომ ჩემი კარიერის განმავლობაში მყავდა ძალიან მაგარი მწვრთნელები. ვინც მასწავლა, დამანახა, მომცა შანსი და ა.შ. შრომისმოყვარეობა დაუწერელი კანონია, რასაც არ უნდა აკეთებდე, შენი ცხოვრება უნდა იყოს კალათბურთი. ჩემი ცხოვრება დიდი ხანია კალათბურთია, ჩემს ოჯახთან ერთად. სხვანაირად არც გამოდის, არც მესმის, სხვანაირად არც წარმომიდგენია. შენი საქმის უსაზღვრო სიყვარულით და შრომის შედეგად მიაღწევ წარმატებას. როდესაც სპორტზე ვლაპარაკობ, საჭიროა სწორი გადაწყვეტილების მიღება. ძალიან ბევრ რაღაცაზე უარის თქმა უნდა შეგეძლოს, რადგანაც ის დრო უნდა დაუთმო ისევ სპორტს, ან დასვენებას. რთულია, ამ ყველაფერს ნებისყოფა უნდა. ერთ დღეში არ გამოვა, წლები სჭირდება იმას, რომ მიზანს მიაღწიო. შეიძლება დამღლელი იყოს, ამდენი რაღაც ჩამოვთვალე, მაგრამ ნამდვილად არ არის სპორტსმენობა ადვილი. ეს რომ ადვილი იყოს, ყველა იქნებოდა სპორტსმენი სხვადასხვა სპორტის სახეობაში და იქნებოდა წარმატებული. ამ ყველაფერს თუ გაუძლებ, ამ ყველაფერს თუ შეასრულებ, დიდი შანსი გექნება იმის და მოგეცემა შანსი, რომ იასპარეზო უმაღლეს დონეზე. დანარჩენი უკვე შენს ხელშია, როგორ გამოიყენებ ამ შანს.

- დიდი ხანი არ არის, რაც კალათბურთის ნაციონალურ ასოციაციაში გუნდი შეიცვალე. როგორ დაგხვდნენ „დალასში“ და იბრძოლებთ თუ არა ჩემპიონობისთვის?

- რა თქმა უნდა. რომ გადახედოთ „დალასის“ ისტორიას, ყოველთვის ჩემპიონობის კანდიდატები იყვნენ, ყოველთვის იბრძოდნენ მაღალი მიზნებისთვის. გახდნენ კიდეც ჩემპიონები. ეს ენთუზიაზმი მფლობელისგან მოდის. წაგებას ვერ იტანს და უნდა, რომ გარშემო ისეთი კოლექტივი და გუნდი შეკრიბოს, ვინც ასე ფიქრობს და ვისაც მოგება სურს. ბედნიერი ვარ, რომ ამ კლუბის ნაწილი ვარ. როცა ასეთ გუნდის ნაწილი ხარ, ყველაფერს იზამ იმისთვის, რომ მაქსიმუმი გააკეთო.

- როგორც ვიცი ლომისობაზე იყავი წასული ივლისში. ამბობენ, რომ იქ ჩაფიქრებული სურვილები ხდება. მალევე ახალ კლუბში წახვედი, რამე ჩაუთქვი და გჯერა საერთოდ ცრურწმენების?

- ეს ყველაფერი უცებ მოხდა. წინა დღით, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ლადო ბურდულმა დამირეკა და მითხრა, რომ მიდიოდა ლომისობაზე. დამპატიჟა. გამეხარდა შემოთავაზება და გადავწყვიტე წავსულყავი. ასე მოვხვდი იქ. ძალიან ლამაზი და კარგი დღე იყო. კმაყოფილი ვარ ამ დღით, კარგი საქმე გავაკეთეთ და, რაც მთავარია, ისეთი რაღაც ვნახე, რაც აქამდე არ გამიკეთება და ბედნიერი ვარ. ცრურწმენები, როგორ გითხრათ, მაქვს ჩემი განრიგი, რასაც ვაკეთებ ხოლმე. თუნდაც ექვსი საათით ადრე ჭამა, ძილი თამაშის წინ და ა.შ. ეს ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დახვრეტა, გადასახლე

დანაშაული: „ხალხის მტრის“ ცოლი!

ნინო გაბინაშვილი

1937-1938 წლების რეპრესიებზე ბევრი რამ დაწერილა, თუმცა საზოგადოებისთვის ბევრი უცნობი დეტალიც არსებობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი უამრავ ასეთ მასალას ინახავს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ყველასთვის მიუწვდომელი იყო. არქივში ინახება ოქმები, სხვადასხვა საქმეები, წერილები... წლების განმავლობაში ამ ყველაფერზე საუბარიც კი დანაშაული იყო.

ყველასთვის ცნობილია, რომ რეპრესიებმა იმსხვერპლა უამრავი უდანაშაულო ადამიანი, რომლებსაც სასტიკად აწამებდნენ, სცემდნენ, გადასახლებაში აგზავნიდნენ, ან უარეს შემთხვევაში დახვრეტას უსჯიდნენ. რეპრესიებმა იმსხვერპლა ქალებიც, რომლებსაც ისევე უსწორდებოდნენ, როგორც კაცებს, აწამებდნენ, სცემდნენ, ზოგი მათგანი ვერ უძლებდა ამ ყველაფერს და დაკითხვის ოთახში კვდებოდა, შემდეგ ფორმდებოდა ოქმი, რომ გარდაიცვალა „გულის შეტევით“.

1937 წელს 5 ივლისს პოლიტბიურომ მიიღო ახალი დადგენილება, რომლის მიხედვითაც უნდა გასამართლებულიყო „ხალხის მტრის ცოლი“. ამ დადგენილებამ უამრავი ქალისა და მათი შვილების ბედი გადაწყვიტა. დაიწყო დაჭერები იმ ქალებისა, ვისი ქმრებიც დახვრიტეს ან გადაასახლეს „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით.

შუაღამისას უვარდებოდნენ სახლებში, აკავებდნენ, შემდეგ იწყებოდა დაუსრულებელი დაკითხვები, წამება, ცემა, სანამ ხელს არ მოაწერდნენ შეთითხნილ აღიარებას. ამის შემდეგ, თუ ამ ყველაფერს გადაურჩებოდნენ (ნაწილმა არაადამიანურ მოპყრობას ვერ გაუძლო, დაკითხვისას გარდაიცვალა), გადაასახლებდნენ, სადაც უმძიმეს პირობებში, შვილებისგან შორს იხდიდნენ სასჯელს იმის გამო, რომ ცოლები იყვნენ. დიახ, ცოლები და არ დაასმინეს ქმრები. ცალკე საკითხია, რა ბედი ეწეოდათ მათ შვილებს. თუმცა ხდებოდა უარესიც – ასეთ ქალებს დახვრეტასაც უსჯიდნენ.

გთავაზობთ 10 ქალის ისტორიას, რომლებიც მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს ან გადასახლეს, რომ „ხალხის მტრის“ ცოლები იყვნენ.

ხათუნა ჭიჭინაძე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, დახვრიტეს მხოლოდ იმიტომ, რომ იყო ცოლი მემარჯვენე კონტრრევოლუციური ცენტრის ხელმძღვანელის, გიორგი



ყურალაშვილის. ყურალაშვილს ბრალი ედებოდა საბრძოლო ტერორისტული დაჯგუფების შექმნაში, რომელიც ბერიას წინააღმდეგ ტერორისტულ აქტს ამზადებდა. ქმრის დაჭერიდან მალევე დააკავეს ხათუნა ჭიჭინაძე, 6 თვეში ბრალი აღიარა და დახვრიტეს.

დაკავების მიზეზი ხშირად პირადი მტრობაც იყო, დამსმენი კი შეიძლება განაწყენებული მეზობელი ყოფილიყო. ეს ყველაფერი საშინელ შიშს, ტერორსა და უნდობლობას ნერგავდა ხალხში.

ქეთევან ორხელაშვილი ცნობილი დირიჟორის, ევგენი მიქელაძის ცოლი იყო. ცოლ-ქმარი ერთ დღეს დააკავეს, 1937 წლის 5 ნოემბერს. ბერიას ამ ოჯახთან პირადი მტრობა აკავშირებდა. ჯერ ქეთევანის მშობლები დააკავეს, „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით, შემდეგ მისი ძმა წამებით მოკლეს და ბოლოს, ქმართან ერთად, ისიც დააკავეს. ევგენი მიქელაძე საშინელი წამებით მოკლეს დაკითხვისას, ჯერ დააბრმავეს და შემდეგ ყურებში თოფის საწმენდი რკინა გაუყარეს. ქეთევანი კი სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრობის ბრალდებით შრომა-გასწორების, აკმოლინსკის ბანაკში გადაასახლეს.

მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იყო დაკავებული, რა მიღწევა ჰქონდა.

ასევე, შრომა-გასწორების ბანაკში გადაასახლეს ნინა (ნორა) გოძიაშვილი-აბაშიძე, რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერი. ოქმში წერია: „იყო ხალხის მტრის, ვ.ი. კოტეტიშვილის ფაქტობრივი მეუღლე“.

მართა დოლიძე, მოწყალების და, „ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცრის, ყოფილი თავადის მეუღლე“ – ასე ვკითხულობთ მის საქმეში. მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. ის ავრცელებდა საკუთარი დისშვილის გარდაცვალების რეალური მიზეზებისგან განსხვავებულ ჭორებს. მისი დისშვილი ნესტორ ლაკობა „ხალხის მტრის“ ბრალდებით დახვრიტეს.

არ არსებობდა რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება – სარა ონიანი ორსულად იყო, როცა დააკავეს.





სარა ონიანი-ჯაფარიძე, სვანეთში მცხოვრები ბებიაქალი, 10 წლით გადაასახლეს შრომა-გასწორების ბანაკში, ხაბაროვსკის მხარეში. მის ოქმში ვკითხულობთ: „გლეხებს შორის ეწევა აგიტაციას, მფარველობს პოლიტიკურ პატიმრებს, უთქვამს, რომ დადგება დღე, როცა კომუნისტები აღარ იქნებიანო“. მისი მეუღლე ივანე ონიანი დახვრიტეს. სარას სამი შვილი დარჩა. როცა გადაასახლეს, მეოთხეზე იყო ორსულად, ბავშვი ბანაკში დაიბადა და მალევე, გაუსაძლისი პირობების გამო, გარდაიცვალა.

მარიამ აღნიაშვილი კი მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს, რომ ბრალად დასდეს გადასახლებულ მეუღლესთან მიმოწერა.

გადაასახლეს ცისფერყანწელი ნიკოლო მიწიშვილის მეუღლეც. თამარ ბაგრატიონ-მიწიშვილი 1937 წლის 15 ოქტომბერს დააკავეს. როგორც მისი საქმიდან ვიგებთ, ის თავს დამნაშავედ არ ცნობდა და არც ქმრის დანაშაულებრივ ქმედებებზე იცოდა რამე. მიუხედავად ამისა, 8 წლით გადაასახლეს „ხალხის მტრის“ ოჯახის წევრის ბრალდებით.

როდესაც თამარი გადასახლებაში წაუყვანიათ, მატარებლიდან წერილის გადმოგდება მო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯა დიდი რეპრესიები

ახერხა. ასე იქცეოდნენ ქალები, როდესაც მატარებელი რომელიმე სადგურზე ჩერდებოდა, წერილებს ტოვებდნენ, რომ ვინმე გამვლელს მათ ოჯახში გაეგზავნა. ხშირად ასეთი წელები ადრესატამდე ვერ აღწევდა. თამარ მიწიშვილის წერილი დღემდე შენახული აქვს მის შვილს, ილამაზ მიწიშვილს.

„ჩემო მამა! მე მივდივარ, დეიდა ლიზაც ჩემთან არის, თითქმის სულყველა ცოლები. თქვენი ჯავრი მკლავს. ნიკოს ამბავი გავიგე. ნახეს ციხეში მისჯილებთან, მაგრამ რამდენი აქვს, არ ვიცი.

მამა! მარგო ჯინჭარიძე ნახე, როგორც გიჯობდეს, ისე მოიქეცი, ბავშვები მშიერი არ დამეხოცოს. გაყიდე ყველაფერი. მარინამ მუსიკა მიატოვოს, გაუძნელდება. ჩასვლისთანავე მოვიწერები. კარგად ისწავლონ. ილამაზიკო მანდვე გად...

ჩემი სული და ჩემი ბავშვები!“ (სტილი დაცულია)

გადასახლებულები ნავთლუღის სადგურიდან, პირუტყვისთვის განკუთვნილი ვაგონებით გადაჰყავდათ. ბანაკებში იყო გაუსაძლისი პირობები, მძიმე ფიზიკური სამუშაო. ბევრი ვერ უძლებდა და, შესაბამისად, ვერც უკან ბრუნდებოდა.

დაკავებულ ქალთა საქმეებში უამრავ აბსურდულ ბრალდებას ვაწყდებით. მაგალითად, „ავრცელებდა ანტისაბჭოთა სახის ანეკდოტებს“. ეს ბრალდება გვხვდება მილიცა სხვიტარაძის საქმეში, რომელიც ძველი მენშევიკური ოჯახიდან გახლდათ. გადაასახლეს 10 წლით.

თინათინ ჯიქია, გადაასახლეს ყაზახეთში. მას მერე, რაც მისი ქმარი ვლადიმერ ჯიქია, „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით, 1937 წლის 11 ივლისს დახვრიტეს. სხვა ვერსიით კი, თინათინმა თავის დროზე ბერიას უარი უთხრა სიყვარულზე, სწორედ ამას შეეწირა მისი მეუღლის სიცოცხლე.

ბერიას პირად ინტერესებს შეეწირა ნინა ჩიჩუა-ბედია და მისი მეუღლე ერიკ ბედია. ერიკ ბედია გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი იყო, მან დაწერა „ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორია“, რომელიც ბერიამ მიისაკუთრა. ნინამ საჯაროდ ამხილა ბერია, რაზეც დაემუქრა კიდეც. სულ მალე ჯერ ქმარი დახვრიტეს. ნინა კი პირადად ბერიას დაუკითხავს და გაუტეხელობის გამო პირდაპირ კაბინეტში დაუხვრეტია. ოქმში კი ჩაიწერა, რომ თითქოს გულის შეტევით გარდაიცვალა.

ასეთი ისტორია ათეულობით ინახება „შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში“. იყო დრო, როცა ცოლობაც კი დანაშაულად ითვლებოდა.

„ჩემო მამა! მე მივდივარ, დეიდა ლიზაც ჩემთან არის, თითქმის სულყველა ცოლები. თქვენი ჯავრი მკლავს. ნიკოს ამბავი გავიგე. ნახეს ციხეში მისჯილებთან, მაგრამ რამდენი აქვს, არ ვიცი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ნიკუშა შენგელია

ალექსი ახვლედიანი და სოფო ნიჭარაძე

მაგდა კლდიაშვილი

SPORT

კახი კალაძე მონაკოში ისვენებს

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი და ყოფილი ფეხბურთელი, კახი კალაძე მონაკოში მეუღლესთან და შვილებთან ერთად ისვენებს.

როგორც შევიტყვეთ, კალაძემ დასვენება სამსახურიდან 12 აგვისტოს, უეფას სუპერთასის დასრულების შემდეგ, მეორე დღეს აიღო და საქართველოდან გაემგზავრა. ვიცე-პრემიერი არ აქტიურობს არც სოციალურ ქსელში, აქტივობები შეჩერებულია მისი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზეც.

კალაძის მეუღლის, ანუკი არეშიძის „ინსტაგრამიდან“ ირკვევა, რომ წყვილი მონაკოში ისვენებს.

გიორგი ჩელებაძემ მამით უკმაყოფილო ხალხს სოციალურ ქსელში აგინა

ქობულეთის „შუქურას“ თავდამსხმელმა, გიორგი ჩელებაძემ სოციალურ ქსელში პოსტი დაწერა, სადაც ის უწმაწურ სიტყვებს ხმარობს.

იმ გუნდის ხელმძღვანელი, სადაც 23 წლის თავდამსხმელი თამაშობს, ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, რეზო ჩელებაძეა, რომელიც გიორგი ჩელებაძის მამაცაა.

ფეხბურთელის წყრომა რამ გამოიწვია, უცნობია, თუმცა როგორც ის „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს, იმ ხალხს აგინებს, ვინც მამამისით უკმაყოფილოა.

„ვისაც არ მოგწონთ ქობულეთის „შუქურას“ ხელმძღვანელობა, ანუ რეზო ჩელებაძე, მ...ანთ დედის პ...ი“, - წერს ჩელებაძე.

ცნობისთვის, ქობულეთის „შუქურაში“ უმცროს ჩელებაძეს, უფროსი ჩელებაძე, ანაზღაურების სახით, ყოველთვიურად ხელფასს 10 ათას ლარს უხდის.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

ლეონელ მესი

ჯაბა კანკავას საფრანგეთში ქართული ბანერი დაახვედრეს

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი, ჯაბა კანკავა საფრანგეთში ითამაშებს.

ფრანგულ „რეიმსთან“ კანკავამ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი წარდგენა საზოგადოებისადმი „რეიმსი“-„მარსელის“ დაპირისპირების დაწყებამდე მოხდა. 29 წლის ნახევარმცველს, რეიმსელებმა სტადიონზე ბანერი დაახვედრეს, სადაც, ლათინური ასოებით ეწერა - „მობრძანდი ჯაბა“.

„რეიმსში“ კანკავა 4-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

მერაბ ჟორდანიამ შესაძლოა სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღოს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა სურს მერაბ ჟორდანიას.

ჟორდანია რამდენიმე წლის წინ უკვე იყო ფედერაციის პრეზიდენტი, თუმცა 2005 წელს მან თავისი სურვილით დატოვა პოსტი, მანამდე კი თბილისის „დინამოსთან“ დაკავშირებით გამოძიებას ჟორდანიასთან კითხვები ჰქონდა. ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილი ჟორდანია მაშინ 70 ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლდა, ბრალი კი არ დამტკიცებია, შესაბამისად, არც ნასამართლეობა აქვს.

სამაგიეროდ, ჟორდანია ჰოლანდიაში სკანდალში გაეხვა. „ვიტესის“ ყოფილმა პრეზიდენტმა, ახალს მუქარის წერილები გაუგზავნა და ფიზიკური დაზიანებებითაც დაემუქრა. საბოლოო ჯამში, არნემის სასამართლომ, ჟორდანიას კლუბის სტადიონზე შესვლა და პრეზიდენტთან მიახლოება აუკრძალა.

თუკი ჟორდანიას საბუთებში ნასამართლეობა უფიქსირდება, ის არჩევნებში მონაწილეობას, დიდი ალბათობით, ვერ მიიღებს, თუმცა, ჟორდანიამ, უკვე გაავრცელა ოფიციალური განცხადება და დაადასტურა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

სერხიო რიკო გონსალესი

თამუნა ვაშალომიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზაზა შათირიშვილი: უნდა მივცეთ საშუალება „რუსთავი2“-ს, რომ საკუთარი თავი ამოწუროს

ქეთი ხატიაშვილი

გასული კვირის ყველაზე ხმაურიანი მთავარი მოვლენა, ერთი მხრივ, იყო თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ამერიკაში და მეორე მხრივ, საქართველოში ქართველი პოეტის წერილი. თითქოს რა კავშირი უნდა იყოს ამ ორ მოვლენას შორის, თუმცა, სწორედ თინა ხიდაშელი და დავით მაღრაძე მოექცნენ მედიის ყურადღების ცენტრში.

შეერთებულ შტატებში თავდაცვის მინისტრი ირწმუნებოდა, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი მტკიცედ პროდასავლურია, ქართველი ხალხის მისწრაფება ნატოსკენ – ურყევი, ხოლო შეერთებული შტატები – სტრატეგიული პარტნიორი.

პარალელურად, საქართველოში მთავარი ოპოზიციური ძალა ირწმუნებოდა, რომ ქვეყნის შიგნით ანტიამერიკული განწყობები გააქტიურდა და ახლა ისინი არა მხოლოდ „რუსთავი 2“-ის, ამერიკის წინააღმდეგაც გამოდიან.

სწორედ ასე იქნა აღქმული და შეფასებული დავით მაღრაძის წერილი, რომელიც პოეტმა ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს მისწერა:

„თქვენო აღმატებულებავ, გულწრფელად მინდა რომ თქვენი, ვფიქრობ, უსაფუძვლო შეშფოთება დავაცხრო და გითხრათ, რომ იყავით მშვიდად, საქართველოში სიტყვის თავისუფლებას საფრთხე აღარ ემუქრება, რადგან ურეიტინგო, პოლიტიკურ-ზნეობრივად გაკოტრებული, ხალხის უნდობლობით დაღდასმული, დაშლილი, დანაწევრებული „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში ვერასოდეს მობრუნდება. ამას საქართველოს მოსახლეობა არ დაუშვებს. იქნებ სცადოთ პოეტის მოსმენა. სადაც პოეტს არ უსმენენ, დიქტატორის მოსმენა მოუწევთ “.

მანამდე გამოქვეყნდა ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლას ბერლინერის კომენტარი:

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლება ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია. ჩვენ და საერთაშორისო თანამეგობრობა ვაფასებთ საქართველოს ღია მედიაგარემოს, რომელიც რეგიონში სამაგალითოა. ამდენად, წუხილს იწვევს მოვლენების ისეთი განვითარება, რომელიც მედიის თავისუფლების საფრთხის ქვეშ დაყენების ან მედიაპლურალიზმის დარღვევის შთაბეჭდილებას ტოვებს. „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესს ყურადღებით ვაკვირდებით. მედიასაშუალების მონაწილეობით წარმართული ნებისმიერი სასამართლო პროცესი სამართლებრივი პროცედურების უმაღლესი სტანდარტის შესაბამისად უნდა წარიმართოს და ნებისმიერი ქმედება, რომელიც მედიასაშუალების თავისუფლად მუშაობის შესაძლებლობას ზღუდავს, ყურადღებით უნდა იქნას განხილული“.

კიდევ უფრო ადრე ნიკა გვარამია ქიბარ ხალვაშს დაუპირისპირდა, რომელმაც „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. გვარამია ამ პროცესების უკან არხის მესაკუთრეების დავას კი არ ხედავს, არამედ პოლიტიკასა და ხელისუფლების ინტერესს:

„რაც არ უნდა ვთქვათ, ქიბარ ხალვაში თვითონ იყო ცნობილი წამგლეჯი, ირაკლი ოქრუაშვილის გოშია, ეს ყველამ კარგად იცის და სასაცილოა, ვინმეს რომ ედავება. ის დამოუკიდებლად არ მოქმედებს და ეს მთავრობის თამაშია“.

ამ პროცესებმა კარგად გამოაჩინა ის დაპირისპირება, რომელიც, პირველ რიგში, პოლიტიკურ სპექტრში და გარკვეულწილად საზოგადოებაშიც არსებობს.

„რუსთავი 2“ ვისთვის სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის შუქურაა და ვისთვის სიცრუისა და ნაციონალების რეაბილიტაციისთვის მოქმედი მანქანა.

დავით მაღრაძის წერილს ზაზა შათირიშვილის შეფასებაც მოჰყვა. „რეპორტიორისთვის“ მიცემულ მოკლე კომენტარში მან თქვა:

„ელჩის განცხადებაში იგრძნობა, რომ ის არ არის ამ პრობლემაში ღრმად ჩახედული. ნაჩქარევი და ზერელე განცხადების შთაბეჭდილებას ტოვებს. ალბათ, აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ვერ გაერკვა არსებულ სიტუაციაში. აქედან გამომდინარე, ეს განცხადება დიდ ყურადღებას არ იმსახურებს. უბრალოდ, ვინც არ იცის, უნდა ავუხსნათ რეალობა. საჭიროა მეტი კომუნიკაცია ელჩებთან. გარდამავალი პერიოდია, ერთი ელჩი წავიდა, მეორე მოვიდა და ამიტომაც მოხდა მსგავსი რამ ამ პერიოდში“.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში კი ზაზა შათირიშვილმა ებრაული ანეკდოტი გაიხსენა:

– რაბინთან ორი მომჩივანი მივიდა. ერთმა უთხრა თავისი საჩივარი. მართალი ხარო, მიუგო რაბინმა. მეორემ უთხრა თავისი სათქმელი, რაბინმა უთხრა: შენც მართალი ხარო. ამ დროს რაბინის პატარა შვილმა თავი გამოყო და მამას უთხრა: მამი, ეგრე არ შეიძლება, ან ერთია მართალი, ან მეორეო, რაზეც რაბინმა უპასუხა: შენც მართალი ხარო. ეს არის ის სიტუაცია, როცა ყველა მართალია.

შათირიშვილმა ხელისუფლებას საელჩოებთან მეტი კომუნიკაციისკენ მოუწოდა და „რუსთავი 2“ ნაციონალების ტელევიზიას უწოდებს:

„არ არის საჭირო ვითარების დრამატიზება. მთავარია, რომ ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. რაც დათო მაღრაძემ გამოხატა, საჭიროა იმისთვის, რომ უფრო მაღალ დონეზე შეერთებულ შტატებში, სადაც ფორმირდება სახელმწიფო პოლიტიკა კავკასიის რეგიონისადმი უფრო სერიოზული შეცდომა არ მოუვიდეთ. ამისთვის კარგია ასეთი შეძახილები... ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ასეთ სიტუაციაში კომუნიკაცია საელჩოებთან. როცა ასეთი გლობალური დაპირისპირებაა დასავლეთსა და რუსეთს შორის, ასეთი ტიპის განცხადება, მით უფრო, თუ ცოტა დრამატიზებას მოვახდენთ და თუ კონტექსტებითაც იქნება დატვირთული, მტრის წისქვილზე ასხამს წყალს... რაც შეეხება მილევად ტელევიზიას, უნდა მივცეთ საშუალება, რომ საკუთარი თავი ამოწუროს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვერ ხდება სიღრმისეულად ვითარებაში ჩახედვა. ეს არ არის კატასტროფა და ტრაგედია. ასეთი ტიპის განცხადებები საჭიროა.

„რუსთავი 2 “ არ არის არანაირი ფაქტორი ქვეყნის შიგნით, ისევე როგორც „ნაციონალური მოძრაობა“.

„რუსთავი 2“-ის არსებობა თავიდან ბოლომდე პოლიტიკურია. როგორც კომუნისტების დროს „ვრემია“ იყო, ამ ტიპის წარმონაქმნია „რუსთავი 2“... მისი არსებობა თავისთავად ძალიან კარგია – ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რა არის სიყალბე და როგორ მუშაობს ის. როცა ეს თვალწინ გაქვს, მობილიზება არ გავიწყდება.

„რუსთავი 2“-თან დაკავშირებული ხალხი: დვალი, აქიმიძე, ქიბარი, ვერ ვიტყვით, რომ ეს გარეშე ხალხია, მათ ააწყვეს ეს ტელევიზია... ეს არის ცხოვრება – ზედაპირზე გამოდის მთელი ეს სიბინძურე...

როგორ გადანაწილდება



„მე პირადად, მურთაზ ხურცილავა, რეზი არველაძეს ვუჭერ მხარს“

„დიდი ხანია, ფედერაციაში მუშაობს, აქვს უზარმაზარი გამოცდილება, ძალიან უყვარს ქართულ საფეხბურთო ოჯახს“

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები 3 ოქტომბერს გაიმართება. ფედერაციის აღმასკომმა ეს გადაწყვეტილება ერთი კვირის წინ მიიღო. ვინ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, ვინ გადაწყვეტს ქართული ფეხბურთის ბედს და ვინ ვის მისცემს ხმას. არჩევნებამდე ორ თვეზე ნაკლები რჩება, „პრაიმტაიმი“ ხმების სავარაუდო გადანაწილებას თვლის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტს 34 საარჩევნო სუბიექტი აირჩევს. ერთს, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ ხმა შეუჩერდა, რადგან იმერულმა კლუბმა ფეხბურთელებისა და თანამშრომლების დავალიანებები, მიცემული ვადების მიუხედავად, მაინც არ გაისტუმრა.

34 სუბიექტიდან 12 რეგიონალური ფედერაციაა, 12 კლუბი უმაღლესი და პირველი ლიგიდან, 9 კი - ასოციაციები და გაერთიანებები.

ამ დროისთვის, სამმა კანდიდატმა დაადასტურა, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. ესენი არიან, რევაზ არველაძე, სფფ-ს მოქმედი ხელმძღვანელი პირი და გენ-მდივანი, ვეტერანი ფეხბურთელი, ლევან კობიაშვილი და სფფ-ს ყოფილი პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია. ზვიად სიჭინავამ, საჯაროდ განაცხადა, რომ ის მომავალ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. ამ დროისთვის უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ყაველაშვილი-ყიფიანის ტანდემი. ყაველაშვილს უმაღლესი განათლების არქონის გამო, უეფას და სფფ-ს დებულებების თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს, არჩევანი კი ყიფიანზეა, სპორტის ექს-მინისტრი პოსტიდან გათავისუფლების შემდეგ, არ აქტიურობს და ის, შვეიცარიიდან ყაველაშვილის საქართველოში დაბრუნებას ელოდება.

არსებული ინფორმაციით, რეგიონალური ფედერაციები რევაზ არველაძეს წყალობენ. როგორც „პრაიმტაიმს“ სფფ-ს თანამშრომელმა აცნობა, ევროპის ლიგის ფინალზე, რომელიც ქალაქ ვარშავაში გაიმართა, რეზი არველაძემ რეგიონალური ფედერაციების წარმომადგენლები სრული შემადგენლობით დაპატიჟა, მათ ახალ ოფისებს და ბიუჯეტის ათი ათასი ლარით გაზრდას დაპირდა. მას შემდეგ, რაც არენაზე მერაბ ჟორდანია გამოჩდა, არველაძეს რეგიონალური ფედერაციებიდან ერთი ხმა მოაკლდა, გურიის ხმა. სავარაუდოდ, სნორედ გურიის რეგიონალური ფედერაცია წარადგენს ჟორდანიას პრეზიდენტის პოსტზე, რადგან თავად კლუბს, ხმის უფლება არ აქვს არჩევნებში.

დარჩენილი 12 ხმიდან, ერთი, სამხრეთ ოსეთის რეგიონალური ფედერაცია, დიდი ალბათობით, კობი-

„სამხრეთ ოსეთის რეგიონალური ფედერაცია, დიდი ალბათობით, კობიაშვილის მხარს დაიჭერს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხმები სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებზე

რაც არენაზე მერაბ ჟორდანია გამოჩნდა, არველაძეს რეგიონალური ფედერაციებიდან ერთი ხმა მოაკლდა

სავარაუდოდ, სწორედ გურიის რეგიონალური ფედერაცია წარადგენს ჟორდანიას პრეზიდენტის პოსტზე

EXCLUSIVE

აშვილის დაიჭერს მხარს, რადგან, კლუბიც სახელმწიფო დაფინანსებაზეა და ისიც ვეტერან ფეხბურთელს მისცემს ხმას.

რეგიონალური ფედერაციებიდან, ამ მდგომარეობით, რეზი არველაძეს 11 სუბიექტი მისცემს ხმას.

ეს ფედერაციებია: აფხაზეთის ავტონომია, აჭარის ავტონომია, თბილისი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი;

ლევან კობიაშვილი - სამხრეთ ოსეთი.

მერაბ ჟორდანია - გურია.

რაც შეეხება უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებს, აქ ლიდერი ლევან კობიაშვილია, რომელსაც ბევრი სახელმწიფოს ფავორიტ კანდიდატად მოიხსენიებს. ვიდრე კობიაშვილი საკუთარ სურვილს გაახმაურებდა, მას ვიცე-პრემიერმა კალაძემ დაასწრო და მედიას ამცნო, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში კობიაშვილი მონაწილეობას მიიღებდა, მოგვიანებით კი, კობიაშვილს ერთგვარი თავის მართლება მოუხდა, რომ მას ისედაც ჰქონდა იმის უფლება და დამსახურება, რომ საპრეზიდენტო მარათონში ჩართულიყო.

არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება სულ 12 გუნდს აქვს. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელი და მფლობელი, ილია კოკაია, არველაძეებს დიდი ხანია აკრიტიკებს და მოქმედ ხელმძღვანელობას, ამიტომ არავისთვის უცნობი არ იყო, რომ კოკაია ხმას კობიაშვილს მისცემდა, თუკი ყიფიანი-ყაველაშვილის წყვილიდან რომელიმე კანდიდატურას არ დააყენებდა. ამიტომ, ზესტაფონელებისთვის ხმის შეჩერებამ მხოლოდ კობიაშვილის კანდიდატურა დააზარალა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველლიგელი „გაგრას“ ხელმძღვანელი „ზესტაფონის“ მფლობელის მეგობარია, „გაგრა“ ხმას სულ სხვა კანდიდატს მისცემს. უეფას მედია ოფიცერი, მამუკა კვარაცხელია, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე სწორედ „გაგრამ“ წარადგინა.

საფეხბურთო კლუბ „მერანის“ მეპატრონეს, ფრიდონ ინჯიას, რეზი არველაძე დიდად გულზე არ ეხატება, ამიტომ მისი ხმაც კობიაშვილისკენ წავა. კობიაშვილი მიიღებს თბილისის „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიას“, „სიონის“, „ცხინვალის“, „სამტრედიას“, „დილას“ და „ტორპედოს“ ხმებს. ქუთაისში გუნდის მართვა საბჭომ აიღო, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული, ამიტომ, ამ გუნდებისგან, კობიაშვილი გარანტირებულ ხმებს მიიღებს.

რაც შეეხება „ზუგდიდსა“ და „კოლხეთს“, მეგრელების სიმპათიები არველაძისკენ იხრება, თუმცა „კოლხეთის“ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება შესაძლოა გადაიხედოს.

პირველ ლიგაში დაქვეითებული და გაკოტრებული „მეტალურგი“ ხმას რეზი არველაძეს მისცემს, რადგან უმაღლეს ლიგაში, ლიცენზირების დროს, ამ გუნდის გარანტორი, სწორედ არველაძე იყო.

მაშ ასე, კლუბებისგან, კობიაშვილი 9 ხმას მიიღებს, ორს - არველაძე, ერთს კი მამუკა კვარაცხელია.

ასოციაციებსა და გაერთიანებებს ერთად 9 ხმა აქვთ. ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი, მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კავშირი, ფუტსალის ასოციაცია და ქალთა ფეხბურთის ფედერაცია გარანტირებულად რეზი არველაძეს აძლევს ხმას.

არველაძე პრეზიდენტის პოსტზე სწორედ ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა წარადგინა, კავშირის წევრმა, მურთაზ ხურცილავამ, ფედერაციის გაზეთთან, „ჩვენი თამაში“, პირდაპირ განაცხადა, რომ ის არველაძის პროგრამასაც იცნობს და მას უჭერს მხარს.

მურთაზ ხურცილავა, ვეტერანი ფეხბურთელი:

„მე პირადად, მურთაზ ხურცილავა, რეზი არველაძეს ვუჭერ მხარს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას ჯერ კიდევ მისი ფეხბურთელობის, შემდეგ მწვრთნელობის, კლუბის ხელმძღვანელობის პერიოდიდან ვიცნობ. დიდი ხანია, ფედერაციაში მუშაობს, აქვს უზარმაზარი გამოცდილება, ძალიან უყვარს ქართულ საფეხბურთო ოჯახს, გარდა ამისა, წლებია, მჭიდროდ თანამშრომლობს უეფას ხელმძღვანელებთან და აქვს შესანიშნავი პირადი კონტაქტები, ამასთან, არის ყოველმხრივ განათლებული და ღირსეული პიროვნება“.

მსაჯებს ხელფასს ფეხბურთის ფედერაცია უხდის, შესაბამისად, საკუთარ მარჩენალს ვერ უღალატებენ მსაჯები და ისინიც ხმას ფედერაციის კანდიდატს, არველაძეს მისცემენ. იგივე მდგომარეობაა ქალთა ფეხბურთშიც. იმისთვის, რომ მოქმედმა ხელმძღვანელმა, ნინო სორდიამ პოსტი შეინარჩუნოს, მან ხმა არველაძეს უნდა მისცეს. დაუფარავად უჭერს მხარს არველაძეს ფუტსალის ასოციაციაც, ამიტომ ოთხი ხმა არველაძესთან მიდის. რაც შეეხება დანარჩენ გაერთიანებებს, ფეხბურთელთა ასოციაცია მხარს კობიაშვილს უჭერს, ხოლო პლაჟის და ეზოს ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელების პოზიცია ამ დროისთვის უცნობია. ასეთივე მდგომარეობაა ინვალიდ-ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგასა (გაერთიანებას სწორედ ასე ჰქვია ავტ.) და საფეხბურთო სკოლების ასოციაციასთან დაკავშირებით, თუმცა, ლევან კობიაშვილს დიდი შანსი აქვს, რომ ეს ხმები სწორედ თავისკენ წამოიღოს.

საბოლოო ჯამში, არველაძეს 17 ხმა ერგო, კობიაშვილს კი, თუკი ამ გაერთიანებებიდან ხმას ის წაიღებს, სულ - 15 ხმა.

საინტერესოა, ვისზე აკეთებს გათვლას მერაბ ჟორდანია და ვის წაართმევს საპრეზიდენტო არჩევნებში ხმებს ის, რომელსაც არსებული მდგომარეობით, მხოლოდ ერთი მხარდამჭერი ჰყავს. ასევე უცნობია, ვინ დაუჭერს მხარს ლევან ყიფიანს, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში თავის კანდიდატურას წამოაყენებს პრეზიდენტის პოსტზე.

აქამდე ცნობილი კანდიდატებიდან, ვლადიმერ გუცაევმა განაცხადა, რომ თუკი ლევან კობიაშვილი კენჭს იყრის, ის მონაწილეობას აღარ მიიღებს არჩევნებში და კობიაშვილის მხარდამჭერი იქნება.

სკამი ერთია, მსურველი კი ბევრი. გარდა რეზი არველაძისა, რომელიც საარჩევნო კამპანიას, ფაქტობრივად წელიწადზე მეტია აწარმოებს, დანარჩენ კანდიდატებს აქტიურობა და პროგრამის გაცნობა სპორტული საზოგადოებისთვის ჯერ არ დაუწყიათ. 3 ოქტომბერს კი, დიდი ხმაური იქნება.

მურთაზ ხურცილავა: „არის ყოველმხრივ განათლებული და ღირსეული პიროვნება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View
ნინო მჭედლიშვილი

„მასონი ვარ თურმე“

„ქართული ოცნების“ ასაკშია. მხნედ გრძნობს თავს. ახალგაზრდულად გამოიყურება და ახალი სეზონისთვის ემზადება. მძიმე კაცი მეგობრებმა მაშინ დაარქვეს, როცა გადაცემაზე ფიქრი დაიწყო. ამბობს, რომ მეტსახელი შვენის, განსაკუთრებით დილით, სანამ ყავას დალევს და ბოლომდე გამოიღვიძებს.

დავით კოვზირიძე დღეს „პრაიმტაიმის“ სტუმარია.

- საქართველოს გარდა, რომელ ქვეყანაში იცხოვრებდი?

- ამსტერდამში. მიყვარს, მომწონს და კომფორტულად ვგრძნობ თავს. მომწონს თავისუფლება, ურთიერთობა ადამიანებს შორის, ყველაფერი მომწონს.

- აქ ვინ გზღუდავს?

- სახელმწიფო. ვერ ვაკეთებ იმას, რაც მინდა ვაკეთო.

- მაგალითად?

- მოსაწევი მინდა მოვწიო, მაგრამ ვერ ვეწევი, იმიტომ რომ შვიდი წლით დამიჭერენ. კიდევ მინდა ყველა იღიმოდეს ქვეყანაში და არ არის ასე.

- აქაც სახელმწიფოს ხელი ურევია?

- რაღაცები სახელმწიფოს ბრალია, რაღაცები - ხალხის და ყველაფერი ერთად ჩვენი ბრალია.

- რატომ არ ვიღიმით?

- არ ვიცი. აი, მაგას ვერ ჩავწვდი. ვერც იმას, რატომ აგინებენ სოციალურ ქსელში ერთმანეთს. ვერაფრით ვხვდები, როგორ შეუძლია ადამიანს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენოს მეორე ადამიანს მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ მოსწონს ილია ჭავჭავაძე.

- შენ იღიმი?

- კი. ვცდილობ მადლობა გადავუხადო ტაქსისის მძღოლს, გამყიდველს, მიმტანს, ვიღაცას ვუთხრა, რომ ლამაზია, კარგად გამოიყურება.

- თავად მოგწონს, როცა ქათინაურებს გეუბნებიან?

- რა თქმა უნდა, ეს ყველას სიამოვნებს.

- ზრდილობისთვის, ქათინაური გითქვამს?

- არა. ეგ ქათინაური არ არის, ეგ ფარისევლობაა.

- შენთვის უცხო ქალისთვის ქათინაური გითქვამს?

- კი.

- ქართულ ტრადიციებში რა არ მოგწონს?

- რა არის ქართული ტრადიცია, ამას ვარკვევ რამდენიმე წელია და ვერ გავიგე.

- რა გაღიზიანებს ყველაზე მეტად ქართულ საზოგადოებაში?

- არ მესმის როგორ შეუძლიათ ადამიანებს წლების განავლობაში ისხდნენ სუფრასთან და ყოველდღე ერთსა და იმავეს ლაპარაკობდნენ. შუფუტინსკის რომ უსმენ და თან ჩემს სამშობლოს გაუმარჯოსო, ამბობ, მერე ომი იწყება და გარბიხარ, ცოტა გაუგებარია ჩემთვის.

- შენ არ სვამ?

- არა.

- მაგრამ, გიწევს, ალბათ, მსგავს წვეულებებზე სიარული. რას აკეთებ იქ?

- ვერთობი. ვცეკვავ, ვსაუბრობ, სადღეგრძელოებს არ ვუსმენ.

- უცნაურ პროფესიაზე გიოცნებია ბავშვობაში მაინც?

- არა.

- როგორი იყო შენი ბავშვობა?

- ჩვეულებრივი. ვთამაშობდი ფეხბურთს, ომობანას. სხვათა შორის, როცა ომობანას ვთამაშობდი, სულ გერმანელი ვიყავი. მადლობა ჩემს ოჯახს, რომ ბავშვობიდან ვერ ვიტანდი საბჭოთა არმიას.

- გერმანელებში რა მოგწონს?

- სახელმწიფო ააშენეს. მიუხედავად იმისა, რომ ორი მსოფლიო ომი წააგეს, დღეს ევროპას მართავენ. ეს გერმანელებმა შეძლეს იმის ხარჯზე, რომ თავის შეცდომებს აღიარებდნენ.

- იდეალი გყოლია?

- მთელი ცხოვრება ვიღაცებს ვბაძავდი. მაგალითად, მინდოდა ვან ბასტენივით მეთამაშა ფეხბურთი.

- ვისი პოსტერები გქონდა შენს ოთახში გაკრული?

- ჯექსონის პლაკატი მქონდა, ბუდაპეშტიდან ჩამოვიტანე. ჩემს მეგობრებს თავისი მეგობრები მოჰყავდათ ამ პოსტერის სანახავად ჩემთან.

- იგლოვე, რომ გარდაიცვალა?

- ვიგლოვეო, ვერ ვიტყვი, მაგრამ მეწყინა. გენიოსი იყო.

- საბავშვო ბაღი გიყვარდა?

- არა, მაგრამ მომწონდა, როცა სხვებს ვუჭამდი საჭმელებს.

- სკოლაში რა მოგწონდა ყველაზე მეტად?

- პერიოდებად იყოფა ჩემი სკოლის ასაკი. ერთი პერიოდი ვთამაშობდი, მერე სიყვარულის პერიოდი დაიწყო, ძველბიჭობაც იყო. ხშირად მენატრება სკოლა.

- სტუდენტობას ჯობდა?

- სტუდენტობა, ფაქტობრივად, არც მქონია. ცუდ პერიოდს დაემთხვა. სულ რამდენჯერმე ვიყავი ინსტიტუტში. ჩათვლებზე და გამოცდებზე დავდიოდი. ბოლოს დიპლომი ავიღე. დანარჩენი დრო ვკითხულობდი და ფეხბურთს ვთამაშობდი სამოყვარულო დონეზე.

„ერთი-ორჯერ ვიმარხულე კიდეც, ოღონდ სამარხვო „ბისტროგანოვი“ არ მიჭამია“

„მინდა ყველა იღიმოდეს ქვეყანაში“

„თიბისი ბანკის“ მიერ დაფინანსებული ფილმი ლოკარნოს კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა

„თიბისი ბანკის“ თანადაფინანსებით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რეჟისორ დათა ფირცხალავას „მამა“ ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმად აღიარეს.

ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის, დათა ფირცხალავას ნამუშევარი საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში, იმედისმომცემი ტალანტების სექციაში, Pardi di domani იყო წარდგენილი.

ფილმი ეროვნული კინოცენტრის 2014 წლის კონკურსზე გამარჯვებული პროექტია, რომლის გადაღებაში „თიბისი ბანკმა“ ფინანსური მონაწილეობა მიიღო. როგორც ცნობილია, „თიბისი ბანკმა“ ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსი დამატებით 100 000 ლარით დააფინანსა, რამაც გაზარდა კინოწარმოების ფონდი და შესაძლებელი გახდა დაგეგმილზე მეტი ფილმის დაფინანსება.

ეს იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც, ქვეყანაში კინემატოგრაფის განვითარების მიზნით, სახელმწიფო სუბსიდიასთან ერთად, კინოწარმოებაში ჩაერთო კერძო ბიზნესი.

ლოკარნოს კინოფესტივალის პრიზიორ „მამა“-სთან ერთად, „თიბისის“ თანადაფინანსებით გადაღებული ფილმებია: ტატო კოტეტიშვილის „ოგასავარა“, თამარ შავგულიძის „პირველი დღე“, თორნიკე ბზიავას „მექელეხე“, ვახო ჯაჯანიძის „გამოსვლა“ და გიორგი წილოსანის „მზადება“. ფილმების პრემიერა 1 ივლისს, კინოთეატრ „ამირანში“ შედგა.

ლოკარნოს კინოფესტივალი შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში 1946 წლიდან იმართება და ცნობილია, როგორც აღმოჩენების ფესტივალი. მრავალი კინორეჟისორის თუ მსახიობის წარმატებული კარიერა სწორედ ლოკარნოში დაიწყო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რი ინტერვიუ მძიმე კაცთან

„მოსაწევი მინდა მოვწიო, მაგრამ ვერ ვეწევი, იმიტომ რომ შვიდი წლით დამიჭერენ“

„ზუფუტინსკის რომ უსმენ და თან ჩემს სამშობლოს გაუმარჯოსო, ამბობ, მერე ომი იწყება და გარბიხარ, ცოტა გაუგებარია ჩემთვის“

„რა არის ქართული ტრადიცია, ამას ვარკვევ რამდენიმე წელია და ვერ გავიგე“

EXCLUSIVE

„არ მოგწონს ქართველი მღვდლები“

- რამდენი წლის ხარ?

- 41-ის „ქართული ოცნების“ ასაკში ვარ (იღიმება).

- „ქართული ოცნების“ ასაკში თავს როგორ გრძნობ?

- კარგად ვერ ვგრძნობ, რომ ამხელა ვარ.

- ოჯახში მძიმე ხარ?

- არ მაქვს მსუბუქი ხასიათი, ასე ამბობენ. არ მიყვარს კომუნიკაცია უცხო ადამიანებთან.

- ოჯახში უცხოებთან ერთად ცხოვრობ?

- არა, ზოგადად ვამბობ. ოჯახშიც, სანამ ყავას დავლევ, კარგად გამოვფხიზლდები, მირჩევნია არ ვიკონტაქტო ოჯახის წევრებთან. ადრე გაღვიძება არ მიყვარს, პრინციპში, არც გვიან (იცინის).

- ქალთან ურთიერთობაში აზიელი უფროა შენში თუ ევროპელი?

- რას გულისხმობ?

- სად მიდიხარ, როდის მოხვალ, რას იცვამ, სადილი რატომ არ მოამზადე...

- არა, ეს მაღიზიანებს. ეს აზიასთან და ევროპასთან არ არის კავშირში. გოიმი ან ხარ, ან არ ხარ.

- მოგწონს, როცა შენს საყვარელ ქალს თვალს აყოლებენ?

- რატომაც არა, ე. ი. ლამაზია და სხვასაც მოსწონს.

- მთავარი კრიტერიუმი ქალის შეფასებისას.

- პირველი გარეგნობას ამჩნევ. მაგრამ თუ ამ გარეგნობის უკან არაფერია, იმ ქალთან ურთიერთობა საშინელებაა.

- გქონია?

- კი, მქონია, მაქედან ვიცი. ასეთ ქალთან ურთიერთობას მალევე ვამთავრებ. ჭკუა უნდა ჰქონდეს ქალს, გემოვნება და იუმორი.

- შენი იუმორი როგორია?

- მე როგორ გითხრა.

- სასწაულების გჯერა?

- არა.

- ეკლესიური ხარ?

- ეკლესიაში არ დავდივარ.

- ათეისტი ხარ?

- მთლად ათეისტსაც ვერ ვიტყვი ჩემს თავზე. რაღაც ძალის მჯერა. ადრე დავდიოდი ეკლესიაშიც. ერთიორჯერ ვიმარხულე კიდეც, ოღონდ სამარხო „ბისტროგანოვი“ არ მიჭამია. მერე ისეთ რაღაცებს წავაწყდი ეკლესიაში, საერთოდ გამიქრა იქ წასვლის სურვილი.

- რას?

- როგორ უყვირის მღვდელი ადამიანებს, როგორ დასცინის, როგორი გაუბრალოებულია აღსარება. მე არ მომწონს ქართველი მღვდლები, ყველაზე არ ვამბობ, რა თქმა უნდა. არ იციან რას აკეთებენ. ასიათასიანი მანქანითა და ათიათასიანი ტელეფონით რომ მოვა მღვდელი ეკლესიაში, იმას რა უნდა ელაპარაკო, იმან რა უნდა გასწავლოს. ელემენტარული განათლება არ აქვთ.

- მონათლული ხარ?

- კი, მაგრამ მგონია, რომ ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, როდის და რა სარწმუნოებაზე მოინათლოს.

- მტრები გყავს?

- მტრები ყველას ჰყავს. ვიღაცებს ვაღიზიანებ, თუნდაც იმის გამო, რაც ახლა ვილაპარაკე. ბევრს ჩემი თავისუფლება აღიზიანებს.

- შენ გაღიზიანებს სხვისი თავისუფლება?

- არა. ეგ არის ქრისტიანობის მთავარი პრინციპი, ადამიანების თავისუფლება.

- შენზე ჭორაობენ?

- კი.

- ყველაზე უცნაური ჭორი რა გაგიგია საკუთარ თავზე?

- მასონი ვარ თურმე (იცინის). ასეთ ჭორებზე მხოლოდ მეცინება.

- ცოლს, ეკა შალიკიანს მართლა გაშორდი?

- კი, წელიწად-ნახევარია უკვე.

- შეიძლება მიზეზი გკითხო?

- ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

- რამდენი წელი იცხოვრეთ ერთად?

- ცამეტი.

- ამბობენ, 7 წელია კრიზისულიო.

- ჩვენ შემთხვევაში ასე არ იყო.

- მძიმე იყო განშორება?

- არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

- შვილთან ურთიერთობა გაქვს?

- კი, რა თქმა უნდა.

- ბავშვს გაუჭირდა, თუ გადალახა უკვე?

- მგონი გავიარეთ ეგეც. როცა ურთიერთობა არ გამოდის, ეს საუკეთესო გამოსავალია, შვილისთვისაც და წყვილისთვისაც. საერთოდ, მგონია, რომ უნდა მივეჩვიოთ ბეჭდებისა და ბეჭდიანი ფურცლების გარეშე ცხოვრებას. წყვილს შორის ვალდებულებები ზედმეტია. მოგწონს ადამიანი, მასაც მოსწონხარ? იცხოვრებთ ერთად. მერე მოვა დღე (ან არ მოვა), როცა აღარ მოგინდებათ ერთად ცხოვრება და პრობლემებიც არ იქნება. არც არავის ეტკინება და არც არავინ დაზარალდება. სათაურებს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია კარგად იყო.

- შენ კარგად იყავი?

- კი.

- შეყვარებული მძიმე კაცი როგორია?

- ვინც მიყვარს მასთან ვატარებ მეტ დროს, მიხარია გაღვიძება.

- ქალები უფრო ჭორიკანები ვართ თუ კაცები?

- ორივე, მაგრამ, ალბათ, მაინც უფრო ქალები.

- ძმაკაცთან შენ ყოფილ ქალზე გიჭორავია?

- ჩემს პირად ურთიერთობებზე არავისთან ვლაპარაკობ.

- ბევრი რესპონდენტისთვის გიკითხავს და საინტერესოა, თავად რა პასუხი გაქვს ამ კითხვაზე, რას დააჭერინებდი ხელში ქართლის დედას?

- რეზო ამაშუკელს. რეზო ამაშუკელი ხომ ქართლის მამაა და ერთად იქნებოდნენ.

- რომელი იყო პირველი, ქათამი თუ კვერცხი?

- ამ კითხვაზე პასუხი მართლა არ მაქვს. ამიტომ ვსვამ რესპონდენტებთან. მერე დავითვლი და მივალ სწორ პასუხამდე (იცინის).

- როგორი სიბერე გინდა გქონდეს?

- სახლი ზღვის პირას, სადაც რაღაცებს დავწერ.

- შვილიშვილები?

- მოვლენ ხოლმე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტერვიუ AntiTV-სთან –

„მოკალი შენში ტელევიზორი“ – ექსკლუზიური ინტერვიუ AntiTV-სთან – ქართული სატელევიზიო ინდუსტრიის აპოკალიფსი

გიორგი ურუშაძე

მიცანი ? – მე ვარ შენ! ან შენი რომელიმე გამოტელევიზორებული, TVინგამორეცხილი მეგობარი! – გვაუწყებს AntiTv და მასშტაბურ საპროტესტო აქციას უდებს საფუძველს. „მოკალი შენში ტელევიზორი!“, „შენ ხარ გამოტელევიზორებული!“ – ერთი შეხედვით აგრესიული მესიჯები საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. მიზანი ნათელია – ბრძოლა ტელევიზორის წინააღმდეგ. ამ მიზნის შესასრულებლად კი, როგორც ჩანს, უკან დახევას არ აპირებენ. მასშტაბური სარეკლამო კამპანია თბილისის ქუჩებში, ვიდეოკლიპები და სპეციალური საიტი, სადაც ყველა მომხმარებელს საკუთარი მანიფესტის გამოქვეყნება შეუძლია, აქციის სერიოზულობაზე მიუთითებს. თუმცა, ვინ დგას ამ ყველაფრის მიღმა, უცნობია. ინოვაციური აქციის ავტორი ვინაობას არ ამხელს, ამბობს: „მე ვარ შენ და მთელი ეს ქვეყანა“.

დღემდე არსად უსაუბრია. ეს მისი პირველი ინტერვიუა. ვინაობას მალავს, თუმცა, აქციაზე ექსკლუზიური დეტალები მხოლოდ „პრაიმტაიმს“ გაუმხილა: 13 სექტემბერს საქართველოს მოსახლეობა სახლში სპეციალურ კონვერტს მიიღებს, სადაც 6-ნიშნა კოდი იქნება მოთავსებული. თუ რისთვის, ამაზე ქვემოთ.

– ეს არის მოწოდება გამოფხიზლებისკენ! არ ვებრძვი ტელევიზორს, როგორც ცალკე აღებულ საყოფაცხოვრებო ტექნიკის ერთეულს, თუმცა ინფორმაცია, რომლითაც დღევანდელმა ქართულმა არხებმა ის გამოჭედეს, ამაზრზენი და სამარცხვინოა. არ ვსაუბრობ შემეცნებითი გადაცემების ან მსგავსი პრეისტორიული ტიპის სატელევიზიო პროდუქტის არქონაზე, მაგისკენ არავის მოვუწოდებ და ძალიან კარგად მესმის, რომ ტელევიზიამ შემეცნებითობა საუკუნის წინათ მთელ მსოფლიოში დაკარგა, თუ არ ჩავთვლით Discover Channls და National Geigraphics. მაგრამ მომენტიდან, როდესაც ქართულ ტელესივრცეში ჩნდება „საქართველოს ფანოღი“ და ყველა არხი მიზანმიმართულია მხოლოდ იმისკენ, რომ ყველაზე ბინძური ხერხებით აწიოს რეიტინგი (მაგალითად: „რუსთავი 2“-ზე ნებისმიერ მეგა სახალხო შოუს, წინ მიუძღვის საკასტინგო ნაწილის ეკრანიზაცია, სადაც ვიღაც თავისდაუნებურად იდიოტებს საქვეყნოდ დასცინიან) მომენტიდან, როდესაც თურქული სერიალი აღარ არის აქტუალური ინდური სერიალის ფონზე და არავინ არ ფიქრობს, რომ გააკეთოს რამე, რაც, ზოგადად, ინდუსტრიაში აწევს ხარისხის მაჩვენებელს, საჭიროდ ჩავთვალე აი, ასეთი ფორმით მომეწოდებინა ხალხისთვის, რომ, უბრალოდ, გამორთონ ეგ ნაგვის ყუთი. ეს არის ჩემი მიზანი. დიადი და ნათელი.

– რატომ მოუწოდებთ გამორთვისკენ და არა შეცვლისკენ? ხომ არ არის ეს მეტად რადიკალური ფორმა?

– იმიტომ რომ მხოლოდ გამორთვას შეუძლია გარკვეული ფინანსური ზიანი მიაყენოს ტელევიზიებს და მათ რეალურად იგრძნონ ამ თემის აქტუალურობა.

– თუმცა, ქართული მედია ფინანსური დამოუკიდებლობის არარსებობის გამო, ისედაც არაა ობიექტური და ეს ხომ კიდევ უფრო დამოკიდებულს გახდის?

– ქართული მედიის ის ნაწილი, რომელიც თავისი ინფორმაციით განსაკუთრებულად უხდება ამ პროტესტს, ფინანსურად დამოუკიდებელია და საკმაოდ მაღალ სარეკლამო შემოსავალს გენერირებს.

– ანუ მთავარი სამიზნე „იმედი“, „რუსთავი 2“ და ალბათ, „მაესტრო“ გამოდის? და საზოგადოებრივი მაუწყებელი?

– სამიზნე ყველა ის დამყაყებული, უსაქმური, არაფრისმომცემი ადამიანი და მთელი არხია, რომლისთვისაც ზედმეტი თავის ტკივილია იმაზე ფიქრი, როგორ შეიძინოს ან თავიდან შექმნას რეალურად ღირებული და თანამედროვე სატელევიზიო პროდუქტი.

– და ინტერნეტზე რას იტყვით? იქ არ არის დამყაყებული სიტუაცია? ამას რატომ არ აპროტესტებთ?

– ინტერნეტში ვერასოდეს იქნება რამე კონკრეტული სიტუაცია. პირველ რიგში, იმიტომ რომ იქ არავინ გამზადებულ ბადეს არ გთავაზობს და მხოლოდ მომხმარებელი ირჩევს, რას უყუროს, წაიკითხოს და ა.შ. თუ არ იცი, როგორ გამოიყენო საერთო მსოფლიო საინფორმაციო ქსელი და რეალურად ვერ პოულობ შენთვის საინტერესო და ახალ რაღაცებს, ეს მხოლოდ არცოდნის პრობლემაა და შედარებით შეგუებადია, რადგან რეალურად ინტერნეტში სულ 15 წელია, რაც ძრომიალი ვისწავლეთ. წილობრივ თანამონაწილეობაზე, ნებისმიერი კვლევა დასერჩე ქართული ასოებით „საქართველოს ინტერნეტ მომხმარებელი“ და მიხვდები, რომ ძალიან, ძალიან და შენ რომ არ წარმოგიდგენია, იმდენად ცოტაა. ჯერ მარტო იმიტომ, რომ რეალურად ოპტიკური ინტერნეტი სულ 4 ქალაქშია. ჯამში, ინტერნეტში თურქულ სერიალებს არ უყურებენ და არც ჯაჯანიძის შოუს მთელ ეპიზოდს აქვს დიდი ნახვები.

– თქვენს ორგანიზაციას აქვს რაიმე ოფიციალური სახე, თუ, უბრალოდ, გუნდია შექმნილი, რომელსაც კონკრეტული მიზანი აქვს დასახული?

– სახე ვარ მე. მე ვარ შენ და მთელი ეს ქვეყანა.

– მოდი, ტელევიზიებზე გავაგრძელოთ საუბარი. თქვენი აზრით, არსებობს ტელევიზია, რომელიც პროტესტის სამიზნე არ არის? მაგალითად, შემეცნებითი ტელევიზიები, ქართულებს ვგულისხმობ

– შემეცნებითი ტელევიზია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მსოფლიოში რამდენიმე დარჩა და მათი პატარა ანალოგები სხვადასხვა ქვეყნებში. ისინი ძირითადად მცირე საკაბელო მაუწყებლები არიან. საქართველოში მსგავსი ნიმა საერთოდ აუთვისებელია. თუმცა შეიძლება ათვისება არ იყოს მიზანშეწონილი. მიზეზი: მსგავსი ნიშური არხები მხოლოდ მას შემდეგ ჩნდება, რაც ე.წ. Mainstream ბოლომდე და კარგად არის ათვისებული. ჯანსაღი კონკურენციაა, რომელიც მხოლოდ ხარისხს ემყარება.

– GDS-ზე რას იტყვით? ეს იყო პირველი ტელევიზია, რომელმაც განსხვავებული ფორმატი შესთავაზა მაყურებელს? შემეცნებითი გადაცემები, საკუთარი, ორიგინალური TV პროექტები და ასე შემდეგ...

– GDS-ის მაჩვენებლებს თუ გადახედავთ, ძნელია, მას ბაზარზე არსებული ტელევიზია უწოდო. დაახლოებით იგივეა, რომ შენს წარმოდგენაში ახალ და კარგ მუსიკას ქმნიდე, მაგრამ შენს კონცერტებზე ხალხი არ დადიოდეს. ტელევიზია პოპ-კულტურაა და ამ ინდუსტრიაში ხარ მაგარი მაშინ, როდესაც ქმნი მასობრივსა და ხარისხიანს. ამიტომაც არის ბევრისთვის საოცნებო სამუშაო ადგილი მთელ მსოფლიოში. მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ მსგავსი რაღაცის კეთება. მსმენია მათი ახალი სეზონის გეგმების შესახებ და ორიგინალური ქართული დრამის ვიდეორგოლიც ვნახე. ნახე შენ? მაგრამ მოდი, სამართლიანები ვიყოთ! ამ ეტაპზე ეს არხი რეალურად ისევე არ არსებობს, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი. ყველამ იცის, მაგრამ არავინ უყურებს.

– კი, ვნახე. სანამ პოლიტიკური გახდებოდა, მანამდე არსებობდა?

– არა. პოლიტიკურობას არ ვგულისხმობ. უბრალოდ, ძალიან, ძალი-

AntiTv: „მე ვარ შენ და მთელი ეს ქვეყანა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სატელევიზიო აპოკალიფსი

„თითოეული თქვენგანი უახლოეს მომავალში მიიღებს ჩემგან ამანათს, რომელზეც 6-ნიშნა კოდი იქნება დატანილი“

„გამორთონ ეგ ნაგვის ყუთი! ეს არის ჩემი მიზანი. დიადი და ნათელი“

ან, ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს. ანუ რეალურად იმ მასშტაბებით, რასაც ტელევიზია ჰქვია, არ არსებობს.

– როგორც ჩანს, ძალიან კარგად ერკვევით სატელევიზიო სივრცეში, გიმუშავიათ რომელიმე ტელევიზიაში?

– ოდესღაც, ძალიან, ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, თუმცა არ დავაკონკრეტებ, სად და რა პოზიციაზე. თვითონ მედიაინდუსტრია მიყვარს და ვცდილობ, მაქსიმალურად ინფორმირებული ვიყო.

– თქვენი თქმით, მარტო ხართ, თუმცა თქვენს ნამუშევრებს ერთ კაცზე მეტის მუშაობა ატყვია...

– მოდი, ეს საკითხი ისევე დავტოვოთ, როგორც გიპასუხე, გიორგი. მე ვარ.

– თქვენ სახელით მომმართეთ, მე როგორ მოგმართოთ?

– ამაზე თავის დროზე ვიდეოთი გავეცი ხალხს პასუხი. შეგიძლია, შენი სახელით მომმართო. მე ხომ შენ ვარ.

– კარგი, გიორგი. საზოგადოების ნაწილის აზრით, თქვენი ვიდეოები აგრესიული სახისაა, ამაზე რას მეტყვი...

– აგრესია ზოგჯერ ერთადერთი გზაა, ყურადღება მიიქციო. მე არ ვარ კოკა-კოლა, რომ ხალხს პოზიტივზე ველაპარაკო და ვერც ვერაფერ პოზიტიურს ვხედავ იმაში, რაზეც ვლაპარაკობ. შეიძლება უხეში ვარ, მაგრამ ჩემზე ლაპარაკობენ! შეიძლება არ მოსწონთ, რასაც ვამბობ, მაგრამ ჩემზე უზარმაზარ პოსტებს წერენ და მაკრიტიკებენ! ანუ ფიქრობენ და ეს უკვე შედეგია.

– იგივე პოლიტიკა ამოძრავებს ხშირად სატელევიზიო მეგა შოუებსაც, მათაც უყვართ, როდესაც ეკრანზე აგრესია ჩანს, ეს რეიტინგულია და ხალხს ალაპარაკებს. ხედავთ მსგავსებას?

– ვერა. მე ვლაპარაკობ აგრესიულად და ვიწვევ ინტერესს. ისინი ილიმიან, მუდამ ილიმიან, სულ ილიმიან და არაამქვეყნიურ სისულელეებზე ლაპარაკობენ. შენ ნანახი გაქვს გია ჯავჯანიძის შოუ? ფიქრობ, რომ მან სადმე აგრესიაზეა გაკეთებული ფსონი? ან არ გრცხვენია, რომ შენს ქვეყანაში ვინმემ შეიძლება სერიოზული დრო დაუთმოს გადაცემაში მკითხავებს? წარმოგიდგენია, რომ Oprah-ს თავის გადაცემაში მკითხავი მიეყვანა? მიუხედავად იმისა, რომ ისიც პოპ-კულტურაა. იგივე „საქართველოს ფანოლი“ ნანახი გაქვს? არის მანდ აგრესია? „ნიჭიერში“ თუ რომელიმე ჟიური აიძულებს მაყურებელს, რომ ეზიზღებოდეთ, აგრესია მანდაც არაფერ შუაშია, ის უბრალოდ უზრდელს თამაშობს და ხალხიც ადვილად იზიზღებს. ნანახი გაქვს იგივე ამერიკული ან ინგლისური ვარიანტი? მანდაც ბევრჯერ წასცდენია ჟიურის უტაქტო მიმართვა მონაწილისთვის, რომელიც ნამდვილად არ იმსახურებდა გასვლას, თუმცა თავისი შარმითა და შემდგომი გამართლებით აგრესიას არ იწვევენ ან ბოდიშსაც იქვე აყოლებენ. ახლა მითხარი, გაბუნიასა და ანრი ჯოხაძეს, ერთად აღებულს, აქვთ რაიმე შარმი?! მე არ ვგავარ ტელევიზიებს, გიორგი.

– რა იქნება შემდეგი ნაბიჯი? ხომ არ ფიქრობ, რომ დროა თქვენ შესთავაზოთ ხარისხიანი პროდუქტი? AntiTV გახდება მორიგი სატელევიზიო ბრენდი?

– ჰმმმ, მომავალს რაც შეეხება, მხოლოდ ერთი ვიცი და მალე ამას მთელი ქვეყანა გაიგებს. თითოეული თქვენგანი უახლოეს მომავალში მიიღებს ჩემგან ამანათს, რომელზეც 6-ნიშა კოდი იქნება დატანილი. ეს ამანათი კონვერტში შეფუთული პირადად მოგივა სახლში. არავითარ შემთხვევაში არ გადააგდო და მცირედი სუვენირისთვის მადლობა არ არის საჭირო. მთავარი გამარჯვებაა. რაც შეეხება კოდს, თავის დროზე გეტყვი, როგორ გამოიყენო და დამერწმუნე, ის სიმართლის კარს გაგიღებს და სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარება.

– საქართველოს მასშტაბით ყველა ადამიანს მიუვა ეს ყუთი? პანდორას ყუთის როლს ხომ არ შეასრულებს? ან რატომ 6-ნიშნა?

– პანდორას ყუთის ფუნქციას კოდი შეასრულებს, თუ, რა თქმა უნდა, მას თავის დროზე, სწორად შეიყვან. რაც შეეხება 6-ნიშნას – იმიტომ. გთხოვ, სიმბოლიზმზე ნუ ვიკამათებთ. 6-ის უკან არანაირი იდეა არ დევს.

– ეს იქნება გათამაშება თუ ახალი ბრენდის შემოსვლას გვაუწყებთ ამ კოდით?

– არა მგონია, გათამაშებას ან რაიმე მსგავს მატრაბაზობას ელოდებოდე ჩემგან. კოდი რასაც გაუწყებს, 13 სექტემბერს გაიგებთ შენ და მთელი საქართველო.

– კოდის დახმარებით საზოგადოება რა სარგებელს მიიღებს? ეს კავშირშია ტელევიზიებთან ბრძოლასთან? ამით პირველ შეტევას განახორციელებთ?

– დიახ! ეს იქნება რეალური ბრძოლის დასაწყისი!

– თქვენს გუნდში როგორ უნდა მოხვდეს ადამიანი? თუ მას ამის სურვილი აქვს?

– მე არ მყავს გუნდი და ვერ მეყოლება გუნდის ნევრები. ვარ მე და ჩემი თანამოაზრეები.

– როგორ შეიძლება გახდეს ადამიანი თქვენი თანამოაზრე, თუ თქვენს იდეებს იზიარებს? მარტო ბრძოლის მოგება გაგიჭირდებათ

– მე მარტო ვარ. ხალხი მოიგებს. გამოფხიზლებული ხალხი და გამორთული ტელევიზორები.

– და ხალხს როგორ ექნება თქვენთან კავშირი გამორთული ტელევიზორის ფონზე? რა იქნება კომუნიკაციის წყარო?

– ტელევიზორში არც ახლა ვჩანვარ და არც არასდროს გამოვჩნდები ჩემი ინიციატივით. როდესაც ტელევიზორები გაითიშება, ჩემი არსებობის საჭიროებაც აღარ იქნება და მეც ისე გავქრები, როგორც გავჩნდი.

– თუმცა, ტელევიზიების გაჩენა კლავს შანსს, გაჩნდეს ხარისხიანი პროდუქცია, ისე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია... გაქრობის მერე უნდა დაიწყოს ახლიდან აღორძინება?

– დიახ. გაქრობის შემდეგ უნდა დაიწყოს თავიდან აღორძინება.

– როგორც ჩანს, თქვენს კამპანიაში სერიოზული თანხები იხარჯება, ფინანსების ამბავში ძლიერი უნდა იყოთ. არა?

– სწორი იდეისთვის ყოველთვის შეიძლება საშუალებების გამონახვა. გინდა თანხის, გინდა დახმარების სახით, რომელსაც ადამიანები გარკვეული მასალების მოწოდებით აკეთებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



„კესარიაში ყოველთვის ქალურ თვისებებს ვხედავდი და, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდებოდი რა უკვირდათ სხვებს. ის ჩემთვის ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც არის“

„თავიდან მამაჩემისთვის რთული იყო ამასთან შეგუება“

კესარია

my View

ნინო მჭედლიშვილი

„საქართველოში ერთი ლამაზი ქალია და ისიც კაციაო“, ეს ფრაზა ერთ-ერთმა ქართველმა მამრმა ტრანსსექსუალ კესარია აბრამიძეზე თქვა და სუსტი სქესის დიდი ნაწილი გაანაწყენა. გემოვნებაზე რომ არ დაობენ და ყველაზე მეტს რომ სწორედ გემოვნებაზე დაობენ, ამიტომ არ გამოვთქვამ ჩემს აზრს ამა თუ იმ მდედრობითი სქესისა თუ ტრანსსექსუალის გარეგნულ მონაცემებზე.

მაგრამ, ეს უნდა ვთქვა... კესარიას ძალიან ლამაზი და ჰყავს.

20 წლის ანა აბრამიძე სტუდენტია. სამართალს ეუფლება. სურვილი აქვს მომავალში LGBT პირების უფლებების დამცველად მოგვევლინოს. კესარიასგან განსხვავებით არ არის ამბიციური და არც პოპულარობა ხიბლავს. სწორედ ამ მიზეზით არაერთ ჟურნალისტს უთხრა უარი ინტერვიუზე. უარი თქვა ტელეშოუებში მონაწილეობაზეც.

ეს უკარება რესპონდენტი დღეს „პრაიმტაიმის“ სტუმარია.

- ანა, პირველ რიგში, შენი და კესარიას ბავშვობაზე მიამბე... როგორი ბავშვი იყო, რა თემებზე კამათობდით, ვინ თმობდა...

- მე და ჩემს დას, მიუხედავად მისი განსხვავებულობისა, ჩვეულებრივი ბავშვობა გვქონდა. მახსოვს, იმის გამო რომ ყველაზე პატარა ვიყავი, ხშირად მიწევდა შვილის როლში ყოფნა... სხვათა შორის, კესოს ორგანიზატორის ნიჭიც ჰქონდა და მეგობრებთან ერთად ხშირად მართავდა კონცერტებს. ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო და ახლა ღიმილით ვიხსენებთ

ხოლმე. მე ძალიან ჯიუტი ვარ, თან მაშინ პატარა ვიყავი და უფრო ხშირად ჩემს დას უწევდა დათმობა.

- მშობლები, როგორც უმცროსს გათამამებდნენ?

- მე მამა მათამამებდა, ჩემს დას - დედა. ალბათ, ამიტომაც გვიყვარს განსაკუთრებით მე - მამა, კესოს კი დედა.

- კესარიას ქალური თვისებები რა ასაკში შენიშნეთ, ბავშვობაშივე თამაშობდა თოჯინებით?

- კესარიაში ყოველთვის ქალურ თვისებებს ვხედავდი და, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდებოდი რა უკვირდათ სხვებს. ის ჩემთვის ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც არის...

- იყო, ოჯახში ვინმე ვიმც მის ამ თვისებებს აპროტესტებდა? როგორ მიიღეს მშობლებმა კესარიას ქალად გარდასახვა?

- თავიდან მამაჩემისთვის რთული

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტერვიუ კესარია აბრამიძის დასთან



„როცა პატარა ვიყავი კესოზე გაგონილ, დაწერილ ჭორებს ძალიან განვიცდიდი. ახლა გავიზარდე და ბევრმა მაგალითმა მიჩვენა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს ბრბო წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი აზრი არ გააჩნია“

ანა აბრამიძე

რა საზის ექსპერიმენტისთვის იყენებდა დას ტრანსსექსუალი

„სავსებით მაკმაყოფილებს ჩემი გარეგნობა და მირჩევნია, ჩემთვის მშვიდად და წყნარად ვიცხოვრო. არ მიყვარს, როცა სამუზეუმო ექსპონატივით მაკვირდებიან“

EXCLUSIVE

იყო ამასთან შეგუება და ეს ბუნებრივიცაა. ახლა სხვა დროა, ბევრი რამ შეიცვალა და მადლობა ღმერთს ყველაფერი კარგადაა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემს დას და მამას შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ.

- ქართული საზოგადოება მკაცრია ამგვარი ადამიანების მიმართ. შენ თუ გიგრძნია ცუდი დამოკიდებულება მეზობლების, ნაცნობების ან მეგობრების მხრიდან?

- მართალი ხართ, ქართული საზოგადოება სიმკაცრეს იჩენს LGBT ადამიანების მიმართ, თუმცა, ბოლო წლებთან შედარებით სიტუაცია მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ჩემს თაობას ვგულისხმობ, მათთვის ჰომოსექსუალობა ავადმყოფობა არაა და ამგვარ ურთიერთობებს ჩვეულებრივად აღიქვამენ, ისევე როგორც მე. სამწუხაროდ, ჰომოსექსუალობა გაკიცხვის საგანი კიდევ დიდხანს იქნება, თუმცა არ ვკარგავ იმედს, რომ ადამიანები სხვის პირადში ხელის ფათურს მოეშვებიან და საკუთარს მიხედავენ! მე არც ერთი ჰომოფობი მეგობარი არ მყავს და არც მეყოლება...

- კესარია პირველი ტრანსსექსუალია, რომელმაც ამაზე ხმამაღლა ილაპარაკა. ამან დისკომფორტი თუ შეგიქმნა?

- როცა პატარა ვიყავი, კესოზე გაგონილ, დაწერილ ჭორებს ძალიან განვიცდიდი. ახლა გავიზარდე და ბევრმა მაგალითმა მიჩვენა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს ბრბო წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი აზრი არ გააჩნია. ვიცი, ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ არა სიცრუე.

- გვიამბე მის ხასიათზე, შენ როგორ ხედავ მას, რამდენიმე სიტყვით დაახასიათე...

- ჩემი და ჩემს მიმართ ძალიან მზრუნველია. ხშირად დედასაც ვეძახი. ყოველთვის ვამბობ, რომ საუკეთესო და მყავს და ოდნავადაც არ ვაჭარბებ. მას შეუძლია იყოს ერთდროულად ძალიან ყურადღებიანიც და უყურადღებოც. ჰო, აი ასე, ორივე ერთდროულად.

- გულჩვილია, რაზე შეუძლია იტიროს?

- მას მიზეზის გარეშეც შეუძლია ტირილი, მისი მსახიობური ნიჭიდან გამომდინარე. ისე კი, სულ ბოლოს თვალცრემლიანი რაღაც ვიდეოს ყურების დროს ვნახე, რომელშიც ასახული იყო ერთ-ერთი ოჯახის ეკონომიკური სიდუხჭირე. იშვიათი შემთხვევები კარგად გვამახსოვრდება.

- ცოტა საშიში ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, რა შემთხვევაში უნდა ეშინოდეს ადამიანს მისი?

- მეც მსმენია, რომ საშიშ ქალად მიაჩნიათ და ეს კარგიცაა. ალბათ, წყობიდან არ უნდა გამოიყვანონ, თორემ მაშინ აბსოლუტურად გაამართლებს მოარულ ხმებს.

- როგორ უნდა გამოიყვანო კესო წყობიდან?

- არ ვიცი. რომც ვიცოდე ხომ არ გეტყოდით, არ მინდა ვიღაცებმა ბოროტად გამოიყენონ (იცინის).

„არც ერთი ჰომოფობი მეგობარი არ მყავს და არც მეყოლება“



ანა

„კესო ჩემს შეყვარებულზე ძალიან ეჭვიანობდა“

კესარია

- რა ინტერესები ჰქონდა ბავშვობაში, გარდა ხატვისა, რისი ნიჭი აქვს?

- ყვავილების მოვლა უყვარდა. როცა ეგ უვლიდა სულ ლამაზი ყვავილები გვქონდა. როგორც უკვე გითხარით, ბავშვობიდანვე ორგანიზატორისა და მსახიობის ნიჭს ავლენდა. ასევე უყვარდა ქარგვა და ახალი ვარცხნილობების გამოგონება. ხშირად მეც მიყენებდა ამგვარი ექსპერიმენტებისთვის.

- შენზეც გვიამბე, რას საქმიანობ, სად სწავლობ?

- საკუთარ თავზე ლაპარაკი უფრო მირთულდება, ვიდრე ჩემს დაზე. ახლახან გადავედი მესამე კურსზე. ვსწავლობ სამართალს. გავურბი ბანალურობას და ვესწრაფვი მშვიდ ცხოვრებას. ჩემი კრედო უბრალოებაა. ჩემი დისნაირი ამბიციური არ ვარ.

- ძალიან ლამაზი ხარ, მოდელობაზე არასდროს გიფიქრია?

- ჩემი დის წყალობით დავფიქრდი. უნდოდა „მის საქართველოს“ შესარჩევ კონკურსში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ ვერ დამითანხმა. ხანდახან ვხუმრობ ხოლმე ამაზე. მე სავსებით მაკმაყოფილებს ჩემი გარეგნობა და მირჩევნია ვიცხოვრო ჩემთვის მშვიდად და წყნარად. არ მიყვარს, როცა სამუზეუმო ექსპონატივით მაკვირდებიან.

- როგორი ურთიერთობა გაქვთ შენ და კესარიას, თაყვანისმცემლებზეც უყვებით ერთმანეთს?

- ჩვენ საუკეთესო მეგობრებიც ვართ. თაყვანისმცემლებზე უფრო მეტს მე ველაპარაკები ხოლმე. მხოლოდ იმათზე, ვისზეც ღირს საუბარი. თვითონაც ასე იქცევა. საერთოდ, ჩემმა დამ ჩემზე ყველაფერი იცის. ხშირად მაოცებს ხოლმე, როცა ჩემი ხმით ხვდება როგორ ხასიათზე ვარ. უთქმელადაც შეუძლია მიზეზის გამოცნობა. ყველაზე უკეთ მიცნობს. ჩემს შეყვარებულზე ძალიან ეჭვიანობდა. ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდი და ცოტა მაშინ ვაწყენინე. ეს იყო და ეს. სხვა მსგავსი შემთხვევა არც მახსენდება.

- კესო უფროსია შენზე, რა რჩევებს გაძლევს ხოლმე, ძირითადად რა თემებზე კამათობთ?

- ძირითადად რჩევებს ბიჭების თემაზე მაძლევს. ცოტა რომანტიკოსი ვარ და ცდილობს მიწიდან ძალიან შორს არ ავფრინდე.

- შეყვარებული ხარ?

- ვიყავი და ვარ. მომავალში აუცილებლად დავწერ ბიოგრაფიულ რომანს და ყველაფერს იქედან შეიტყობთ. ახლა კი მხოლოდ ერთს ვიტყვი, - „დრო მხოლოდ სიყვარულს დაინდობს“, რადგან „მინდა მჯეროდეს მე ჩემი ბოდვის და სიყვარულის დღესასწაული“....

- იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობ. კონკრეტულად რა სფეროში გინდა იმუშაო?

- ვაპირებ lgbt ადამიანების უფლებები დავიცვა. ვნახოთ რა იქნება, ბევრი კარგი გეგმა მაქვს.

- გავიგე, კითხვა გიყვარს... ვინ არის შენი საყვარელი მწერალი, რომელია შენი საყვარელი ნაწარმოები...

- ქართველებს დავასახელებ, კონსტანტინე გამსახურდია და ოთარ ჭილაძე. ოთარ ჭილაძის პოეზიას ვეტრფი. კონკრეტულად ერთი ნაწარმოების გამორჩევა მიჭირს.

- ბოლოს რა წაიკითხე?

- უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“.

- რომელიმე ლიტერატურულ გმირს მიამსგავსებ საკუთარ თავს?

- არის ერთი პერსონაჟი, რომელსაც ძალიან ვამსგავსებ ჩემს თავს, მაგრამ არ დავასახელებ. მრავლისმეტყველი იქნება და თავს შევიკავებ.

- ლიტერატურულ გმირზე შეყვარებული ყოფილხარ?

- კი, ძალიან ბევრი პერსონაჟით მოვხიბლულვარ. მათი წარმოთქმული ფრაზებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე. თუმცა. ახლა გახსენება მიჭირს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლაშა ღლონტის ცხოვრე

my View

ნინო მჭედლიშვილი

„ეს გრძნობა რომ არ არსებობდეს, ძალიან გამიჭირდებოდა, პირდაპირ გეტყვით, ვერ ვიცხოვრებდი ქალთან, რომელიც არ მიყვარს“

„ჩემს მეუღლეს, ისევე როგორც ჩემს შვილს, დედას, აქვს ადგილი ჩემს გულში და ვერავინ ვერასდროს ამ ადგილს ვერ დაიკავებს“

მხატვრისა და ფილოლოგის ოჯახში გაიზარდა. გურული და რაჭული გენია მასში. ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ოცნებობდა. მერე ტრავმა მიიღო და ფეხბურთიც ისტორიას ჩაბარდა. ქირურგობასაც თვალზე გადატანილი ოპერაციის გამო გამოემშვიდობა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მოხდა, რომ ლაშა ღლონტს ბევრი ლამაზი სიმღერა უნდა ეჩუქებინა ქართველი მსმენელისთვის. ამბობს, რომ ეს მისი დამსახურება არ არის. დიპლომატია, გულწრფელობა და თავმდაბლობა, ესაა ჩემი რესპონდენტის მთავარი ხიბლი. დანარჩენს თავად გიამბობთ. ლაშა კახეთში, ერთ-ერთ რესტორანში ვნახე, ვეხუმრე კიდეც, შენ გამო თბილისიდან ჩამოვედი-მეთქი. შეწუხდა, რა გაჭირვება იყო, დაგერეკა, თავად ჩამოვიდოდიო. ერთი სიტყვით, შანსი ხელიდან არ გავუშვი და...

შეხვედრის ადგილი გურჯაანი, რესტორანი „რები“, რესპონდენტი ნასვამი, ინტერვიუ გულახდილი.

გურული და რაჭული გენი

- ლაშა, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მინდა ვისაუბროთ და დავიწყოთ იმ გამოცდილებით, რომელიც მიიღე ოჯახიდან, მშობლებისგან და იმ გარემოდან, რომელშიც იზრდებოდი...

- ბათუმში გავიზარდე. დედა, მზიული ერისთავი ფილოლოგი, მეცნიერი გახლავთ. ახლა ბათუმში მუზეუმის დირექტორია. მამა, თეგიზ ღლონტი მხატვარი გახლავთ, მხატვართა კავშირის წევრია. ჩემს ოჯახში ყოველთვის იყო კამათი ლიტერატურაზე, ისტორიაზე, მუსიკაზე. ერისთავი მომღერალი გვარია, დედისგან მაქვს მუსიკალური ნიჭი. მამაჩემს სმენა არ აქვს, მაგრამ ჩემი დიდი ბებია, მამის მხრიდან, ერქომაიშვილი გახლდათ და შესაბამისად მუსიკალურობა ღლონტებს ამ გვარიდანაც მოგვდგამს.

- მშობლებიდან რომელს ჰგავხარ ხასიათით?

- ორივეს. გურული სიფიცხე მამაჩემის მაქვს, ზოგჯერ დაუფიქრებლად რაღაცას ვიტყვი ხოლმე, მაგრამ ის წამოძახებაც ჭკვიანურია, გურულები ნიჭიერი ხალხია. დედის რაჭული გენი აბალანსებს ჩემს სიფიცხეს. ბევრს ჰგონია, რომ სერიოზული ვარ, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, უბრალოდ, ასე გმოვიყურები (იღიმება).

- განსაკუთრებული დარიგება გახსენდება მშობლების მხრიდან?

- მამაჩემი სულ მეუბნებოდა, მოძრავი იყავიო. თვითონ ძალიან სპორტულია, ათლეტური აღნაგობა აქვს, სულ ვარჯიშობდა და იგივეს მირჩევდა მეც. დედაც არ ყოფილა ძალიან მსუქანი არასდროს. ჩემი ცხოვრება ისე წავიდა... ადრე ფეხბურთს კარგად ვთამაშობდი, წონაც ნორმალური მქონდა. მერე ტრავმა მივიღე, ცოლი მოვიყვანე და ვეღარ გავაგრძელე თამაში. დანარჩენი, რა გითხრათ, კმაყოფილნი იყვნენ ჩემით. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, ნორმალურად. ყველაფერში ხუთები არ მეწერა, არც შეიძლება ბავშვმა ყველაფერში ხუთები მიიღოს. რაღაც გაინტერესებს, რაღაც ნაკლებად გაინტერესებს.

- შენ რა გაინტერესებდა?

- ყველაფერი ზომიერების ფარგლებში. სკოლა არის ზოგადი განათლებისთვის და ეს განათლება მივიღე.

- დედას რა პრეტენზიები ჰქონდა შენთან დაკავშირებით?

- დედა ძალიან ლოიალური ადამიანია. ერთადერთი სურვილი ჰქონდა, ნორმალური ადამიანი გამოვსულიყავი, არ შემშლოდა ის ძირეული პრონციპები, რაც დამახასიათებელია ქართული ოჯახისთვის.

- განსაკუთრებული ტრადიცია იყო ოჯახში?

- ბათუმში სასტუმრო „ინტურისტის“ უკან ვცხოვრობდი. ჩემი ოთახის ფანჯრები სწორედ ამ სასტუმროს ფანჯრებს უყურებდა, სადაც ცნობილი ქართველი მომღერლები, მსახიობები ისვენებდნენ: ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ბიძინა კვერნაძე, გოგი დოლიძე. ეს ცნობილი ადამიანები ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ ოჯახში. აქედან დაიწყო ყველაფერი, თბილისში ამ ადამიანებს გავყევი და იქ დავიწყე ყველაფერი თავიდან.

ქირურგობიდან მომღერლობამდე

- პროფესია როგორ აირჩიე?

- ძალიან მაინტერესებდა მედიცინა, ნათესაობაშიც ბევრი ექიმი მყავდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქირურგად ვმუშაობდი. მერე თვალზე ოპერაცია დამჭირდა და ვეღარ შევძელი მუშაობა. საკმაოდ წარმატებული ქირურგი გახლდით, რამდენიმე კლინიკაში მვუშაობდი.

- პირველი ხელფასი, პირველი სამსახური...

- ეს იყო ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

- როგორ გამოიყენე პირველი გასამრჯელო?

- რესტორანში დავხარჯე ძმაკაცი ქირურგებთან ერთად.

- მაშინ უკვე მღეროდი?

- კი. მერე გავიცანი ცნობილი ქართველები, ცნობილი ქართველი მომღერლები, გურამ თამაზაშვილი, ზაურ ბოლქვაძე, გოგი დოლიძე, მიშიკო შენგელია და მათთან ერთად მომიწია სიმღერა. ძალიან ძნელია ქართულ სცენაზე დგომა. უნდა გქონდეს ამის უფლება. მე არ ვამბობ, რომ ეს უფლება მოვიპოვე. თბილისში არის ძალიან მუსიკალური საზოგადოება, თუ ამ საზოგადოებამ მოგცა სცენაზე დგომის ვიზა, ბედნიერი ხარ. ვერავითარი კონსერვატორია, სახელმწიფო ჯილდო ვერ გადაწონის იმ ვიზას, რასაც ბიძინა კვერნაძე, მაცაცო სებისკვერაძე, მარიკა კვალიაშვილი, გოგი დოლიძე, ჯანო კახიძე ჰქვია. თუ ეს ადამიანები გეუბნებიან, რომ უნდა იმღერო, არ გაქვს უფება არ იმღერო. ოღონდ, ეს ჩემი დამსახურება არ არის, ეს ჩემი წინაპრებისა და იმ ადამიანების დამსახურებაა, ვისთან ერთადაც მიმღერია.

პრეზიდენტი ბიძა და ქუჩის აკადემია

- ე.წ. ქუჩის აკადემია თუ იყო შენს ცხოვრებში და ამან რა მოგცა გამოცდილების თვალსაზრისით?

- ბათუმში არის ადგილი, რომელსაც „სწიკლიაშკა“ ჰქვია, სადაც იკრიბება ინტილიგენცია და ოთხი წლის ვადით ირჩევენ პრეზიდენტს. იქ იხილება ნებისმიერი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საკითხი. ამ აკადემიის პრეზიდენტი ერთხელ ბიძაჩემიც იყო. თუ განათლება, რაინდობა, ინტელექტი არ გაქვს, ვერ გახდები პრეზიდენტი. ქუჩის აკადემიას მე საზოგადოების აკადემიას ვეძახი. ამ აკადემიაში სწავლობ მოქცევას, ზრდილობას, ქალის პატივისცემას.

- გიჩხუბია?

- მიჩხუბია, მაგრამ არასდროს არ გავლახულვარ.

- გოგოს გამოც გიჩხუბია?

- არა, ტრაბახში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ძალიან კარგი დიპლომატი ვარ. მოვლენებს რეალორად ვაფასებ, ვიცი ადამიანების ხასიათი. წლების განმავლობაში ისეთ ადგილას ვიმუშავე, ადამიანების ამოცნობა არ მიჭირს. კარგად მახსოვს, რომ ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოს, რომ ყველასთვის პასუხის გაცემა არ შეიძლება. პრინციპში, სიტუაციას გააჩნია, დედა თუ შეგაგინა ადამიანმა, რა თქმა უნდა, ვერ მოითმენ, მაგრამ ამ საქმე აქამდე არ უნდა მიიყვანო. როცა ციხეში ვმუშაობდი ექიმად, პატიმრისთვის შენობით არასოდეს მიმართავს. მათაც პატივისცემა ჰქონდათ ჩემი. რაც არ უნდა უზრდელი ყოფილიყო პატიმარი, მაინც ზრდილობიანად მომმართავდა ხოლმე. ამით იმის თქმა მინდა, რომ შენზე ბევრია დამოკიდებული, როგორც მოექცევი, ისე მოგექცევა.

- მძიმე იყო, ალბათ, ციხეში მუშაობის წლები...

- საკმაოდ, ციხეში ვმუშაობდი 1998-2002 წლებში, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე ამ პერიოდში.

„როგორც სიმღერა არ ისწავლება, ისე - სიყვარული“

- სასიყვარულო გამოცდილებაზეც მინდა გკითხო, თეა როგორ გაიცანი?

- გოგოებმა გადაწყვიტეს ჩემი კურსელი ბიჭები გაეშაყირებინათ ტელეფონზე. მაშინ მობილურები არ იყო და სახლებში რეკავდნენ. თეას შევხვდი მე. გურული ვარ, დიპლომატი გახლავართ და მოვაწონე თავი. რომ მნახა კიდევ უფრო მოვეწონე, მაშინ გამხდარი ვიყავი.

- ახლა არ აპროტესტებს შენს წონას?

- კი, მაგრამ ჩემი ცხოვრების რეჟიმიც კარგად იცის, რომ საღამოს მიწევს კვება... 22 წელია ერთად ვართ.

- რას აკეთებთ იმისთვის, რომ სიყვარული არ განელდეს, არ გაქრეს?

- არ ვიცი. ამისთვის რეცეპტი არ არსებობს. სიყვარული ნიჭია. როგორც სიმღერა არ ისწავლება, ისე - სიყვარული. რა თქმა უნდა, გრძნობა ისეთივე აღარ არის, როგორიც გაცნობის პიველ ეტაპზე იყო, ფერს იცვლის, სხვა საზრუნავები ჩნდება... ახლა ჩვენი ანი იმხელაა, რომ მალე შეიძლება გაგვითხოვდეს, შეიძლება 2 წელიწადში ბებია-ბაბუა გავხდეთ, მაგრამ სიყვარული არსად ქრება, არსებობს. ეს გრძნობა რომ არ არსებობდეს, ძალიან გამიჭირდებოდა, პირდაპირ გეტყვით, ვერ ვიცხოვრებდი ქალთან, რომელიც არ მიყვარს. ჩემს მეუღლეს, ისევე როგორც ჩემს შვილს, დედას, აქვს ადგილი ჩემს გულში და ვერავინ ვერასდროს ამ ადგილს ვერ დაიკავებს.

- ამდენი თაყვანისმცემელი ქალბატონი რომ გყავს, ეს ხომ არ უქმნის დისკ-

„გოგი დოლიძის სიტყვები მახსოვს. ერთხელ მითხრა, როცა მოდის ჩემთან ადამიანი და მეფერება, ის კი არ მიხარია, რომ გოგი დოლიძე ვარ, ის მახარებს, რომ ამ ადამიანს ქართული სიმღერა უყვარსო. სულ მახსოვს ეს სიტყვები...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ვერავითარი კონსერვატორია, სახელმწიფო ჯილდო ვერ გადაწონის იმ ვიზას, რასაც ბიძინა კვერნაძე, მაცაცო სებისკვერაძე, მარიკა კვალიაშვილი, გოგი დოლიძე, ჯანო კახიძე ჰქვია“

„როცა ციხეში ვმუშაობდი ექიმად, პატიმრისთვის შენობით არასოდეს მიმიმართავს. მათაც პატივისცემა ჰქონდათ ჩემი“

„თბილისში არის ძალიან მუსიკალური საზოგადოება, თუ ამ საზოგადოებამ მოგცა სცენაზე დგომის ვიზა, ბედნიერი ხარ“

EXCLUSIVE

ომფორტს თეას?

- არა, ის დარწმუნებულია ჩემში. იმას არ ვამბობ, 6 თვე მოსკოვში გასტროლით რომ მიდის კაცი, იქ ფრთები ესხმება და ანგელოზი ხდება-მეთქი.

- ექვსთვიანი გასტროლები ხშირად გაქვს ხოლმე მოსკოვში?

- (იცინის) არა, ახლა აღარ. ჩვენ ვართ ადამიანები. მერე რა, რომ მომღერლები ვართ და ვიღაცები გვცნობენ. ჩვენი მინუსი ის არის, რომ გაკერპება გვიყვარს ადამიანების. აბა გაიხსენეთ, ბავშვობაში გვეგონა, რომ მასწავლებლები ტუალეტში არ დადიოდნენ... პირველ რიგში, არ ვარ მატყუარა. რასაც ვამბობ, იმას ვაკეთებ. და როცა მართალი და გულწრფელი ხარ, იქ შეცდომების დაშვებაც მოსულა.

- რას გულისხმობ, ექვსი თვით მოსკოვში რომ მიდიოდი, მეუღლეს ურეკავდი და უყვებდი როგორ ერთობოდი?

- არა, არა. ეგ მაგალითზე ვთქვი. ყველაფერს ხომ არ მოვყვები...

- თქვენმა ქალიშვილმა, ანამ რა პროფესია აირჩია?

- ხელოვნებათმცოდნე გახლავთ, თეატრალურს ამთავრებს. იყო ნიუ-იორკში. ახლაც მიემგზავრება სასწავლებლად ნიუ-იორკში. საერთოდ დამოუკიდებლობის მომხრე ვარ. დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების საშუალება უნდა მისცე შვილს.

- როგორი მამა ხარ?

- მეგობრული ურთიერთობა მაქვს შვილთან. თუმცა რთული ასატანი ვარ სახლში. ჯაჯღანი მიყვარს როცა მშია, როცა უხასიათოდ ვარ. მაგრამ უკვე იმუნიტეტი აქვთ ჩემი ოჯახის წევრებს. თავს მიქნევენ, იციან რომ ბოლოს მაინც ყველაფერს გამაკეთებინებენ, იმიტომ რომ ძალიან მიყვარს ორივე.

- რა არის შენი მთავარი პრინციპი აღზრდის საკითხში?

- ის, რომ შვილს აპოვნინო საკუთარი თავი, ნიჭი საკუთარ თავში. ეს ყველაზე რთულია ცხოვრებაში და ამაში უნდა დაეხმარო მას. ნახე, ისწავლე, სხვისგან წამოიღე ის რაც საჭიროა, ოღონდ არ დაკარგო შენი ძირითადი.

- შენ ვისგან რა ისწავლე?

- ძალიან ბევრი ადამიანისგან ვისწავლე ბევრი რამ. ახლა გოგი დოლიძე მახსენდება, მისგან უბრალოება ვისწავლე, გულწრფელობა. გურამ თამაზაშვილისგან ვისწავლე ბევრი რამ. ისიც, რომ შეიძლება საკუთარი სახლი არ გქონდეს და სხვისი ააშენო.

შეცდომები...

- დასასრულ შეცდომებზეც გკითხავ, ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი წილი შეცდომები დაშვებული, მაგრამ ერთი და მთავარი, რომელიც ხშირად გახსენდება...

- მე რომ ჩემი შეცდომების თვლა დავიწყო ახლა, არ არის გამორიცხული, ჯოჯოხეთის მოსახლე გავხდე (იცინის), მაგრამ ვნანობ იმას, რომ არ გავყევი ფეხბურთს. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ფეხბურთს რომ გავყოლოდი, გაცილებით კარგი ფეხბურთელი ვიქნებოდი, ვიდრე მომღერალი ვარ დღეს. ვნანობ იმას, რომ ისეთი ეკლესიური არ ვარ, როგორიც უნდა ვიყო, რომ ძალიან ბევრ ადამიანს ვატკინე გული, ჩემი უხასიათობით, უყურადღებობით.

- პოპულარობა აფუჭებს ადამიანს?

- ძალიან რთულია არ გაგაფუჭოს. არასდროს დამავიწყდება მეუფე საბას სიტყვები. მურმან ჯინორიასთან ერთად ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაშინ გამოვიდა სიმღერა „მონატრებიხარ ფიქრებს“. ხუთი მილიონი ნახვა ჰქონდა ამ სიმღერას და ისეთი პოპულარობა მომიტანა, შემეშინდა კიდეც. მურმანმა მკითხა, არ გეშინია, თავში ავარდნისო. მეუფე საბამ თქვა მაშინ, - როცა ქრისტე იერუსალიმში შედიოდა, ჯორზე იჯდა. ზარითა და დიდებით შეხვდა ხალხი. ჯორს ეგონა მას შეხვდნენ ზარითა და დიდებით. ყველაფერი უფლისგან მოდის, ჩვენ არაფერ შუაში არ ვართ, ამ ჯორს არ უნდა დავემსგავსოთო. სულ მახსოვს მისი სიტყვები... კიდევ გოგი დოლიძის სიტყვები მახსოვს. ერთხელ მითხრა, როცა მოდის ჩემთან ადამიანი და მეფერება, ის კი არ მიხარია, რომ გოგი დოლიძე ვარ, ის მახარებს, რომ ამ ადამიანს ქართული სიმღერა უყვარსო. სულ მახსოვს ეს სიტყვები... ძნელია, ძალიან ძნელია, თავში არ აგივარდეს, როცა ადამიანები მოდიან, ხელებს გიკოცნიან, გეუნბებიან, თავს გაუფრთხილდი, არ გაცივდე, რამე არ დაგემართოსო. უხერხულობაში ვვარდები. არც კი მსიამოვნებს, რადგან არ ვარ ამის ღირსი. ადამიანი იმედის თვალით გიყურებს, შენ კი ჩვეულებრივი ცოდვილი ხარ, არაფრით განსხვავდები მისგან. როცა ასეთი რამ ხდება, საკუთარი თავი მაღიზიანებს.

„მეგობრული ურთიერთობა მაქვს შვილთან. თუმცა რთული ასატანი ვარ სახლში. ჯაჯღანი მიყვარს როცა მშია, როცა უხასიათოდ ვარ“

„დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების საშუალება უნდა მისცე შვილს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N33 (334) ორშაბათი, 24 აგვისტო, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ზაზა ფაჩულია - ჩემი ცხოვრება დიდი ხანია კალათბურთია

დახვრეტა, გადასახლება დიდი რეპრესიები

დანაშაული: „ხალხის მტრის“ ცოლი!

exclusive

როგორ გადანაწილდება ხმები სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებზე

ექსკლუზიური ინტერვიუ მძიმე კაცთან

„მინდა ყველა იღიმოდეს ქვეყანაში“

exclusive

ლაშა ღლონტის ცხოვრებისეული გამოცდილება

„თბილისში არის ძალიან მუსიკალური საზოგადოება, თუ ამ საზოგადოებამ მოგცა სცენაზე დგომის ვიზა, ბედნიერი ხარ“

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

ექსკლუზიური ინტერვიუ კესარია აბრამიძის დასთან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება